

# სამოქალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2019, №9

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2019, №9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2019, №9

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2019, №9

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ბიორგი ჭყონიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეზელი

<b>1. სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი</b>	
შეჯიბრებითობის პრინციპი .....	4
უნყებრივი ქვემდებარეობა .....	15
<b>2. სასამართლო შეტყობინება და დაბარება</b>	
სასამართლო უწყების შინაარსი .....	28
<b>3. მხარეები</b>	
საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით .....	40; 50
მხარეთა საპროცესო უფლებები .....	61
<b>4. სასამართლო მტკიცებულებები</b>	
მტკიცების ტვირთი .....	67
მტკიცებულებათა დასაშვებობა .....	67
<b>5. საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში</b>	
სარჩელის შინაარსი .....	79
<b>6. სარჩელის უზრუნველყოფა</b>	
სარჩელის უზრუნველყოფით გამონეული ზიანის ანაზღაურება	91
<b>7. დაუსწრებელი გადაწყვეტილება</b>	
მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგები .....	109
მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადებების განხილვა მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგები .....	119
<b>8. სასამართლო გადაწყვეტილება</b>	
სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები .....	132
გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები .....	141
სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები .....	148

# 1. სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი

## შეჯიბრებითობის პრინციპი

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1469-1389-2017

21 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეცი

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დგინდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ზ. (საკადასტრო კოდით №0-...) (შემდგომში – „სადავო უძრავი ქონება“), ნასყიდობის ხელშეკრულების №1-... საფუძველზე, 2015 წლის 28 მაისიდან საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია გ. ა-ისა და თ. დ-ის (შემდგომში – „მოსარჩევეები“) სახელზე.

2. სადავო უძრავ ქონებას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობენ დ., ნ. და მ. ხ-ები (შემდგომში – „მოპასუხეები“, „კასატორები“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორები“).

3. მოსარჩევეებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხეების მიმართ და მოითხოვეს მათი უკანონო მფლობელობიდან სადავო უძრავი ქონების გამოთხოვა.

4. მოსარჩელეთა განმარტებით, მათ სადავო უძრავი ქონება შეიძინეს შ. ხ-ისაგან, მოპასუხეები სადავო უძრავ ქონებას ფლობენ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და მოსარჩელეთა მოთხოვნის მიუხედავად, უარს აცხადებენ ბინის დაცლაზე.

5. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ 2015 წლის 28 მაისს თალღითებმა მოპასუხე ნ. ხ-ის კუთვნილი სადავო უძრავი ქონება მოტყუების გზით გაყიდეს. მოსარჩევეებმა იცოდნენ ამის თაობაზე, მათ ისე შეიძინეს სადავო უძრავი ქონება, რომ ბინის სანახავადაც არ მისულან. შესაბამისად, არ წარმოადგენენ კეთილსინდისიერ შემძენებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროკურატურაში მიმდინარეობს საქმისწარმოება და მოპასუხე მ. ხ-ი ცნობილ იქნა დაზარალებულად.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელების კუთვნილი უძრავი ნივთი, მდებარე ქ. თბილისში, ზ., ს/კ №0... და დადგინდა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მისი მესაკუთრეებისთვის ჩაბარება.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხეების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

9. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლებით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა. ის ფაქტი, რომ მოპასუხე მ. ხ-ი არის დაზარალებული სისხლის სამართლის საქმეზე, შეიძლება გამხდარიყო ამ უკანასკნელის მიერ თავისი უფლებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი, მაგრამ აღნიშნული ვერ გამოდგებოდა მისი სადავო ბინის მართლზომიერ მფლობელად ცნობის დამადასტურებელ გარემოებად.

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხეებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

11. კასატორებმა საკასაციო საჩივარში მიუთითეს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას არ გაითვალისწინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო ბინის მისაკუთრებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, თაღლითობის ბრალდებით და მოპასუხე მ. ხ-ი დაზარალებულად არის ცნობილი.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განჩინებით მოპასუხეების საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 იანვრის განჩინებით წინამდებარე სამოქალაქო საქმეზე კასატორის დ. ხ-ის ინტერესების დაცვის მიზნით დაინიშნა ადვოკატი სავალდებულო წესით და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს დაევალა ადვოკატის გამოყოფა.

14. 2018 წლის 1 თებერვალს სსიპ იურიდიული დახმარების სამ-

სახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიურომ გასცა ორდერი №0-..., რომლითაც ადვოკატ მ. დ-ს დაევალა საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოპასუხე დ. ხ-ის ინტერესების დაცვა.

15. 2018 წლის 26 თებერვალს კასატორ დ. ხ-ის ადვოკატმა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე შუამდგომლობით მომართა საკასაციო სასამართლოს. მისი განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. ხ-ი აღიარებულ იქნა მხარდაჭერის მიმღებად და მის მხარდამჭერად დანიშნა მისი და, ნ. ხ-ი, თუმცა სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლო წარმომადგენლობის სფეროში მის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების თაობაზე არ უმსჯელია, რის გამოც ნ. ხ-მა მიმართა საქალაქო სასამართლოს მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის მოთხოვნით. შუამდგომლობის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული განცხადების განხილვამდე არსებობდა სსსკ-ის 279-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინამდებარე საკასაციო საქმეზე წარმოების შეჩერების საფუძველი.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 მარტის განჩინებით მოპასუხე დ. ხ-ის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

17. 2018 წლის 26 აპრილს მოპასუხე დ. ხ-ის ადვოკატმა მ. დ-მა წარმოადგინა დაზუსტებული საკასაციო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგ საფუძველებზე მითითებით:

17.1. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 24 ივნისის დასკვნის თანახმად, კასატორ დ. ხ-ს აღენიშნება მყარი ფსიქიკური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შეიძლება ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. კასატორს არ შეუძლია გააცნობიეროს სასამართლო განხილვის დანიშნულება და მონაწილეობა მიიღოს სასამართლო მოქმედებაში;

17.2. ზემოაღნიშნული დასკვნის საფუძველზე, 2017 წლის 20 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით (საქმე №2/1610-16) კასატორი აღიარებულ იქნა მხარდაჭერის მიმღებად და მხარდამჭერად დანიშნა მისი და ნ. ხ-ი. სასამართლოს კასატორისთვის სასამართლო წარმომადგენლის დანიშვნის და ამ ნაწილში მხარდაჭერის მიმღებად აღიარების თაობაზე არ უმსჯელია, თუმცა მას, მისი დიაგნოზიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხშიც ესაჭიროებოდა მხარ-

დამჭერი;

17.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 24 იანვრის განჩინების საფუძველზე, 2018 წლის 1 თებერვალს სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატის დახმარებით 2018 წლის 14 თებერვალს კასატორ დ. ხ-ის დამ ნ. ხ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა და მოითხოვა მის მიმართ მხარდაჭერის სფეროების გაზრდა, კერძოდ, მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად. 2018 წლის 13 აპრილს სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილა;

17.4. პირველი ინსტანციის სასამართლომ და შემდგომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა კასატორის და მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე, მას, როგორც მოპასუხეს არ მიეცა საშუალება დაეცვა საკუთარი უფლებები სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო კასატორის დ. ხ-ის ჯანმრთელობის შესახებ ცნობა, არცერთი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი აღნიშნული საკითხი. ამდენად, დარღვეულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი და პროცესუალური კანონმდებლობა, რომლითაც უზრუნველყოფილია ყოველი პირისათვის უფლების სასამართლო წესით დაცვა.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მაისის განჩინებით მოპასუხეების საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

19. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხეების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

20. საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორის დ. ხ-ის მიმართ დაირღვა საერთაშორისო აქტებითა და ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება.

21. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუს-

წრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას.

22. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

23. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების განხილვა თვალსაჩინოს ხდის, რომ რამდენიმე მათგანი პირდაპირ გამომდინარეობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების პრინციპიდან, მათ შორის, საქმის განხილვაში მხარის მონაწილეობისა და სამართლიანი და საჯარო განხილვის ფუნდამენტური უფლებიდან, და ქმნის იმ შემთხვევას, როდესაც ცალსახაა, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმ სასამართლოს, სადაც მოხდა აღნიშნული დარღვევა (იხ. სუსგ №ას-1234-1175-2014, 2015 წლის 23 თებერვალი).

24. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება განმტკიცებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპი – ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით, რომლის შესაბამისად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

25. უფლების სასამართლო წესით დაცვა განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება). ევროსასამართლო ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ თითოეულ საქმეზე უნდა უზრუნველყოს, რომ, კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში, „სამართლიანი სასამართლოს“ მოთხოვნები დაცულია (იხ. *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 27 ოქტომბერი 1993, § 33). ამასთან,



სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება უნდა იყოს „პრაქტიკული და ეფექტური“ (იხ. *Bellet v. France*, 4 დეკემბერი 1995, §38). კონვენცია მიზნად ისახავს უფლებათა უზრუნველყოფას, რომლებიც არ არის თეორიული ან ილუზორული, არამედ არის პრაქტიკული და ეფექტიანი. აღნიშნული განსაკუთრებით ვრცელდება მე-6 მუხლში წარმოდგენილ გარანტიებზე, დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სასამართლოს უფლების და ამ მუხლის ყველა გარანტიის განსაკუთრებული ადგილის გამო (იხ. *Stanev v. Bulgaria* [დიდი პალატა], 2012 წლის 17 იანვარი, №36760/06, §231).

26. სასამართლოსადმი მიმართვის და მასზე ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური უფლებები. ისინი შეიძლება შეიზღუდოს, თუმცა არ უნდა აიკრძალოს ან შემცირდეს პირის წვდომა იმ გზით ან იმ რაოდენობით, რომ უფლების მთავარი არსი დაირღვეს (იხ. *Philis v. Greece (N 1)*, 27 აგვისტო 1991, §59; *De Geouffre de la Pradelle v. France*, 16 დეკემბერი 1992, §28; *Stanev v. Bulgaria* [დიდი პალატა], 2012 წლის 17 იანვარი, №36760/06, §230; *Baka v. Hungary* [დიდი პალატა], 2016 წლის 23 ივნისი, №20261/12, §120).

27. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს შორის ერთ-ერთი არსებითი ხასიათისაა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ [რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის №1888-რს დადგენილებით, ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან], რომლის მიზანია ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზება, მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემა (მუხლი 1), ადგენს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ სამართლის სუბიექტად აღიარებაზე, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი (მუხლი 12.1). შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებაუნარიანობას სხვებთან თანასწორად, ცხოვრების ყველა სფეროში (მუხლი 12.2) და იღებენ შესაბამის ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის იმ დახმარების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომელიც მათ შეიძლება სჭირდებოდეთ სამართლებრივი უფლებაუნარიანობის რეალიზებისათვის (მუხლი 12.3). მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის და ეფექტურ ზომას, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება საკუთრების ფლობასა და მემკვიდრეობით მიღებაზე, საკუთარი ფინანსური საქმეების მართვაზე, საბანკო სესხების, საიპოთეკო, სხვა ფინანსური კრედიტების თანაბარ მი-

სანვდომობაზე და უზრუნველყოფენ, რომ არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საკუთრების თვითნებურად ჩამორთმევა (მუხლი 12.5). მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების ეფექტურ მისანვდომობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, იმ პროცესუალური და ასაკთან შესაბამისი კორექტივების გათვალისწინებით, რომელიც ხელს უწყობს მათ მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილის როლის ეფექტურად განხორციელებას, მათ შორის, მონწილის სახით, იურიდიული პროცედურების ყველა საფეხურზე, გამოძიებისა და საქმეთა წარმოების სხვა საწყისი საფეხურების ჩათვლით (მუხლი 13.1).

28. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში არსებული, 2017 წლის 9 იანვარს გაცემული IV-100/ა სამედიცინო დოკუმენტაციით – ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით დასტურდება, რომ კასატორს დ. ხ-ს (დაბადებული 08.11.1978წ.) მინიჭებული აქვს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ბავშვობიდან შეზღუდვით, უვადოდ; დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი: მიძიმე გონებრივი ჩამორჩენილობა, მნიშვნელოვნად გამოხატული ქცევის პათოლოგიით; ავადმყოფობის მოკლე ანამნეზში მითითებულია შემდეგი: დაბადებულია ტრავმული მშობიარობიდან ასფიქსიამი; ადრეული ზრდა-განვითარება მიმდინარეობდა შეფერხებით; 1991 წლიდან აღრიცხვაზეა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“; ფსიქიკური და ქცევითი დარღვევების გამო სოციალურად დეზადაპტირებულია; ვერ აკონტროლებს მცირე მენჯის ღრუს ორგანოებს, უკეთია პამპერსი; პერიოდულად ავლენს აუტოაგრესიულ ქმედებებს; დღის მანძილზე სახლშია; მეთვალყურეობს და; დამოუკიდებლად ვერაფერს აკეთებს, არ შეუძლია თვითმომსახურება; მდგომარეობის მიმართ უკრიტიკოა.

29. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კასატორ დ. ხ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საქმის მასალებში წარმოდგენილი ცნობა სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 5 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე წარედგინა, თუმცა სასამართლომ საქმის განხილვა განაგრძო და იმავე სხდომაზე დაასრულა. საკასაციო პალატის შეფასებით, აღნიშნული ცნობის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შეფასება არ იძლეოდა კასატორ დ. ხ-ის უფლებათა დამცველის ან მხარდამჭერის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის გაგრძელების შესაძლებლობას, რადგან დასახელებული დოკუმენტით ცხადი გახდა, რომ კასატორს ჰქონდა ჯანმრთელობის ისეთი ფსიქიკური და ქცევითი დარღვევები, რომელ-

ბიც ხელს უშლიდა მას მოვლენათა სწორად აღქმაში. აღნიშნული დოკუმენტის ობიექტურად შეფასება იძლეოდა იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ მისი გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებას შესაძლოა ხელი შეეშალა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობაში სხვებთან თანაბარ პირობებში და აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად გაართულებდა პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას. სხვაგვარად რომ ითქვას, სასამართლოს უნდა შექმნოდა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ კასატორი სათანადო დახმარების გარეშე ვერ დაიცავდა საკუთარ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

30. საქმის მასალებით ირკვევა ისიც, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას მოპასუხე დ. ხ-ს წარმომადგენელი არ ჰყოლია, მას არ წარუდგენია შესაგებელი და არ გამოცხადებულა სასამართლოს არცერთ სხდომაზე. შესაბამისად, წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით მისი პოზიცია სასამართლოსთვის უცნობია.

31. ამდენად, საკასაციო სასამართლო საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების კუმულაციურად შეფასების შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორ დ. ხ-ის მიმართ ეფექტიანად ვერ განხორციელდა საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, ვინაიდან იგი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ აცნობიერებდა მის მიმართ აღძრული სარჩელის სამომავლო შედეგებს, არ ჰქონდა შესაძლებლობა დაეცვა თავისი უფლებები ან კანონით გათვალისწინებული ინტერესები, ამასთან, მის მიმართ დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით დადგენილი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, მას არ მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა მოსარჩელესთან თანაბარი უფლებებით, დაესაბუთებინა თავისი მოთხოვნები, უარეყო ან გაექარწყლებინა მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები, განესაზღვრა, თუ რომელი ფაქტები უნდა დადებოდა საფუძვლად მის მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურებულიყო ეს ფაქტები.

32. შეჯიბრებითი პროცესის, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილის, მნიშვნელობაზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში იმსჯელა და განმარტა, რომ მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებოდათ თავიანთი სარჩელის წარმა-

ტებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and Others v. The Czech Republic*, 2005 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება, no. 61811/00, §59; *Niderost-Huber v. Switzerland*, 1997 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions 1997-I*, გვ. 108, §24; *K.S. v. Finland*, 2001 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება no. 29346/95, §21) (იხ. სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

33. საქმეში ჰუდაკოვა და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ: „სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტი, მხარეთა თანასწორობის პრინციპი, მოიცავს მხარეთა უფლებას, ჰქონდეთ გონივრული შესაძლებლობა, წარადგინონ თავიანთი საქმე სასამართლოს წინაშე ისეთ პირობებში, რომლებიც არ ჩააყენებს მათ არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მეორე მხარესთან შედარებით“ (იხ. *Hudakova and Others v. Slovakia*, 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, no. 23083/05, §25). იმავე საქმეში ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ „მოთხოვნა, სამართალწარმოების მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია და კომენტარი გააკეთონ წარდგენილ მტკიცებულებებსა და მოსაზრებებზე, მოქმედებს როგორც პირველ ინსტანციაში, ისე გასაჩივრების დროს, იმის მუხედავად, გასაჩივრების დროს არის თუ არა წარმოდგენილი ახალი მოსაზრებები. ყველა მხარისათვის მოსაზრებების გაცნობის მოთხოვნა გამომდინარეობს საჭიროებიდან, რომ მხარეებს ჰქონდეთ რწმენა მართლმსაჯულების განხორციელებისა და რომ მათ უარი არ ეთქვათ შესაძლებლობაზე გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები იმ საკითხებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე“ (იხ. *Hudakova and Others v. Slovakia*, 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, no. 23083/05, § 29) (იხ. სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

34. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქმე ეხება მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის დავას და აღნიშნულ საქმეზე მოპასუხეთათვის უარყოფითი სამართლებრივი შედეგის დადგომის შემთხვევაში კასატორს დ. ხ-ს ჩამოერთმევა სადავო ქონების მფლობელობა, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მისთვის სამართლებრივი დახმარების განევისა და სათანადო წარმომადგენლობის არსებობა.

35. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფ-

ლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

36. უფლებებისა და თავისუფლებების არსებობისა და ეფექტური რეალიზებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობას. უფლება ის ლეგიტიმური ინტერესია, რომელიც ამართლებს დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირის თავისუფლების შეზღუდვას. ხოლო კონკრეტული ინტერესის უფლებად განსაზღვრის შედეგი არის სწორედ ის, რომ მისი ხელყოფის ან შესაძლო ხელყოფის შემთხვევაში, უფლების სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ხელყოფის საფრთხისგან დაცვა ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. „უფლება“ ვერ იქნება პირის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის რეალური გარანტია, ის იქნება მხოლოდ თეორიული და ფიქციური, თუ მას არ ახლავს სასამართლო წესით მისი დაცვის შესაძლებლობა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

37. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც კასატორს დ. ხ-ს, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის გამო (ფსიქიკური და ქცევითი დარღვევები) არ შეეძლო ადეკვატურად შეეფასებინა შექმნილი სიტუაცია, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მის წინააღმდეგ მიმდინარე დავის განხილვამ მისი უფლებების ეფექტურად დამცველი წარმომადგენლის გარეშე გამოიწვია მის მიმართ ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით განსაზღვრული ისეთი ფუნდამენტური უფლების დარღვევა, როგორცაა საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. ვინაიდან კასატორს ქვედა ინსტანციის სასამართლოებში სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ გაეწია სათანადო იურიდიული დახმარება, სააპელაციო სასამართლოს განჩინება, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კასატორის დ. ხ-ის მიმართ გამოტანილია მისი მონაწილეობის გარეშე, რაც სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. გამომდინარე აქედან, საქმე უკან

უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად, რა დროსაც ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ხომ არ არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების საფუძველები.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. დ. ხ-ის, ნ. ხ-ისა და მ. ხ-ის (კანონიერი წარმომადგენელი ნ. ხ-ი) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. კასატორები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უწყებრივი ქვემდებარეობა

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-665-621-2017

11 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ვ. ლ-ეს (შემდეგში: მოსარჩელე ან მსჯავრდებული) 2010 წლის 12 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის №1/ბ-693-10 განაჩენით საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და დაეკისრა ჯარიმა 600 000 ლარი.

2. დაკისრებული ჯარიმა მსჯავრდებულმა 2010 წლის 13 აგვისტოს №44504 საგადახდო დავალებით გადაიხადა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს განაჩენით, რომელიც დადგენილ იქნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის შუამდგომლობა და შთანთქმის პრინციპის გამოყენებით საბოლოოდ მსჯავრდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მარტის განაჩენით, მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 აგვისტოს განაჩენი მსჯავრდებულის მიმართ დარჩა უცვლელი. ამავდროულად განაჩენით უარი ეთქვა მსჯავრდებულს გადახდილი ჯარიმის დაბრუნებაზე, იმ დასაბუთებით, რომ კანონიერი საფუძვლების შესაბამისად გადახდილი ჯარიმის მსჯავრდებულისათვის დაბრუნების მექანიზმს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

4. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდეგში: მოპასუხე ან სამინისტრო) წინააღმდეგ და მოითხოვა 2010 წლის 13 აგვისტოს №44504 საგადახდო დავალებით



სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი 600 000 ლარის უკან დაბრუნება.

5. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია განჩინების პპ: 1-4. იმავდროულად, მოსარჩელემ განმარტა, რომ მას უარი ეთქვა თანხის დაბრუნებაზე წერილობით, რის შემდეგაც, მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მოპასუხეს, რის დაკმაყოფილებაზეც უარი ეთქვა მოპასუხის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით. შესაბამისად, მოსარჩელემ გამოიყენა უფლების დაცვის სასარჩელო ფორმა.

6. მოპასუხემ წარმოადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი, რომელშიც განმარტა, რომ თანხა სახელმწიფო ხაზინაში ჩაირიცხა აღსრულების ეროვნული ბიუროდან. შესაბამისად, თანხის დაბრუნებაზე მოთხოვნაც აღმასრულებელი ბიუროს მიერ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მოსარჩელეზე დაკისრებული თანხა წარმოადგენდა სასჯელის ერთ-ერთ სახეს, რომლის გადახდით მოსარჩელემ ფაქტიურად მოიხადა სასჯელი, რაც მის უკუმოთხოვნას გამომრიცხავდა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 09 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 600 000 ლარი.

8. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით წარდგენილ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე მოპასუხეს ეთქვა უარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 მარტის განჩინებით.

9. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია განჩინების პპ: 1-4-ით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

10. დავის სამართლებრივი მონესრიგების მიზნით, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 976-ე-991-ე მუხლებით.

11. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი მიღებული უკან დაბრუნების ვალდებულებას უკავშირებს მხოლოდ გარიგების ნამდვილობას. სასამართლოს მოსაზრებით, ნორმის დანაწესი მიღებული უკან დაბრუნებას უკავშირებს არამხოლოდ გარიგების ნამდვილობას, არამედ ნორმის წინაპირობების განხორციელებულად მიჩნევას იმ შემთხვევაშიც თუ, ვალდებულება სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. კანონი ითვალისწინებს როგორც ვალდებულების წარმოშობის, ისე შეწყვეტის სხვადასხვა საფუძველს და უსაფუძლო გამდიდრე-



ბის ნორმებიდან გამომდინარე მიღებული უკან დაბრუნების დაკავშირება მხოლოდ ერთ კონკრეტულ საფუძველზე დაუშვებელია. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები პპ: 1-4 სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, უდავოდ მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მართალია თავდაპირველად არსებობდა ფულადი ვალდებულების შესრულების საფუძველი, თუმცა, იგი შეწყვეტილ იქნა შემდგომში.

12. აპელანტის მოსაზრებით, თანხის გადახდის მომენტი სათავის (2010 წლის 13 აგვისტოს) 2010 წლის 12 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულზე 600000 ლარის გადახდის თაობაზე დაკისრებული ვალდებულება ძალაში იყო, შესაბამისად, ამ დროისათვის არსებობდა ამ ქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი. უსაფუძვლო გამდიდრებას კი, ადგილი ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ, მოსარჩელე თანხას გადაიხდიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 02 აგვისტოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ.

13. სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილსა და შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ვალდებულებაზე კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

14. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ იმსჯელა მოპასუხის სათანადოობის საკითხზე და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის №341-ე დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების პირველი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამინისტრო არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში. ამასთან, ამავე დებულების მე-3 მუხლის „ა“ და ქვეპუნქტის შესაბამისად სამინისტროს ფუნქციებია საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ქვეყნის საფინანსო სისტემის მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირების ღონისძიებათა განხორციელება, ხოლო „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მის შემოსულობათა ოპერატიული მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება. მითითებული ნორმებიდან გამომდინარე სწორედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროა ვალდებული განახორციელოს სახელმწიფო მმართველობა საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში, რაც მის

სათანადობაზე მეტყველებს.

15. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

16. კასატორის მითითებით, 2010 წლის 12 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის №1/ბ-693-10 განაჩენით მონინალმდეგე მხარეს სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად დაუდგინდა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე, დამატებით სასჯელად სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად განესაზღვრა 600 000 ლარის გადახდა, რომელიც მსჯავრდებულმა გადარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში და ამით მოიხადა ზემოთხსენებული მუხლით განსაზღვრული სასჯელი. მოგვიანებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს №1ა/გ-1830-13 განაჩენით სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა სასჯელმა შთანთქა ამავე მუხლით განსაზღვრული ნაკლებად მძიმე სასჯელი (600 000 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა). ვინაიდან განაჩენით შთანთქმის პრინციპი გავრცელდა მსჯავრდებულის მიერ უკვე მოხდილ სასჯელზე, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლო თავის მსჯელობაში აღნიშნეს, რომ სახეზე იყო სსკ-ის 976-ე მუხლის შემადგენლობა, რის გამოც, სახელმწიფო ბიუჯეტი უსაფუძვლოდ გამდიდრდა და სასამართლომ ჩათვალა, რომ მონინალმდეგე მხარეს უნდა დაუბრუნდეს ბიუჯეტში გადახდილი თანხა, რაც კასატორს უმართებულოდ მიაჩნია და მიუთითებს სსკ-ის 385-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც „ის, რაც ვალდებულების გარეშეა გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვნილი“. ასევე, მიუთითებს სსკ-ის 976-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება გარეგნის ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდება შემდგომში. კასატორი უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე №ას-456-805-07, სადაც განიმარტა, რომ უსაფუძვლოდ გამდიდრების ინსტიტუტის მიზანს წარმოადგენს უსაფუძვლოდ, უსამართლოდ შექცენილი ქონების ამოღება, ანუ სამართლებრივი წონასწორობის აღდგენა. გაუმართლებლად შექცენილ ქონებაში იგულისხმება შეღავათის, უპირატესობის, უფლების ამოღება, ე.ი. ქონებრივი ნაშთის ამოღება იმ პირის სასარგებლოდ, რომლის ხარჯზეც მოხდა სხვა პირის ქონების გაზრდა და არა ქონებრივი დანაკლისის შევ-

სება. ანუ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია არსებობდეს ქონების გადაცემის ფაქტი, რასაც არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი (სსკ-ის 976-ე მუხლი). სხვა საქმეზე №ას-74-71-2016, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმეთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამართლიანობის აღდგენა, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, სსკ-ის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ასრულებს ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას, რაც ექვემდებარება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე. კასატორი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლებისა და უზენაესი სასამართლოს განმარტებიდან გამომდინარე პირს შეუძლია მოითხოვოს თანხის დაბრუნება, თუ თანხა ვალდებულების გარეშეა გადახდილი და აღნიშნული მუხლებით უნდა იხელმძღვანელონ სტანდარტულ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა.

17. საკასაციო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს გამამტყუნებელი განაჩენით პირისათვის თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრება არა ვალდებულების საკომპენსაციოდ, ან სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, არამედ როგორც სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით ჩადენილი დანაშაულისთვის დადგენილი სასჯელი. აქვე, უთითებს იმ ფაქტზე, რომ სისხლის სამართლის საქმეზე არ მომხდარა მონინაალმდეგე მხარის გამართლება და ხსენებულ საქმეზე არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი მონინაალმდეგე მხარის მიმართ. კასატორს მიაჩნია, რომ ზემოთხსენებული განაჩენით დამდგარი ვალდებულება არ ჯდება სტანდარტული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში და არ გამომდინარეობს კონკრეტული სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებიდან, რადგან მონინაალმდეგე მხარეს თანხის გადახდის ვალდებულება დაეკისრა არა გარიგების გამო, არამედ ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. კასატორის აზრით, ზემოთხსენებული ვალდებულების წარმოშობის მომენტში არსებობდა ამ ქმედების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი და შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრებას ადგილი ექნე-

ბოდა მხოლოდ მაშინ, თუ არ იარსებებდა იმ ვალდებულების შესრულების სამართლებრივი წინაპირობა. ამასთანავე, კასატორი მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია სწორად იქნეს გაგებული სისხლის სამართლის კოდექსით აღიარებული შთანთქმის პრინციპი, კერძოდ ის, რომ ამა თუ იმ ზომის სასჯელის შთანთქმა განპირობებული არაა შთანთქმული სასჯელის განმსაზღვრელი დანაშაულის არ არსებობით, არამედ იგი გამომდინარეობს მიზანშეწონილობის პრინციპიდან და მიმართულია გონივრული სასჯელის შეფარდების აუცილებლობისკენ, რათა გარანტირებული იყოს მართლმსაჯულების განხორციელება სამართლიანი სასამართლოს პირობებში. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მოწინააღმდეგე მხარის მიმართ დაწესებული სასჯელის შთანთქმა არ წარმოშობს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებას სახელმწიფოს მიმართ, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარის მიერ თანხა გადახდილ იქნა კანონიერი საფუძვლით (სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენის გათვალისწინებით).

18. კასატორი აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ თანხა გადაიხადა ბიუჯეტში გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, რითაც მოსარჩელემ მოიხადა თავისი სასჯელი და მხოლოდ აღნიშნული ფაქტის შემდეგ ამოქმედდა ნაკლებად მძიმე სასჯელის შთანთქმის პრინციპი, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს უკვე მოხდილ სასჯელზე უკუძალის პრინციპის გამოყენების შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ლოგიკის გაზიარებით პირს, რომელმაც სასჯელალსრულების დაწესებულებაში დაჰყო გარკვეული პერიოდი და ამის შემდეგ მოხდა მის მიერ ჩადენილი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელის შთანთქმა, შეუძლია მოსთხოვოს ფულადი კომპენსაცია სახელმწიფოს გამამართლებელი განაჩენის გარეშე.

19. საკასაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს სსსკ-ის 377-ე მუხლის მეორე ნაწილზე, ასევე 393-ე და 394-ე მუხლებზე, რომლითაც სააპელაციო სასამართლო ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას. ამასთანავე, აღნიშნავს საკასაციო საჩივრის სამართლებრივ საფუძვლებს სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, როცა გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი და მიუთითებს სსსკ-ის 394-ე მუხლის შინაარსზე. აქვე განაცხადებს თავის პრეტენზიას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე, კერძოდ, აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამო-

ეყენებინა. კასატორს მიაჩნია, რომ დარღვეულ იქნა სამართლის ნორმები და გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი და სახეზეა საკასაციო საჩივრის საფუძვლები (სსსკ-ის 377-ე, 393-ე და 394-ე მუხლები).

20. კასატორი უთითებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე და განაცხადებს, რომ საკასაციო სასამართლოს პალატის მიერ მოცემულ დავაზე სააპელაციო სასამართლოს პალატის მსჯელობის გაზიარება მცდარი პრაქტიკის დადგენის საფუძველი გახდება. ასევე, აღნიშნავს, რომ არ არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მსგავს საქმეზე და ხსენებული საქმე მნიშვნელოვანია. იგი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის და სამართლის შემდგომი განვითარებისათვის.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოთხოვნას წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 მარტის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2017 წლის 30 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

23. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

24. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩელეს 2010 წლის 12 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის №1/ზ-693-10 განაჩენით საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად დაუდგინდა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და დაეკისრა ჯარიმა 600 000 ლარი.

25. დაკისრებული ჯარიმა მსჯავრდებულმა 2010 წლის 13 აგვისტოს №44504 საგადახდო დავალებით გადაიხადა.

26. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს განაჩენით, რომელიც დადგენილ იქნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის შუამდგომლობა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით და საბოლოოდ, მსჯავრდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის სახედ და ზომად გამოყენებულ იქნა თავისუფლების აღკვეთა და არა ჯარიმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მარტის განაჩენით, მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 აგვისტოს განაჩენი მსჯავრდებულის მიმართ დარჩა უცვლელი.

27. საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის 600 000 ლარის დაკისრების მართლზომიერება წარმოადგენს.

28. ფაქტობრივი გარემოებების (ამ განჩინების პპ: 1-4) სამართლებრივი შეფასების ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩინა, რომ მართალია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ივლისის განაჩენით არსებობდა ფულადი ვალდებულების შესრულების საფუძველი, თუმცა, ეს ვალდებულება შემდგომში შეწყვეტილ იქნა.

29. მოთხოვნის დაკმაყოფილებას სამართლებრივ საფუძველად დაედო სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და ზოგადი ნორმა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის კეთილსინდისიერების შესახებ [მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი].

30. შესაბამისად, საკასაციო პალატა პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს სარჩელის მოთხოვნასა და მის ფაქტობრივ საფუძველზე: სარჩელით მოთხოვნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის 600 000 ლარის დაკისრება, ხოლო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი მდგომარეობს 2010 წლის 12 ივლისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის № 1/ბ-693-10 განაჩენის აღსრულების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტში ჯარიმის თანხის გადახდაში. მოსარჩელე მიუთითებს, რომ მას სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად დაუდგინდა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე, დამატებით სასჯელად სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად განესაზღვრა 600 000 ლარის გადახდა, რომელიც მან გადაარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. მოგვიანებით კი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს № 1ა/გ-1830-13 განაჩენით სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა სასჯელმა შთანთქა ამავე მუხლით განსაზღვრული ნაკლებად მძიმე სასჯელი (600 000 ლარის ოდენობით

ჯარიმის გადახდა), მსჯავრდებულის მიერ ჯარიმის სახით გადახდილ თანხაზე, სახელმწიფოს არ გააჩნია საკუთრების მოპოვების სამართლებრივად ვარგისი საფუძველი, რის გამოც, სადავო თანხაზე საკუთრების უფლება კვლავ მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს.

31. კასაციის საფუძველები (მიზეზები) იმაში მდგომარეობს რომ გამამტყუნებელი განაჩენით პირისათვის თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრება ემსახურება არა ვალდებულების კომპენსირებას ან სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, არამედ წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით ჩადენილი დანაშაულისთვის დადგენილ სასჯელს. ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებული გამართლებული არ ყოფილა, ამ განაჩენით დამდგარი ვალდებულება არ ჯდება სტანდარტული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში და არ გამომდინარეობს კონკრეტული სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებიდან. მსჯავრდებულს თანხის გადახდის ვალდებულება დაეკისრა არა გარიგების გამო, არამედ ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია სწორად იქნეს გაგებული სისხლის სამართლის კოდექსით აღიარებული შთანთქმის პრინციპი, რომელიც არ წარმოშობს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებას სახელმწიფოს მიმართ, ვინაიდან მოსარჩელის მიერ თანხა გადახდილ იქნა კანონიერი საფუძველით (სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენის გათვალისწინებით) (იხ., კასაციის საფუძველები).

32. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემული დავის მართებულად გადასაწყვეტად სწორად უნდა იქნეს მოძიებული მოთხოვნის განმაპირობებელი სამართლებრივი საფუძველები.

33. ამ თვალსაზრისით კი, საკასაციო პალატამ პირველ რიგში, მსჯელობა უნდა იქონიოს წარმოადგენდა თუ არა მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

34. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია, თუ რა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული დავის საგანი სასამართლოში, ანუ კონკრეტულად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიები და დადგენილია, თუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული



ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სსსკ-ის მე-11 მუხლი კი, შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი. ხსენებული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, კერძოდ, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც სასამართლოებისადმი სამოქალაქო საქმეთა დაქვემდებარების განსაზღვრის პრინციპად დავის შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობას აღიარებს.

35. ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იმსჯელა სასამართლო კოლეგიებს შორის განსჯადობის საკითხზე, განმარტა, რომ „დავის კატეგორიის განსაზღვრისათვის არსებითია სწორედ ნორმატიული კომპონენტი – დავის გამომდინარეობა ამა თუ იმ სამართლის კანონმდებლობიდან (იხ., სუსგ №ბს-1479-1411 (გ-09), 09 თებერვალი, 2010 წელი). გადამწყვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება. კონკრეტულად კი დავის ადმინისტრაციულსამართლებრივი კატეგორიის განსაზღვრისათვის კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კომპონენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, სახეზე იქნება სამოქალაქო სამართლის იურისდიქციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმე“.

36. განსახილველ შემთხვევაში, იმგვარი მოცემულობა, რომ მოსარჩელემ უფლების დასაცავად აღძრა სამოქალაქო სარჩელი, ხოლო სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 976-ე-991-ე მუხლებით, ვერ გახდება დავის სა-



მოქალაქო წესით განსჯადად მიჩნევის საფუძველი.

37. მოცემულ საქმეზე დავის კატეგორიის დადგენისათვის საჭიროა ზუსტად განისაზღვროს მომდინარეობს თუ არა დავის საგანი ადმინისტრაციული სამართლიდან (იხ., სუსგ №ას-292-279-2015, 30 ოქტომბერი, 2015 წელი).

38. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ თანხა, რომლის დაკისრებასაც მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხეზე გადახდილი იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსრულების მიზნით (ჯარიმის თანხა). შესაბამისად, მოცემული დავა მატერიალური თვალსაზრისით, კერძოსამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით შემომნებას ექვემდებარება სწორედ ადმინისტრაციული წესით. სარჩელის სამართლებრივი საფუძველი თანხის უკან დაბრუნების შესახებ არ გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რამდენადაც შესამომნებელია განაჩენის აღსრულების საკითხი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სამოქალაქო კანონმდებლობასთან.

39. იმავდროულად, წინამდებარე დავის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას დაქვემდებარებულ დავად მიჩნევას განაპირობებს შემდეგი გარემოება: პროცესის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს [მოპასუხეს] წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო [საქართველოს ფინანსთა სამინისტრო]; სადავო იურიდიული მოქმედებას წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსრულების მიზნით საჯარიმო თანხის გადახდა.

40. სააპელაციო სასამართლომ კი, გასაჩივრებული განჩინებით მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სსკ-ის სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით [ზოგადი ნორმა] განსაზღვრული საფუძველიდან – დაბრუნების კონდიცია გამომდინარეობდა და მოთხოვნის საფუძველიანობაც სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად შეამონმა, თუმცა, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს, რადგანაც მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც გადანეყვეტილების გაუქმების საფუძველია, კერძოდ, მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯაროსამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის, ხოლო ამ კატეგორიის საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილ-

ვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

41. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს, როგორცაა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი, ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26), კერძოდ, დავის განხილვასა და გადაწყვეტას უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

42. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული საქმის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

43. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი გათავისუფლებუ-

ლია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

44. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებას, ეს საკითხი ასევე შემაჯამებელი გადანაცვებების გამოტანისას უნდა გადანაცვდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

### სასამართლო უწყების შინაარსი

#### განჩინება

#### საქართველოს სახელმწიფო

№ას-930-888-2013

19 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეცი,  
ბ. ბაქაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება (სარჩელში), ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება (შეგებებულ სარჩელში).

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „კ.ე.მ-მა“ (შემდეგში: მოსარჩელემ, შეგებებული სარჩელის მოპასუხემ, აპელანტმა ან კასატორმა) ს.ვ-ის (შემდეგში: მოპასუხის, შეგებებული სარჩელის მოსარჩელის ან მოწინააღმდეგე მხარის) მიმართ და მოპასუხისათვის 2 000 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა თავის სასარგებლოდ.

2. მოსარჩელის განმარტებით, 22.11.2010 წელს მოსარჩელესა და შპს „ვ.ჯ.პ-ის“ (შემდეგში გამყიდველს) შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მოსარჩელემ გამყიდველისგან შეიძინა სავენტილაციო პროდუქცია. მოსარჩელემ გამყიდველს ავანსად გადაურიცხა 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი. გამყიდველმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მოსარჩელეს არ მიაწოდა. 10.11.2011 წელს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მოპასუხემ, როგორც გამყიდველის უფლებამონაცვლემ, მოსარჩელის წინაშე იკისრა ვალდებულება, 01.12.2012 წლამდე ამ უკანასკნელისათვის გადაეხადა 2 000 000 აშშ დოლარი. თავის მხრივ, საპასუხო შესრულების სახით, მოსარჩელემ მოპასუხეს დაუთმო თავისი მოთხოვნა გამყიდველის მიმართ, გამომდინარე 22.11.2010 წლის ხელშეკრულებიდან. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს დღემდე არ შეუსრულებია 10.11.2011 წლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 10.11.2011 წლის ხელშეკრულება დაიდო მის მიმართ იძულების გამოყენებით და, შესაბამისად, ეს ხელშეკრულება ბათილი იყო. მოგვიანებით მოპასუხემ სასამართლოს მიმართა შეგებებული სარჩელით და მოითხოვა 10.11.2011 წლის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და შეგებებული სარჩელის მოპასუხისათვის, მის სასარგებლოდ, 4 300 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

4. შეგებებული სარჩელის მოსარჩელის განმარტებით, სადავო გარიგება დაადებინეს იძულებით, კერძოდ, მოპასუხე კომპანიის მფლობელები მას ემუქრებოდნენ როგორც მისი, ასევე – მისი ოჯახის წევრებისა და ქონების დაზიანებით. შეგებებული სარჩელის მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო გარიგება ბათილი იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 85-ე-89-ე მუხლების საფუძველზე, ხოლო მეორე მოთხოვნა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მას აეკრძალა თავისი კუთვნილი წილების გასხვისება სხვადასხვა კომპანიებში, რითაც მიაღწა ზიანი.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით: სარჩელი არ დაკმაყოფილდა; შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 10.11.2011 წლის ხელშეკრულება და შეგებებული სარჩელის მოპასუხეს დაეკისრა 4 300 000 აშშ დოლარის გადახდა შეგებებული სარჩელის მოსარჩელის სასარგებლოდ.

6. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე კანონით დადგენილი წესით იყო მონვეული საქმის განხილვაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე არ უცნობებია სასამართლოსათვის. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არასაკმატოდ მიიჩნია მოსარჩელის გამოუცხადებლობა, რაც, მისი მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 229.1 მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, ასევე, სსკ-ის 230.1 მუხლზე და დამტკიცებულად მიიჩნია შეგებებულ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც, სასამართლოს მოსაზრებით, იურიდიულად ამართლებდა შეგებებული სარჩელის მოთხოვნას სსკ-ის 50-ე, 51-ე, 81-ე, 411-ე მუხლების შესაბამისად.

7. ზემოხსენებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა დაუსწრებელი გადან-

ყვეტილების გაუქმება და საქმის განახლება. საჩივრის მიხედვით, მოსარჩელე საქმის განხილვაში არ იყო მონაწილე კანონით დადგენილი წესით, ამასთან, შეგებებულ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა შეგებებულ სარჩელის მოთხოვნას.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 თებერვლის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის საჩივარი და ძალაში დარჩა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ მოსარჩელის წარმომადგენელს შეწყვეტილი ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და, შესაბამისად, მისთვის უწყება ჩაბარებულად ვერ მიიჩნეოდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ უცნობებია თავისი წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ამიტომ წარმომადგენლობა შეწყვეტილად ვერ მიიჩნეოდა და, შესაბამისად, უწყებაც ჩაბარებულად ითვლებოდა. სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის არც მეორე პრეტენზია. სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებულ სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა შეგებებულ სარჩელის პირველ მოთხოვნას სსკ-ის 85-ე-87-ე მუხლების, ხოლო მეორე მოთხოვნას, სსკ-ის 199-ე და სსკ-ის 408.1 მუხლების საფუძველზე.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო წესით გასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის განახლება. აპელანტის განმარტებით, მოსარჩელე საქმის განხილვაში არ იყო მონაწილე სსკ-ის 72.1 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ: ა. მოსარჩელის წარმომადგენელს არ ეცნობა სასამართლოს ზუსტი მისამართი და დავის საგანი; ბ. მოსარჩელის წარმომადგენელს არ განემარტა, რომ იგი ვალდებული იყო, დაუყოვნებლივ ეცნობებინა მხარისათვის სასამართლოდან მიღებული შეტყობინების თაობაზე; გ. მოსარჩელის წარმომადგენელს არ განემარტა გამოუცხადებლობის შედეგებსა და ვალდებულებაზე, ეცნობებინა სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის მიზეზები; დ. მოსარჩელის წარმომადგენელს არ მიეცა წინადადება, წარმოედგინა მასთან არსებული ყველა მტკიცებულება. ამასთან, შეგებებულ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა შეგებებულ სარჩელის მოთხოვნას.

**10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 ივ-**

ლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

10.1. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია, რომ მას უწყება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით არ ჩაჰბარებია და დაასკვნა, რომ მოსარჩელეს კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

10.2. საქმეში არსებული რწმუნებულების მიხედვით, მოსარჩელეს წარმომადგენელზე უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით ჰქონდა მინიჭებული. სასამართლოსათვის ცნობილი არ იყო, რომ ამ უკანასკნელს შეწყვეტილი ჰქონდა წარმომადგენლობის უფლებამოსილება. ამის შესახებ სასამართლოსათვის არ უცნობებია არც მოსარჩელე მხარეს და არც მის წარმომადგენელს, მათ შორის არც სატელეფონო შეტყობინების ჩაბარებისას.

10.3. სატელეფონო შეტყობინების ჩანაწერის შინაარსით კი დგინდებოდა, რომ მოსარჩელის წარმომადგენლისათვის ცნობილი იყო, რომელი დავის თაობაზე ჰბარდებოდა სასამართლო უწყება, რომელ მხარეებს შორის იყო დავა და რომელ სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო. შესაბამისად, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია, რომ სასამართლოს მოხელემ არასრულად და კანონის მოთხოვნათა დარღვევით ჩააბარა სასამართლო უწყება.

10.4. რაც შეეხება გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე გაუფრთხილებლობას, სასამართლომ გაითვალისწინა როგორც სატელეფონო შეტყობინების შინაარსი, ასევე – ის გარემოება, რომ ადრესატი იყო ადვოკატი, იურიდიული განათლების მქონე პირი, რომლისთვისაც კარგად იყო ცნობილი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგები.

10.5. ამდენად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ აპელანტმა ვერ დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

10.6. პალატამ განმარტა, რომ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლო გადასინჯავს საჩივრის ფარგლებში, კერძოდ, რამდენად სწორად იქნა გამოტანილი იგი და ხომ არ არსებობს მისი გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველები. ამასთან, სასამართლო შეზღუდული არ არის, საკუთარი ინიციატივითაც გამოიკვლიოს, თუ რამდენად იყო დაცული დაუსწრებე-



ლი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის პროცესუალური წინაპირობები, ხოლო მატერიალურსამართლებრივი შეცდომების საფუძვლის შემონემების შესაძლებლობა სასამართლოს მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც საჩივარი შეიცავს მასზე მითითებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დაირღვევა სსსკ მე-4 მუხლით განსაზღვრული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპი – შეჯიბრებითობა.

10.7. აპელანტი სააპელაციო საჩივარში აპელირებს, რომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა იურიდიულად არ იყო მართებული, თუმცა აღნიშნულის თაობაზე არ აქვს მითითებული საჩივარში. რამდენადაც სარჩელის მოთხოვნის იურიდიული მართებულობის საკითხის გადასინჯვა წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მატერიალურსამართლებრივი შეცდომების საკითხს და საჩივრის ავტორს ამის თაობაზე არ აქვს მითითებული საჩივარში, პალატამ შეგებებული სარჩელის იურიდიულ მართებულობაზე არ იმსჯელა.

**11. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის არსებითად განხილვის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

11.1. სატელეფონო შეტყობინების აქტი ნამდვილია, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. აქტი უნდა შეესაბამებოდეს სატელეფონო ჩანაწერს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ბათილია. შეტყობინების აქტის ბათილობა კი ნიშნავს, რომ აღარ არსებობს შეტყობინების დამადასტურებელი მტკიცებულება და მხარე არ ყოფილა სასამართლო პროცესზე მინვეული სათანადო წესით, რაც გამორიცხავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

11.2. კასატორის მტკიცებით, სატელეფონო აქტი და ჩანაწერი არ არის იდენტური, ამასთან აუდიოჩანაწერი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 72-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, სატელეფონო შეტყობინებით მოსამართლის თანაშემწეს მოსარჩელის წარმომადგენლისათვის არ უცნობებია სასამართლოს ზუსტი მისამართი, დავის საგანი, ასევე ის, რომ იგი ვალდებული იყო, დაუყოვნებლივ ეცნობებინა მხარისათვის პროცესის ჩანიშვნის შესახებ, არ განუმარტავს არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგები, არ შეუთავაზებია წარედგინა ყველა ის მტკიცებულება, რასაც იგი საქმესთან დაკავშირებით ფლობდა.

11.3. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საპროცესო ნორმები, როდესაც მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის მეორე საფუძველზე (რომ შეგებებული სარ-



ჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას) მსჯელობა, შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა იქნებოდა. კასატორის მტკიცებით, შეჯიბრებითობა დამთავრდა იქ, სადაც მხარემ ფაქტობრივი გარემოებები ჩამოაყალიბა და ისინი იურიდიულად მისთვის სასურველ შედეგს დაუკავშირა, ხოლო სამართლებრივად რამდენად სწორად გააკეთა, სწორედ სასამართლომ უნდა შეამოწმოს. როდესაც არსებობს სასამართლოს ვალდებულება, იქ შეჯიბრებითობა ქარწყლდება, ხოლო თუ სასამართლო არღვევს ამ ვალდებულებას, შეცილების საფუძველი არის პროცესუალურსამართლებრივი და არა – მატერიალურსამართლებრივი. ამასთან, ეს სადავო გარემოება შეცილებულ იქნა პირველივე ინსტანციაში და სასამართლომ მასზე საჩივრის განხილვის ეტაპზე იმსჯელა.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

13. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

14. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 5 თებერვლის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, რის გამოც სასამართლომ მის წინააღმდეგ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა.

15. სსსკ-ის 241-ე მუხლი (დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის) განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია

დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია, გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

16. სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველ ნაწილში (მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებულ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს საარჩელის აღძვრის წინაპირობები) მოცემულია იმ შემთხვევების ჩამონათვალი, რომელთა არსებობის დროს დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ნორმაში აღწერილ შემთხვევათაგან ერთ-ერთის არსებობისას, სასამართლო არაა უფლებამოსილი, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხოლო, თუ ასეთი გადაწყვეტილება მაინც იქნება მიღებული, იგი უნდა გაუქმდეს.

**17. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოსარჩელე კანონით დადგენილი წესით იყო მონვეული საქმის განხილვაში და იზიარებს კასატორის პრეტენზიას სასამართლო სხდომაზე მისი მონვევისას კანონის დარღვევასთან დაკავშირებით, შემდეგ გარემოებათა გამო:**

17.1. უწყების ჩაბარების კანონით დადგენილი წესი ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: უწყება უნდა ჩაჰპარდეს ადრესატს იმ გონივრულ ვადაში, რა ვადაშიც ის შეძლებს სხდომაზე გამოცხადებასა და სხდომისათვის მომზადებას, უწყება ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს, ანუ ირკვეოდეს მისი შინაარსი, დრო და გამოუცხადებლობის შედეგები.

17.2. იმ შემთხვევაში, თუ უწყება არ პასუხობს სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის (უწყება უნდა შეიცავდეს: ა) სასამართლოს სახელწოდებასა და ზუსტ მისამართს; ბ) მითითებას გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ, ხოლო, თუ უწყება ეგზავნება წარმომადგენელს, – აგრეთვე, მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი ვალდებულია, აცნობოს ამის შესახებ მხარეს, რომლის წარმომადგენელიც არის; გ) საქმის დასახელებას, რომლის გამოც იბარებენ ამა თუ იმ პირს და მითითებას დავის საგნის შესახებ; დ) სასამართლოში დასაბარებელი პირის ვინაობას, აგრეთვე, იმას, თუ რა სტა-

ტუსით არის იგი დაბარებული და მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ; ე) წინადადებას მხარეების მიმართ, წარმოადგინონ მათთან არსებული ყველა მტკიცებულება; ვ) მითითებას იმის თაობაზე, რომ ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია, პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს; ზ) მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები) მოთხოვნებს და მხარის მიმართ გამოიტანება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აღნიშნული იქნება აბსოლუტური საფუძველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა.

17.3. მოსარჩელისათვის ჩაბარებული უწყება, რომ მითითებულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა სადავო არ არის, თუმცა სააპელაციო სასამართლომ სატელეფონო შეტყობინების საერთო შინაარსისა და იმის გათვალისწინებით, რომ ადრესატი ადვოკატი იყო (რომლისთვისაც სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგები ცნობილი უნდა ყოფილიყო), უწყება კანონით დადგენილი წესით ჩაბარებულად მიიჩნია.

17.4. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ამ მსჯელობას და განმარტავს, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია არც სასამართლოს და არც მხარეთა შეხედულებაზე არაა დამოკიდებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარისა და ადვოკატისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ნორმის განმარტება იმგვარად, რომ ადვოკატმა ისედაც იცის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები და აღარ უნდა ეცნობოს, არ არის მართებული. საპროცესო ნორმის ამგვარი ინტერპრეტაცია არასწორია იმიტომაც, რომ ის მძიმე ტვირთად დაანებოდა თავად მხარეს. მხარეებს, ისევე, როგორც მათ წარმომადგენლებს, უწყება უნდა ჩაჰბარდეთ დადგენილი ფორმით, რა დროსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სიზუსტეს. სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს რამდენად სწორად არის წერილობითი ფორმით შედგენილი თუ ტელეფონით გადაცემული უწყება ჩაბარებული, ანუ რამდენად შეესაბამება უწყების შინაარსი სსსკ-ის 72.1 მუხლის მოთხოვნებს.

**18. კასატორის მოწინააღმდეგე მხარე როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო შესაგებელში აპელირებს, რომ მოსარჩელე პირველ ინსტანციაში წარდგენილ საჩივარში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად უწყების არასრულად ჩაბარების თაობაზე არ უთითებდა.**

18.1. აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატა განმარტავს, რომ საპროცესო ვალდებულებების არსებობა შეფჯობებით პროცესში მხარეთა უფლებების დაცვის, საპროცესო ეკონომიის პრინციპისა და, საბოლოოდ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარანტიაა. შეფჯობებითობის საფუძველზე განხორციელებული საქმისწარმოებისას კი, სწორედ სასამართლო იმის გარანტი, რომ უზრუნველყოს მხარეთა მიერ სასამართლო პროცესთან დაკავშირებული წესების დაცვა, რათა უსაფუძვლოდ და უკანონოდ არ შეილახოს რომელიმე მხარის უფლება. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე მხარე საჩივარში უთითებდა, რომ იგი კანონით დადგენილი წესით არ იყო მინვეული სასამართლო განხილვაზე, სასამართლო თავად იყო ვალდებული, შეემონმებინა, ხომ არ დაირღვა მხარის უფლება მისი სასამართლო განხილვაზე არასათანადო წესით მონვევის გამო, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გულისხმობს უწყების იმდაგვარად ჩაბარებასაც, რომ მხარისათვის ცნობილი იყოს როგორც მისი შინაარსი, ისე – გამოუცხადებლობის შედეგები.

18.2. ამასთან, რამდენადაც პროცედურული წესები მოდავე მხარეთათვის თანაბარ უფლება-ვალდებულებებს ითვალისწინებს, სასამართლოს მიერ მათი ზედმინევით დაცვა აუცილებელია, რაც ნორმის განსაკუთრებით მკაცრ ინტერპრეტაციად არ უნდა შეფასდეს.

18.3. ამგვარი მიდგომა განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლითაც: მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფრო ფართო ცნების ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს, რომ თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს მისი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ აყენებს არსებითად არამომგებიან პოზიციაში მის ოპონენტთან შედარებით (*Niderost-Huber v. Switzerland*; *Kress v. France*; *Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*). ამასთან, ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, მოაწყონ თავიანთი სამართლებრივი სისტემები იმგავრად, რომ ხელი შეუწყონ სწრაფ და ეფექტურ საქმისწარმოებას, გადაწყვეტილებების დაუსწრებლად გამოტანის შესაძლებლობის ჩათვლით (*Azdajic v. Slovenia*), თუმცა ეს არ შეიძლება განხორციელდეს სხვა სამართლებრივი გარანტიების, განსაკუთრებით მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე. ის შეიძლება, მხოლოდ ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს, რომ უზრუნველყოფილი იყოს საქმისწარმოების სისწრაფე და ეფექტურობა, თუმცა ეს ღონისძიება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით, მხარეთა თანასწორობის

პრინციპის საზიანოდ.

18.4. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ პროცედურული წესის არასწორმა ინტერპრეტაციამ მოსარჩელეს ჩამოართვა სარჩელის განხილვის უფლება, რითაც შეილახა მისი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელე მხარე არ იყო სათანადოდ ინფორმირებული სასამართლო განხილვის შესახებ, მას უწყება კანონით დადგენილი წესით არ ჩაჰბარდა, შესაბამისად, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ეწინააღმდეგება სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით), რაც, სსსკ-ის 241-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

20. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სარჩელის იურიდიული გამართულობის, ანუ იმის შემოწმება, სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს თუ არა სასარჩელო მოთხოვნას, სასამართლოს ვალდებულებაა. ეს ვალდებულება პირდაპირ გამომდინარეობს სსსკ-ის 230-ე მუხლის შინაარსიდან (1. თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. 2. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელს მის დაკმაყოფილებაზე). ამ ნორმის თანახმად, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლო არ ამოწმებს და არ აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, მაგრამ არკვევს, გააჩნია თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას მატერიალურსამართლებრივი საფუძველი და სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები ამართლებენ თუ არა შესაბამისი კანონის თანახმად მოსარჩელის მოთხოვნას. ამდენად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელს არ დააკმაყოფილებს, მაგრამ, თუ სასამართლო მაინც გამოიტანს დაუსწრებელ გა-

დანყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, მაშინ ეს გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს. ამასთან, მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძვლით ითხოვს მოპასუხე დაუსრულებელი გადანყვეტილების გაუქმებას, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს სარჩელის იურიდიული გამართულობაც, ვინაიდან ეს არის სამართლებრივი შეფასების საგანი, რომელსაც სასამართლო თავისი ინიციატივით ამოწმებს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს ჰქონდა ვალდებულება, შეემოწმებინა შეგებებული სარჩელის იურიდიული გამართულობა, მათ შორის, ისიც, ჰქონდა თუ არა მოწინააღმდეგე მხარეს სარჩელის უზრუნველყოფით გამონეული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის აღძვრის უფლება, კერძოდ, შესრულებულია თუ არა სსსკ-ის 199.3 (თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადანყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად) მუხლით გათვალისწინებული სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

21. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ვინაიდან საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადანყვეტილება საქმეზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. შპს „კ.ე.მ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. მხარეები

#### საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით

#### ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-1471-1391-2017

22 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიჩაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „თ.ბ-სა“ (შემდეგში: ბანკი) და ლ.მ-ძეს (შემდეგში: პირველი მოპასუხე, მოსარჩელის ძმა ან მოვალე) შორის 2011 წლის 27 მაისს საბანკო კრედიტის ხელშეკრულება №1090915-1351417 დაიდო, რომლის თანახმად პირველ მოპასუხეს 290 000 აშშ დოლარი გადაეცა. აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვითა მ.მ-ძის (შემდეგში: მოსარჩელე, მესაკუთრე, კრედიტორი ან აპელანტი) სახელზე რიცხული ქ. თბილისი, .... მდებარე უძრავი ქონება (შემდეგში: უძრავი ქონება).

2. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ბანკმა მოსარჩელის სახელზე რიცხული უძრავი ქონების რეალიზაცია მოახდინა.

3. ლ.ბ-მა (შემდეგში: მოვალის ქვისლი, პირველი თავდები ან მეორე მოპასუხე) 2012 წლის 18 იანვრის ხელწერილით (შემდეგში: ვალის აღიარების ხელწერილი) მესაკუთრის მიმართ დავალიანება – 78 000 აშშ დოლარი აღიარა, რაც მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის და შემდეგ მისი რეალიზაციიდან გამომდინარეობდა (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი).

4. ვალის აღიარების ხელწერილში თავდებებად აღნიშნული არიან: მეორე მოპასუხე და გ.ბ-ი (შემდეგში: მესამე მოპასუხე, მეორე თავდები, მეორე მოპასუხის ბიძაშვილი ან კასატორი). მეორე მოპასუხემ აღიარა, რომ ვალის აღიარების ხელწერილში გაკეთებული ხელმოწერა მას ეკუთვნის.

#### 5. სარჩელის საფუძვლები

5.1. მოსარჩელემ (კრედიტორმა) 2015 წლის 13 იანვარს სარჩე-



ლი აღძრა პირველი, მეორე და მესამე მოპასუხეების წინააღმდეგ მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად 78 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

5.2. მოსარჩელემ თავისი სასარჩელო მოთხოვნა ამ განჩინების 1-4 პუნქტებში დასახელებულ გარემოებებს დააფუძნა.

## **6. მესამე მოპასუხის შესაგებელი**

6.1. მესამე მოპასუხემ (მეორე თავდებმა) წერილობით წარდგენილი შესაგებელი სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ კრედიტორის მოთხოვნა სამართლებრივ საფუძვლებს არ ემყარებოდა, რადგან მან ვალის აღიარების დოკუმენტის შინაარსის შესახებ არაფერი იცოდა.

6.2. მოვალესა და მის ქვისლს მესაკუთრის სარჩელთან დაკავშირებით პოზიცია არ გამოუთქვამთ.

## **7. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება**

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

7.1.1. პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 78 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა;

7.1.2. მოსარჩელეს უარი ეთქვა მეორე და მესამე მოპასუხეების მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე;

7.2. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი: სსკ) 50-ე, 59-ე, 316-ე, 317-ე, 341-ე, 891-ე, 892-ე, 893-ე მუხლებით იხელმძღვანელა და მიიჩნია, რომ თავდებობის ხელშეკრულება შედგენილია ფორმის დაუცველად – არ აქვს წერილობითი ფორმა და მითითებული არ არის მაქსიმალური თანხა, რის ფარგლებშიც თავდები პასუხისმგებლობას კისრულობს.

## **8. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი**

8.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება მოსარჩელემ (მესაკუთრემ) სააპელაციო წესით, ამ გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღების, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით გაასაჩივრა.

## **9. სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხეთა სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, აპელანტის (კრედიტორის) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა; მესაკუთრის სარჩელი დაკ-

მაყოფილდა და სამივე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად 78 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

#### **10. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მესამე მოპასუხის საჩივარი**

10.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მეორე მოპასუხის ბიძაშვილმა (მეორე თავდებმა) საჩივრით გაასაჩივრა და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

10.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, უწყების ჩაბარება მისი სრულწლოვანი შვილისათვის არ უნდა ჩაითვალოს მისთვის უწყების ჩაბარებად, რადგან ის უწყების ჩაბარების დროისათვის პატიმრობაში იმყოფებოდა, რის გამოც შვილთან კომუნიკაციის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

#### **11. სააპელაციო სასამართლოს განჩინება**

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით მეორე თავდების საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და აპელანტის სააპელაციო საჩივარზე მესამე მოპასუხის მიმართ საქმის წარმოება განახლდა.

#### **12. სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დასკვნები**

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ოქტომბრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მესამე მოპასუხეს, პირველ და მეორე მოპასუხეებთან ერთად, მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად 78 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

12.2. სააპელაციო სასამართლომ ამ განჩინების 9.1 და 11.1 ქვეპუნქტებში დასახელებულ საპროცესო აქტებზე მიუთითა და დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივარი ზეპირ სხდომაზე, 2017 წლის 31 ოქტომბერს 17:00 საათზე უნდა განხილულიყო. მხარეები სხდომის თარიღის შესახებ ხელწერილით იქნენ გაფრთხილებული. 2017 წლის 31 ოქტომბერს 17:00 საათზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მესამე მოპასუხე არ გამოცხადდა. აპელანტის წარმომადგენელმა კი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე იშუამდგომლა.

12.3. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მოთხოვნა მეორე თავდებისათვის (პირველ და მეორე მოპასუხეებთან ერთად) სოლიდარულად, მოსარჩელის სასარგებლოდ, 78 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილე-

ბის მიღების გზით შემდეგ გარემოებათა გამო, უნდა დაკმაყოფილებულიყო:

12.3.1. სსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 230-ე მუხლის, 233-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამ განჩინების 12.2 ქვეპუნქტში დასახელებული გარემოების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მესამე მოპასუხის უფლებამოსილ წარმომადგენელს, გ.მ-ძეს საქმის განხილვის თარიღი კანონით დადგენილი წესით ეცნობა. აღნიშნული კი მესამე მოპასუხისათვის უწყების ჩაბარებად მიიჩნევა;

12.3.2. დადგენილია, რომ მეორე თავდები და არც მისი წარმომადგენელი 2017 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე არ გამოცხადებულა და სასამართლოსთვის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზეც არ უცნობებია;

12.3.3. მეორე თავდების სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების მე-3 და მე-4 პუნქტებში ასახული გარემოებები და განმარტა, რომ ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ქმნის ახალ მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა შეიძლება სადავოც კი იყოს, ვალის არსებობის აღიარება მაინც წარმოშობს შესრულების ვალდებულებას, ხოლო კრედიტორს ანიჭებს მოთხოვნის უფლებას. სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. შესაბამისად, ვალის არსებობის აღიარება ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილ ყველა პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, პირველ რიგში კი, სსკ-ის 327-ე მუხლის მოთხოვნებს, ანუ მხარეები უნდა შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე. ხელშეკრულების ვალის არსებობის აღიარებად შეფასება, თანმდევი სამართლებრივი შედეგებით, ინდივიდუალურია და ერთმნიშვნელოვნად, ხელშეკრულების შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს, კერძოდ, ვალის არსებობის ხელშეკრულებით პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრული უნდა იყოს აღიარებული ვალის მოცულობა, მისი შესრულების ვადა და სხვა... წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეების მიერ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება (ხელწერილი, განმარტება, შეთანხმება...), სადაც დავალიანების არსებობაა დაფიქსირებული, ვალის აღიარების ხელშეკრულებად ვერ იქნება მიჩნეული.

12.4. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 891-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 893-ე მუხლზე მიუთითა და აღნიშნა, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, საქმეზე არსებითი მსჯელობის შედეგად სასამართლოს განხილვის საგანი იქნებოდა ვალდებულების სოლიდარული ხასიათი ვალის აღიარების დოკუმენტზე დაყრდნობით, თუმცა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების რეჟიმში სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულად ითვლება, შესაბამისად, საქმეში არსებული მტკიცებულებების კვლევის გარეშე სასამართლო დამტკიცებულად თვლის, მესამე მოპასუხის (პირველ და მეორე მოპასუხეებთან ერთად) სოლიდარულ ვალდებულებას მოსარჩელის წინაშე.

### **13. მეორე თავდების საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

13.1. მეორე თავდებმა (მესამე მოპასუხემ) საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ოქტომბრის განმეორებითი დაუნრებელი გადაწყვეტილება, მისი გაუქმებისა და საქმის არსებითად განსახილველად სასამართლოს იმავე შემადგენლობისათვის დაბრუნების მოთხოვნით;

13.2. კასატორის (მეორე მოპასუხის ბიძაშვილის) განმარტებით, სასამართლომ არ შეაფასა ხელშეკრულების ნამდვილობის ფაქტი, რომ ის ფორმის დაცვით არ იყო დადებული, რის გარეშეც მოთხოვნის იურიდიული გამართლებულობის შეფასება შეუძლებელია და სარჩელში მითითებული გარემოებები არ ამართლებს მოთხოვნას.

13.3. საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო კასატორის წარმომადგენლის ავადმყოფობით. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, რომ მესამე მოპასუხის წარმომადგენელი გ.მ-ძე საავადმყოფოში გამწვავებული მდგომარეობითა და ძლიერი ტკივილით 2017 წლის 31 ოქტომბრის 16:40 წუთზე შევიდა და საავადმყოფოდან იმავე დღეს, 18:00 საათზე გამოვიდა.

### **14. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

14.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 იანვრის განჩინებით მესამე მოპასუხის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესაბამისად.

14.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მესამე მოპასუხის (მეორე თავდების) საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

15. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორის პრეტენზიები საფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი მოწესრიგებულია სსკ-ის 387-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგებს, განსახილველ შემთხვევაში მესამე მოპასუხე არ გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, რაც არასაპატიოდ მიიჩნია სასამართლომ და განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა, რადგან იმავე მხარის მიმართ იმავე საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილება ერთხელ გამოტანილი იყო (იხ. ამ განჩინების 9.1 და 12.1 ქვეპუნქტები).

17. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნას მესამე მოპასუხისა და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის არასაპატიოობაზე (იხ. ამ განჩინების 12.3.3 ქვეპუნქტი), ეთანხმება კასატორის პრეტენზიას (იხ. ამ განჩინების 13.3 ქვეპუნქტი) და განმარტავს, რომ სსკ-ის 93-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად: „მხარეებს შეუძლიათ აგრეთ-

ვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს, თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში“ (იხ. სუსგ №ას-849-799-2015, 24.06.2016წ).

18. „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაა იმპერატიული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი. მხარისა და წარმომადგენლის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის გათვალისწინებით, როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას წარმომადგენელს მიანიჭებს, თუ წარმომადგენელი მინიჭებულ უფლებამოსილებას კეთილსინდისიერად ახორციელებს, წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, რადგანაც მას ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობა გააჩნია და ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მისი უფლების კვალიფიციურად დაცვაზე“ (იხ.სუსგ – №ას-1666-1654-2011, 08.12.2011წ.).

19. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „მირაგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ როდესაც საკითხი ეხება სამართლებრივი სიცხადის პრინციპს (Legal certainty), ეს არ არის უბრალოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის პრობლემა, არამედ ადგილი ჰქონდა პროცედურული მოთხოვნის არაგონივრულ კონსტრუქციას, რამაც გამოიწვია ეფექტური სასამართლო დაცვის უფლების დარღვევა. მხარეებს უნდა შეეძლოთ გასაჩივრების უფლების გამოყენება იმ მომენტიდან, როცა მათ ძალუძთ ეფექტურად შეაფასონ ის ტვირთი, რომელსაც აკისრებთ სასამართლო გადაწყვეტილება. ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ არასწორად ჩამოართვა მომჩივნებს თავიანთი საჩივრების განხილვისათვის სასამართლოსადმი წვდომის უფლება (Mirigall Escolano and Others v. Spain, 38366/97, §33, 2000, ECHR).

20. სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადანაცვების გამოტანას, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო

უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

21. ზემოაღნიშნული კანონის დანაწესის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა დადასტურდეს შემდეგი წინაპირობები: 1. მოპასუხეს საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა; 2. იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა; 3. სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

22. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მესამე მოპასუხე (მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი) კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო სხდომის დანიშვნის შესახებ, თუმცა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ დროს მესამე მოპასუხის წარმომადგენელი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა, რაც კასატორს სადავოდ არ გაუხდია.

23. მეორე თავდების (მეორე მოპასუხის ბიძაშვილის) წარმომადგენელმა, გ.მ-ძემ, 2017 წლის 1 ნოემბერს განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და განმარტა, რომ 2017 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. კერძოდ, ადვოკატის მითითებით იგი საავადმყოფოში იმყოფებოდა მწვავე ტკივილებით (ე.წ. კენჭის გავლა) და ვერც პირად და ვერც სატელეფონო კომუნიკაციას ვერ ამყარებდა ადამიანებთან, რის გამოც სასამართლოს ინფორმირება ვერ შეძლო. საკასაციო საჩივარს ერთვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კასატორის წარმომადგენელმა სამედიცინო დაწესებულებას 2017 წლის 31 ოქტომბერს, 16:40 საათზე მიმართა. ცნობის მიხედვით პაციენტის დიაგნოზია შარდკენჭოვანი დაავადება, თირკმლის ქვალის №20.9. მოკლე ანამნეზში ვკითხულობთ, პაციენტმა სამედიცინო დაწესებულებას ძლიერი ტკივილის გამო მიმართა, წელის მარჯვენა ნახევარში ირადაციით წინ მუცელში შარდის ბუშტის მიმართულებით, გახშირებული შარდვის ჩივილით, წვისა და ტკივილის შეგრძნებით შარდვის დროს. აღნიშნული ჩივილები, პაციენტის გადმოცემით, რამდენიმე საათის წინ დაეწყო. ცნობას ხელს აწერს მკურნალი ექიმი და დაწესებულების ხელმძღვანელი. ცნობა გაცემულია 2017 წლის 1 ნოემბერს.

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამძღვრებს და ასეთად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო



მოქმედების შესრულებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

25. მითითებული ნორმის დანაწესი ადგენს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის მიერ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა ჩათვალოს საპატიოდ, თუკი აღნიშნული მოქმედება მან ვერ შეასრულა ავადმყოფობის გამო. ამ შემთხვევაში ისევე, როგორც ზოგადად სამოქალაქო სამართალწარმოებისას, მხარეს ეკისრება სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი. მეტიც, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რა მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს მხარის ავადმყოფობის ფაქტი და ასეთად მიიჩნევს სამედიცინო დოკუმენტს, რომელიც: ა) ხელმოწერილია სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ; ბ) პირდაპირ მიუთითებს მხარის შეუძლოდ ყოფნაზე კონკრეტული დროის მონაკვეთში (რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულებულიყო სადავო საპროცესო მოქმედება); გ) ასახავს პაციენტის ჯანმრთელობის იმგვარ გაუარესებას, რაც გამორიცხავს საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობას.

26. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამომწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის პირველ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია, მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობისა და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამო-



უცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა (მდრ. სუსგ №ას-1445-1459-2011, 31.10.2011წ; №ას-1410-1330-2017; 30.01.2018წ).

27. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2017 წლის 31 ოქტომბერს, 17:00 საათზე სააპელაციო სასამართლოში დანიშნულ მთავარ სხდომაზე, მესამე მოპასუხის წარმომადგენელი არ გამოცხადდა. ასევე დადგენილია, რომ გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა მისი ჯანმრთელობის მოულოდნელი გაუარესება. მხარის წარმომადგენელმა ფორსმაჟორულ სიტუაციაში ვერ შეძლო აღნიშნულის თაობაზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 215.3 მუხლზე დაყრდნობით ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოხმობილი ნორმა საპატიო მიზეზად განიხილავს არა მხოლოდ ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობის წარდგენის შეუძლებლობას, არამედ იმ შემთხვევასაც, როდესაც პირი საერთოდ ვერ აცნობებს სასამართლოს გამოცხადების შეუძლებლობას და ამას მოგვიანებით დაადასტურებს კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი დოკუმენტით. ამ მხრივ, სასამართლო ითვალისწინებს 2017 წლის 1 ნოემბერს გაცემულ, სააპელაციო სასამართლოს სხდომის დღეს წარმომადგენლის ჯანმრთელობის ამსახველ, საკასაციო საჩივარზე დართულ სამედიცინო ცნობას. ცნობა დამონმებულია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელისა და მკურნალი ექიმის ხელმოწერებით, ასევე, დაწესებულების ბეჭდით, ამასთანავე, ცნობის შინაარსით ირკვევა, რომ პაციენტს აღენიშნებოდა მწვავე ტკივილი (ე. წ. კენჭის გავლა), პაციენტს ჩაუტარდა კვლევა, მან უარი განაცხადა ჰოსპიტალიზაციაზე, დატოვა კლინიკა ახლობლების თანხლებით 18:00 საათზე (იხ. ცნობა). ამდენად, გასაზიარებელია საკასაციო საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ მის წარმომადგენელს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი ჰქონდა, რაც სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრებული განმეორებითი დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია (სსსკ-ის 242-ე მუხლი).

28. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნ-

და დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2017 წლის 31 ოქტომბერს დანიშნულ სხდომაზე მესამე მოპასუხის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რაც მან სათანადო მტკიცებულებით დაასაბუთა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. გ.ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ოქტომბრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ას-1142-1062-2017

23 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. შპს „ო-ესა“ (შემდგენი: მოსარჩელე ან შემსრულებელი) და შპს „თ-ს“ (შემდგენი: მოპასუხე, აპელანტი, დამკვეთი ან კასატორ-

რი) შორის 2015 წლის 11 ივნისს დაიდო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოსარჩელე მისი კუთვნილი ავტომობილით ვალდებული იყო მოპასუხისათვის გაენია მომსახურება, კერძოდ, განეხორციელებინა ტვირთის ტრანსპორტირება-გადაზიდვა – არა უმეტეს 5 ტონა ცოცხალი თევზის, ერთი გზით, შემდეგი მიმართულებით: სომხეთი, არარატის რაიონი, სოფელი ..... – საქართველო, წყალტუბოს რაიონი, სოფელი ..... აღნიშნული მომსახურების ღირებულება შეადგენდა – 2500 ლარს.

2. შემსრულებელმა შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, რაზეც შესაბამისი ინვოისი გამოწერა. მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, დამკვეთი ვალდებული იყო მომსახურების ღირებულება გადაეხადა შემსრულებლისათვის ინვოისის წარდგენიდან – 10 საბანკო დღის ვადაში, თუმცა მოპასუხეს აღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია.

### **3. სარჩელის საფუძვლები**

3.1. მოსარჩელემ 2015 წლის 27 ნოემბერს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და ამ განჩინების 1-2 პუნქტებში მოცემულ გარემოებებზე დაყრდნობით დამკვეთისათვის შემსრულებლის სასარგებლოდ 2 500 ლარის დაკისრება მოითხოვა.

### **4. მოპასუხის შესაგებელი**

4.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

### **5. საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

5.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 2 500 ლარის გადახდა დაეკისრა.

5.2. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქმე სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე განსახილველად დაინიშნა 2016 წლის 17 მარტს 11:30 საათზე, რის შესახებაც მხარეებს ეცნობათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. კერძოდ, მოპასუხეს სასამართლო სხდომის თაობაზე ეცნობა 2016 წლის 26 თებერვალს, კერძოდ, სატელეფონო საუბარი შედგა მოპასუხე მხარის დირექტორთან ს.პ-თან. ასევე, მისამართზე გაგზავნილი უწყება ჩაჰბარდა 2016 წლის 2 მარტს ორგანიზაციის წარმომადგენელს – კანცელარიის სპეციალისტს ე.ი-ოს. 2016 წლის 17 მარტს, სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი მ.ყ., თუმცა მას არ წარმოუდგენია მის სახელზე გაცემული (სათანადოდ დამოწმებული) მინდობილობა.

5.3. სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

5.4. საქალაქო სასამართლომ სსსკ-ის 70-ე-78-ე, 207.1, 201.3, 230.1 მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ მოპასუხეს სასამართლო მოსამზადებელი სხდომის შესახებ ეუნყა 2016 წლის 26 თებერვალს და, ასევე, 2016 წლის 2 მარტს და მას ჰქონდა საკმარისი დრო საქმის მომზადებისათვის. ვინაიდან სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელს არ გააჩნდა სათანადოდ დამონმებული მინდობილობა, მიიჩნევა, რომ მოპასუხე მხარე სხდომაზე არ გამოცხადებულა. შესაბამისად, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

5.5. საქალაქო სასამართლომ დამტკიცებულად მიიჩნია ამ განჩინების 1-2 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 316-ე, 317-ე, 361-ე მუხლებზე მიუთითა და სარჩელი დააკმაყოფილა.

## **6. მოპასუხის საჩივარი**

6.1. მოპასუხემ (დამკვეთმა) საჩივარი წარადგინა საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მისი გაუქმება და საქმის არსებითი განხილვა მოითხოვა.

6.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, მიღებული გადაწყვეტილება არის უკანონო, ვინაიდან 2016 წლის მარტის თვეში მოპასუხეს ჩაჰბარდა სასამართლო უწყება, სადაც მოსარჩელე მხარედ მითითებული იყო შპს „ი.“, აღნიშნულიდან გამომდინარე მოპასუხეს სასამართლო უწყება არ ჩაჰბარებია სსსკ-ის მოთხოვნათა დაცვით. მხარე საჩივარში ყურადღებას ამახვილებდა შესაგებებლზე, სადაც მითითებულია, რომ მოცემულ საქმეზე მოპასუხეს წარმომადგენენ მ.ყ-ი და გ.ი-ძე, რითაც ორგანიზაციის ხელძღვანელი ადასტურებს თავის ნებას, რომ სურს საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით. გ.ი-ძის განმარტებით, ვინაიდან მინდობილობა ჰქონდა მას, 2016 წლის 17 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა წარმომადგენელმა მ.ყ-მა ვერ შეძლო მისი წარმოდგენა. ხოლო პროცესზე უშუალოდ მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით. საჩივრის ავტორმა საჩივარს დაურთო ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2016 წლის 17 მარტს გაცემული ცნობა, სასამართლო უწყება და მინდობილობა.

## **7. საქალაქო სასამართლოს განჩინება და დასკვნები**

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 აპრილის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და-

ლაში დარჩა.

7.2. საქალაქო სასამართლომ სსსკ-ის 240-ე, 70-ე-78-ე მუხლებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ მოპასუხე კომპანიის დირექტორი ს.პ-ო გაფრთხილებულ იქნა ტელეფონის საშუალებით, რაც დასტურდება საქმეში არსებული აქტით ტელეფონით სასამართლოში მხარის დაბარების შესახებ. რამდენადაც, მოპასუხის წარმომადგენელი – მ.ყ-ი სადავოდ ხდიდა კანონით დადგენილი წესით უწყებების ჩაბარების საკითხს და მიუთითებდა სასამართლო უწყებაზე და სატელეფონო შეტყობინებაზე, შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნდა 2016 წლის 26 თებერვლის სატელეფონო აქტის აუდიო-ჩანაწერი, რომლის თანახმად, 2016 წლის 26 თებერვალს დამკვეთი კომპანიის დირექტორი ს.პ-ო გაფრთხილებულ იქნა სხდომის დანიშვნის თაობაზე, მას კანონით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის გამართვის დრო, ადგილი და სხდომის დარბაზი, ასევე გაფრთხილებულ იქნა სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო მოსალოდნელ შედეგებზე. გამოქვეყნებული სატელეფონო აქტით ცალსახად დადგინდა, რომ მოპასუხეს სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების თანახმად, ეცნობა პროცესის თარიღის, საათისა და ადგილის თაობაზე.

7.3. საჩივრის ავტორი – მხარის წარმომადგენელი – გ.ი-ძე საჩივარში ყურადღებას ამახვილებდა საქმეზე წარმოდგენილ შესაგებელზე და მიუთითებდა, რომ საქმეზე მოპასუხეს წარმომადგენენ მ.ყ-ი და გ.ი-ძე, რითაც ორგანიზაციის ხელძღვანელი ადასტურებდა თავის ნებას, რომ სურდა საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით, ამდენად, დამატებით მხოლოდ მინდობილობის წარმოუდგენლობა არ უნდა გამხდარიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა შემდეგზე: საპროცესო დოკუმენტებში, მათ შორის შესაგებლის გრაფაში წარმომადგენლის სახელის და გვარის მითითება არ არის იმის საკმარისი მტკიცებულება, რომ მხარემ ნება გამოავლინა მისი უფლებების დამცველად კონკრეტული პირის მიერ წარმომადგენლობის განევის შესახებ, ამისათვის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სათანადო წესით დამონმუბულ დოკუმენტს, სადაც წერილობითაა დაფიქსირებული მარწმუნებლის ნება და მითითებულია ის უფლებამოსილება, რასაც მარწმუნებელი ანიჭებს თავის წარმომადგენელს. სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 98-ე მუხლზე და განმარტა, რომ წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში. ამდენად, შესაგებელში წარმომადგენლად პირის მითითება საკმარისი არ არის, რათა

პირმა კანონით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და სასამართლომ დაასკვნა, რომ სწორედ ის გახლავთ მხარის უფლებების დამცველი და წარმომადგენელი სასამართლოში.

7.4. საჩივრის ავტორი საჩივარში ასევე აღნიშნავდა, რომ პროცესზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით, აღნიშნულის დასადასტურებლად წარდგენილია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2016 წლის 17 მარტს გაცემული ცნობა. სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, 2016 წლის 17 მარტს გაცემული ცნობა, მართალია, ხელმოწერილია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, მაგრამ ცნობაში აღნიშნული ავადმყოფობა პირდაპირ არ მიუთითებს სასამართლო პროცესზე პირის გამოცხადების შეუძლებლობაზე.

7.5. ამასთან, სსსკ-ის 93-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წარმომადგენლის მეშვეობით საქმის წარმოების სავალდებულოებას. კანონმდებლობა ისევე, როგორც არ ითვალისწინებს წარმომადგენლის მეშვეობით საქმის წარმოების სავალდებულოებას, ასევე არ ზღუდავს მხარეს, ჰყავდეს რამდენიმე წარმომადგენელი. ამდენად, მოპასუხე კომპანიის დირექტორს – ს.პ.-ოს შეეძლო, თავად გამოცხადებულყო სასამართლო სხდომაზე და მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, ან ეშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სხდომის გადადების თაობაზე.

7.6. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ გამოვლენილა სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, ვინაიდან, არც საჩივრის ავტორის და არც მისი წარმომადგენლის მიერ არ ყოფილა წარდგენილი რაიმე სახის შუამდგომლობა ან განცხადება საპატიო მიზეზით მხარის (მისი წარმომადგენლის) სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე.

7.7. საქალაქო სასამართლომ 233.1, 233.3, 241-ე, მე-4, 102-ე, 215.3 მუხლებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა სასამართლო სხდომის დროისათვის მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები, შესაბამისად, არ გამოკვეთილა გარემოებათა წრე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო და საქმის განხილვა განახლებულიყო.

#### **8. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი**

8.1. მოპასუხემ (დამკვეთმა) სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინება, მათი გაუქმება და საქმის არსებითად განსახილ-

ველად იმავე სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

### **9. სააპელაციო სასამართლოს განჩინება**

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 3 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

9.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დამატებით აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხეს 2016 წლის 26 თებერვალს გაეგზავნა უწყება, სადაც დაშვებულია შეცდომა, კერძოდ, უწყებაში მითითებულია, რომ 2016 წლის 17 მარტს 11:30 საათზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე განიხილებოდა შპს „ი-ის“ სარჩელი. დადგენილია, რომ უწყება ჩაჰზარდა ორგანიზაციის წარმომადგენელს 2016 წლის 2 მარტს. აპელანტი მიუთითებდა, რომ აღნიშნული უსწორობის გამო შეცდომაში იქნა შეყვანილი დამკვეთი კომპანიის თანამშრომელი. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მითითებული გარემოება არ წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კანონით გათვალისწინებულ შემთხვევას, ვინაიდან საქმის მასალებით ცალსახად დადგენილია, რომ მოპასუხის წარმომადგენელს სატელეფონო შეტყობინებით სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის თაობაზე.

9.3. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 241-ე, 233.1, 215.3 მუხლებზე მითითებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხის წარმომადგენელი ს.პ-ო არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც გამოუცხადებლობის საპატიო გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე არ მიუთითებია. აპელანტმა განმარტა, რომ ის სხდომის დღეს არ იმყოფებოდა საქართველოში, რაც არ არის დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებით.

9.4. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 93.1, 93.2, 96.1, 96.2, 216.1 მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ მ.ყ-ისა და გ.ი-ძის მიმართ გაცემული მინდობილობა არ ყოფილა საქმეში წარდგენილი არც საქმის განხილვამდე და არც სასამართლო სხდომაზე. მოცემულ შემთხვევაში, მხარე ვერ მიუთითებდა იმ ობიექტურ ფაქტორებზე, რაც გახდა მინდობილობის წარუდგენლობის საფუძველი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ სებობდა საქმის განხილვის გადადების კანონით გათვალისწინებული შემთხვევა. აპელანტის მითითება სხდომაზე გ.ი-ძის გამოუცხადებლობის საპატიო გარემოებასთან დაკავშირებით, სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა საჩივარში მითითებულ გარემოებას, რომ იმავე დღეს გ.ი-ძეს მონაწილეობა უნდა მიეღო ადმინისტრაციული საქმის განხილვაში წარმომადგენლის სტატუსით და შესაბამისად, მოცემული საქმის გან-



ხილვაზე გამოცხადებას წარმომადგენელი არ აპირებდა, ავადმყოფობის მიუხედავად.

#### **10. დამკვეთის საკასაციო საჩივარი**

10.1. დამკვეთმა (აპელანტმა) საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქალაქო სასამართლოს განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მათი გაუქმება და საქმის არსებითად განსახილველად, საქალაქო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

10.2. კასატორის განმარტებით, სასამართლომ უსაფუძვლოდ გამოიყენა სსსკ-ის 230-ე მუხლი, რადგან პროცესზე გამოცხადებული იყო მოპასუხის უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც თან არ ჰქონდა მინდობილობა. მ.ყ-ი წარმომადგენლის სტატუსით მითითებული იყო შესაგებელში, რაც მოპასუხის ნებას გამოხატავდა.

10.3. კასატორმა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე მიუთითა და განმარტა, რომ შესაგებელში პირის მითითება პროცესზე მხარის წარმომადგენლობისათვის საკმარისი საფუძველია.

10.4. კასატორმა სადავოდ გახადა სარჩელის იურიდიული გამართულობაც და აღნიშნა, რომ სარჩელს მოსარჩელის მიერ შესრულებული ვალდებულების დამადასტურებელი მტკიცებულება არ ერთვოდა.

10.5. კასატორის განმარტებით, მას არც სასამართლოსადმი უპატივცემულობა გამოუჩენია და არც საქმის გაჭიანურება დაუსახავს მიზნად.

10.6. საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ პროცესზე გამოცხადება გ.ი-ძემაც ვერ შეძლო, რადგან ის ავად იყო, ახველებდა და ინფექციის მატარებელი იყო.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

11. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და



სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვე-პუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თა-ნახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნო-ბილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასა-მართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასა-ბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორის პრეტენზიები სა-ფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამარ-თლოს.

12. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხის გამო-უცხადებლობის გამო პირველი ინსტანციის სასამართლოში სამარ-თალწარმოების ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტა-ნის საკითხი მოწესრიგებულია სსსკ-ის 230.1 მუხლით. განსახილ-ველ შემთხვევაში მოპასუხის არაუფლებამოსილი წარმომადგენე-ლი გამოცხადდა საქალაქო სასამართლოს სხდომაზე, რაც მოპა-სუხის არასაპატიოდ გამოუცხადებლობად მიიჩნია სასამართლომ და დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა.

13. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამარ-თლოს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნას, რომ მოპასუხის არაუფლებამოსილი წარმომადგენლის გამოცხადება მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად უნდა იქ-ნეს მიჩნეული (იხ. ამ განჩინების 9.2-9.4 ქვეპუნქტები) და განმარ-ტავს, რომ სსკ-ის 93-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად: „მხა-რეებს შეუძლიათ აგრეთვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარ-მომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშ-ვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს, თვითონაც პირადად მიი-ლონ მონაწილეობა საქმეში“ (იხ. სუსგ №ას-849-799-2015, 24.06.2016წ).

14. „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნა-წილი არაა იმპერატიული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი. მხარისა და წარ-მომადგენლის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის გათვალის-წინებით, როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას წარმომადგენელს მიანიჭებს, თუ წარმომადგენელი მინიჭებულ უფლებამოსილებას კეთილსინდისიერად ახორციელებს, წარმო-მადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა არ შეიძლება გახ-დეს, რადგანაც მას ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობა

გააჩნია და ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მისი უფლების კვალიფიციურად დაცვაზე“ (იხ.სუსგ - №ას-1666-1654-2011, 08.12.2011წ.).

15. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „მირაგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ როდესაც საკითხი ეხება სამართლებრივი სიცხადის პრინციპს (Legal certainty), ეს არ არის უბრალოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის პრობლემა, არამედ ადგილი ჰქონდა პროცედურული მოთხოვნის არაგონივრულ კონსტრუქციას, რამაც გამოიწვია ეფექტური სასამართლო დაცვის უფლების დარღვევა. მხარეებს უნდა შეეძლოთ გასაჩივრების უფლების გამოყენება იმ მომენტიდან, როცა მათ ძალუძთ ეფექტურად შეაფასონ ის ტვირთი, რომელსაც აკისრებთ სასამართლო გადაწყვეტილება. ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ არასწორად ჩამოართვა მომჩივნებს თავიანთი საჩივრების განხილვისათვის სასამართლოსადმი წვდომის უფლება (Mirigall Escolano and Others v. Spain, 38366/97, §33, 2000, ECHR).

16. სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

17. ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა დადასტურდეს შემდეგი წინაპირობები: 1. მოპასუხეს საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა; 2. იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა; 3. სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

18. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო სხდომის დანიშვნის შესახებ. სხდომაზე კი მოპასუხის სახელით საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა მ.ყ.ი, რომელსაც სსსკ-ის 96.1 მუხლით დადგენილი წესით გაცემული მინდობილობა არ ჰქონდა წარდგენილი. ქვემდგომმა სასამართლოებმა არაუფლებამოსილი წარმომადგენლის გამოცხადება მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად მიიჩნიეს და მის წინააღმდეგ დაუსწრებელი

გადანყვეტილება გამოიტანეს.

19. საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, განსახილველ შემთხვევაში ქვემდგომმა სასამართლოებმა სსსკ-ის 216.1 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით ისარგებლონ და საქმის განხილვა გადადონ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოპასუხის არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენება მეორე მხარესთან შედარებით. სასამართლოს აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებიდან. ასეთ ვითარებაში დაუსწრებელი გადანყვეტილების მიღებით შეილახა მოპასუხის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება. მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფრო ფართო ცნების ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს, რომ თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ აყენებს არსებითად არამომგებიან პოზიციაში ოპონენტთან შედარებით (*Niderost-Huber v. Switzerland*; *Kress v. France*; *Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*). ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, მოახსონ თავიანთი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეუწყონ სწრაფ და ეფექტურ საქმისწარმოებას, გადანყვეტილებების დაუსწრებლად გამოტანის შესაძლებლობის ჩათვლით (*Azdajic v. Slovenia*), თუმცა, არა – სხვა სამართლებრივი გარანტიების, განსაკუთრებით მხარის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების საზიანოდ.

20. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება მოპასუხესთან მიმართებით არაპროპორციულად შეიზღუდა. ამის თავიდან ასაცილებლად სასამართლოს სხდომა სხვა დროისათვის უნდა გადაედო, შესაბამისად, იმავე სხდომაზე მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანა დაუშვებელი იყო (მდრ. სუსგ №ას-1033-953-2017, 30.01.2018წ.).

21. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს.

22. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მინდობილობის არარსებობის შემთხვევაში მხარეს არ უნდა წაერთვას საქმის არსებითად განხილვის უფლება, რადგან სხდომაზე წარმომადგენლის მივლინებით მხარემ გამოხატა ინტერესი საქმისადმი და თუ წარმომადგენლობის უფლებამოსილების შემოწმებისას ხარვეზი დაფიქსირდა, საკითხი მოპასუხის საწინააღმდეგოდ არ უნდა იქნეს გადაწყვეტილი. მხარეს ერთხელ მაინც უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ თუ მისი წარმომადგენლის უფლებამოსილება კანონით დადგენილი წესით არ არის გაფორმებული, მან ეს უზუსტობა გამოასწოროს.

23. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

24. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-

ქო საქმეთა პალატის 2017 წლის 3 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის ხელახლა განსახილველად;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **მხარეთა საპროცესო უფლებები**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ას-861-827-2016

5 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეცი

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 20 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნ.მ-ძის (შემდეგში: მოსარჩელე, კრედიტორი ან აპელანტი) სარჩელი დაკმაყოფილდა და ც.მ-იას (შემდეგში: მოპასუხე, მოვალე ან კასატორი) მოსარჩელის სასარგებლოდ 13 756 ლარის გადახდა დაეკისრა.

#### **2. სარჩელის საფუძვლები**

2.1. მოსარჩელემ 2015 წლის 24 დეკემბერს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოვალისათვის კრედიტორის სასარგებლოდ 2013 წლის 31 მაისიდან, ამ გადაწყვეტილების პირველ პუნქტში დასახელებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულებაამდე, ყოველდღიურად 14 ლარის დაკისრება მოითხოვა.

2.2. მოსარჩელის განმარტებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო მას მნიშვნელოვანი ზიანი ადგება. კრედიტორმა აღნიშნა, რომ სააღსრულებო წარმოება დაწყებულია, თუმცა, მას თანხა მიღებული არ აქვს.

#### **3. მოპასუხის შესაგებელი**

3.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

#### **4. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება**

4.1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით კრედიტორის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4.2. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 317-ე, 319-ე, 361-ე, 623-ე, 411-ე, 412-ე, 414-ე მუხლებით იხელმძღვანელა.

#### **5. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი**

5.1. მოსარჩელემ (კრედიტორმა) სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

#### **6. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

6.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით აპელანტის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2013 წლის 31 მაისიდან ყოველწლიურად, ძირითადი თანხის – 13 756 ლარის სრულად გადახდამდე, აღნიშნული თანხის 10%-ის – 1 375,60 ლარის ანაზღაურება.

6.2. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მომზადების ეტაპზე, სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთების მიზნით, მოსარჩელემ დამატებით გარემოებებზე მიუთითა და აღნიშნა, რომ ფულადი თანხის სამოქალაქო ბრუნვაში ჩაშვებისა და წლიური 36%-ის შემოსავლის მიღების გარდა, მოპასუხის მიერ ვალდებულების არაჯეროვანმა შესრულებამ გამოიწვია ის ზიანიც, რომ ვერ შეძლო მისი სტუდენტი შვილისათვის საცხოვრებელი ბინის „დაგირავება“, იძულებული გახდა დაექირავებინა ბინა და ქირის თანხის გადახდის გამო წარმოეშვა ზიანი.

6.3. სააპელაციო სასამართლომ მთავარ სხდომაზე აპელანტმა განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა ორი საფუძვლით, ერთი – საბანკო ანაბარზე თანხის განთავსებით მიღებული შემოსავლის სახით, რასაც სამოქალაქო ბრუნვაში ჩაშვება უწოდა, მეორე კი – საცხოვრებელი ბინის ქირის სახით გადახდილი თანხების გამო.

6.4. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდა, სახელშეკრულებო ვალდებულებიდან, რადგან დავის საგანს წარმოადგენს, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო მიყენებული ზიანის (სსკ-ის 394.1 მუხლი) ანაზღაურება.

6.5. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 408-ე, 411-ე, 412-ე მუხ-

ლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“, რომელიც მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადანეცივისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლოდ გამდიდრება.

6.6. იმის გათვალისწინებით, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფული განიხილება, როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საგანი, მისი ფლობა უპირობოდ იძლევა შემოსავლის მიღების პრეზუმფციას. ჩვეულებრივ პირობებში ფულის გამოყენებით მიუღებელი შემოსავალი ესაა ანაცდენი მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მიღებისკენაა მიმართული.

6.7. განსახილველ შემთხვევაში გონივრული, სამართლიანი ანაზღაურების სახით და მოვალისათვის სავარაუდო ზიანად, ნაცვლად სარჩელით მოთხოვნილი 36%-ისა, უნდა განისაზღვროს გადაუხდეელი ძირითადი თანხის – 13 756 ლარის წლიური 10%-ით – 1 375,60 ლარით.

6.8. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება ზიანის სახით საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის გადახდილი თანხის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, ვინაიდან, სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

## **7. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძველები**

7.1. მოპასუხემ (მოვალემ) საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადანეცივტილება მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვით.

7.2. კასატორმა აღნიშნა, რომ თავად მოსარჩელე განმარტავს, რომ ამ გადანეცივტილების პირველ პუნქტში დასახელებულ დაუსწრებელ გადანეცივტილებაზე დაწყებულია იძულებითი აღსრულება და დაყადალებულია მოვალის კუთვნილი აქტივები, თუმცა, აუქ-



ციონის დანიშვნა და ქონების რეალიზაცია ჭიანჭურდება. ასეთ შემთხვევაში კი მოვალეს პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს, რადგან სააღსრულებო წარმოებას აღმასრულებელი ახორციელებს და პრეტენზიებიც მის მიმართ უნდა გამოითქვას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

8. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოვალეს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი.

9. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის, ამ გადაწყვეტილების 7.1 ქვეპუნქტში ასახულ, პრეტენზიას და განმარტავს, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 20 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კრედიტორის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოვალეს მოსარჩელის სასარგებლოდ 13 756 ლარის გადახდა დაეკისრა. სსსკ-ის 267-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

10. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებით დადასტურებულია, რომ ამ გადაწყვეტილების პირველ პუნქტში დასახელებულ გადაწყვეტილებაზე აღსრულება დაწყებულია. კრედიტორს თანხა ჯერ არ მიუღია და ამის გამო მოვალისათვის კრედიტორის სასარგებლოდ 2013 წლის 31 მაისიდან, ამ გადაწყვეტილების პირველ პუნქტში დასახელებული დაუსრულებელი გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველდღიურად 14 ლარის დაკისრებას ითხოვს. მოსარჩელის ამგვა-



რი მოთხოვნა ყოველგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებულია.

11. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს, ამ გადაწყვეტილების 6.2-6.8 ქვეპუნქტებში ასახულ, მსჯელობას და განმარტავს, რომ მოსარჩელეს თავდაპირველი სარჩელის წარდგენის დროს შეეძლო მოეთხოვა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება გადაწყვეტილების აღსრულებამდე და არა მას შემდეგ, რაც რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა. განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არ არის ახალი სარჩელი, არამედ აპელანტმა ფაქტობრივად თავდაპირველი მოთხოვნა გაზარდა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის მოითხოვა, რაც დაუშვებელია. სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების ან გაზრდის უფლებას სსსკ-ის 83.2 მუხლი ითვალისწინებს და ამგვარი შესაძლებლობა მოსარჩელეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე აქვს და ამის შესახებ სასამართლო მოპასუხეს აცყობინებს, რათა არ დაირღვეს კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

12. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლებით დადგენილია გადაწყვეტილების ფორმალური (264-ე მუხლი) და მატერიალური (266-ე მუხლი) კანონიერი ძალა, რომელიც, პირველ შემთხვევაში, გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ – მის ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, სსსკ-ის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. მითითებული ნორმის ანალიზი შემდეგი დასკვნის საფუძველს იძლევა: გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს (მდრ. სუსგ №ას-355-337-2015, 20.07.2015, №ას-832-832-2018, 25.07.2018წ.).

13. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღრულების წესი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონითაა განსაზღვრული და გადაწყვეტილების ნებაყოფლობით

აღუსრულებლობის შემთხვევაში უნდა გატარდეს ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის (მოვალის) მოთხოვნა დასაბუთებულია, ხოლო სააპელაციო სასამართლოს შეფასება და დასკვნა, რომლითაც გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კრედიტორის სარჩელის უარყოფის თაობაზე, არამართებულია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

15. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მოხმობილი ნორმის საფუძველზე მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება უნდა დაეკისროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ც.მ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება;
3. ნ.მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ნ.მ-ძეს ც.მ-იას სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. სასამართლო მტკიცებულება

### მტკიცების ტვირთი

### მტკიცებულებათა დასაშვებობა

#### ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1081-1032-2013

31 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა,  
ხელშეშლის აღკვეთა, ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თ.ლ-ძემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპა-სუხე, მეორე აპელანტი, კასატორი) 2007 წლის 28 ნოემბერს, 90 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, ვ.მ-გან (შემდეგში – გამყიდველი) შეიძინა ქ. ბათუმში, ..... მდებარე მრავალბინიან სახლში 199.63 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: .....), რომელიც 2007 წლის 3 დეკემბერს საჯარო რეესტრში საკუთრებად დაირეგისტრირა.

2. ვ.მ-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩე-ლე, პირველი აპელანტი) 2010 წლის 29 ნოემბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ პრივატიზების მიზნით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების შედეგად, 65000 ლარის სანაცვლოდ, საკუთრებაში გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ..... მდებარე 159.09 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: .....), რომელიც საჯარო რეესტრში საკუთრებად დაირეგისტრირა.

3. ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2012 წლის 15 თებერვლის №13 მითითების შესაბამისად, მოპასუხემ ..... მდებარე შენობის ნაწილი დაშალა. შენობის დაშლილი ნაწილი მდებარეობდა .....-სა და ..... ქუჩის კვეთაზე, სადაც მოპასუხემ შემდგომში მოაწყო ავტოსამრეცხაო.

#### 4. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და

## **მოითხოვა:**

4.1. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთა;

4.2. მოპასუხისათვის 10 000 ლარის დაკისრება.

5. მოსარჩელე წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე ამტკიცებდა, რომ სადავო მისამართზე მის მიერ შეძენილი ფართი, ნახაზის მიხედვით, 26 მაისის ქუჩის მხრიდან მდებარეობდა, რომელიც მოპასუხემ უკანონოდ მიითვისა და დაანგრია. შენობა-ნაგებობის დანგრევით გამოწვეული ზიანი კი, 10 000 ლარია.

6. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ შეძენილი 159.9 კვ.მ უძრავი ქონება მდებარეობს 1 141 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. შენობის საკადასტრო კოორდინატები დაუზუსტებელია, ანუ არ არის განსაზღვრული, ზუსტად სად მდებარეობს ეს ქონება. საქმეში არსებული დოკუმენტებით კი, მოპასუხის მიერ შეძენილი ფართის მდებარეობა ზუსტადაა განსაზღვრული, კერძოდ, მოპასუხის კუთვნილი ფართი სწორედ .....-ისა და .....-ის ქუჩების კვეთაზე მდებარეობდა. შესაბამისად, მან დაანგრია შენობის თავისი კუთვნილი ნაწილი.

7. საქმეში მესამე პირად ჩართულმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ კონკრეტულად არ დგინდებოდა, ვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი არის რეგისტრირებული .... ქუჩის მხრიდან, შესაბამისად, დაუდგენილია, შენობის დანგრეული ნაწილი ვისი საკუთრება იყო.

## **8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;**

8.1. მოპასუხეს დაევალა მოსარჩელისათვის ქ. ბათუმში, ..... – ..... ქუჩის მხრიდან არსებული უძრავი ქონების – მიწის ნაკვეთის, რომელზეც განთავსებული იყო მოსარჩელის საკუთრებაში რიცხული 159 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, გამოთავისუფლება და გადაცემა.

8.2. სარჩელი მატერიალური ზიანის – 10 000 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

## **9. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 171-ე, 172-ე, 149-ე, 150-ე, 183-ე, 312-ე, 992-ე, 408-ე, 411-ე, 412-ე მუხლები და მიუთითა შემდეგი:**

9.1. სსიპ ლევან სამხარულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 24.01.2013 წლის ექსპერტიზის დასკვნის

შესაბამისად ირკვევა, რომ ქ. ბათუმში, ..... მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება მდებარეობდა ..... ქუჩისა და ..... ქუჩების კვეთაზე, აღნიშნული საკუთრების გვერდითი მხარე ესაზღვრებოდა ..... ქუჩას, რომელიც რეალურად აღარ არსებობდა. ამ საკუთრების ადგილას, რომლის დემონტაჟი უნებართვოდ მოხდა, ავტოსამრეცხაო იყო მოწყობილი.

9.2. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ ქონების აუქციონზე შეძენისა და საკუთრების უფლების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ მან მოიპოვა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება. მოსარჩელე საჯარო რეესტრში აღრიცხულია იმ ნივთის შესახებ, რომლის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვასაც ითხოვს. ამდენად, მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის კუთვნილი ქონება დაებრუნებინა.

9.3. სასამართლოს მითითებით, მართალია, მოსარჩელემ დაადასტურა ზიანის მიყენების ფაქტი, მაგრამ ვერ დაამტკიცა ზიანის ოდენობა, რის გამოც ამ ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა.

#### **10. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა.**

10.1. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგ საფუძველებზე მითითებით მოითხოვა:

10.1.1. მატერიალური ზიანი დასტურდება უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტებით, საიდანაც ჩანს, რომ 65000 ლარი მოსარჩელემ 159.9 კვ.მ ფართობი გადაიხადა და არა – მიწის ნაკვეთში. მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებული იყო შენობა, არის თანასაკუთრება, ჰყავს 15-20 თანამესაკუთრე და წილობრივად მხოლოდ რამდენიმე კვადრატული მეტრია მოსარჩელის კუთვნილი წილი. შესაბამისად, 10 000 ლარი არის ის მცირე თანხა, რომელსაც მოსარჩელე ითხოვს, იმ ქონების დანგრევით მიყენებულ ზიანისათვის, რაშიც 65 000 ლარი გადაიხადა. ამდენად, პირველი აპელანტის მტკიცებით, სასამართლოს სსკ-ის 409-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისრებინა.

10.2. მოპასუხემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა შემდეგ საფუძველებზე მითითებით მოითხოვა:

10.2.1. უდავოა, რომ მოსარჩელის საკუთრება დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით არის რეგისტრირებული, მას არ აქვს საკადასტრო რუკა/გეგმა, ხოლო თავისი უძრავი ქონება, დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებითაა რეგისტრირებული. თავად მოსარჩელის საკუთრების სარეგისტრაციო დოკუმენტების სათა-

ნადოდ განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ მოსარჩელის საკუთრება, საერთო ფართით 159 კვ.მ, ესაზღვრება .....-ის ქუჩას და არა- .....-ის ქუჩას.

10.2.2. მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიერ შედგენილი აზომვითი ნახაზი, რომლითაც დგინდება მოსარჩელის საკუთრების 26 მაისის ქუჩის მხრიდან მდებარეობა, არასწორადაა შედგენილი და ეწინააღმდეგება საჯარო რეესტრში დაცულ ტექნიკური დოკუმენტაციის მონაცემებს.

10.2.3. რაც შეეხება ექსპერტიზის დასკვნებს, უნდა ითქვას, რომ 24.01.2013 წლისა და 10.10.2012 წლის დასკვნები შედგენილია ერთი და იმავე ექსპერტის მიერ და დასკვნის შედეგები ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

**11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით აპელანტთა სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:**

11.1. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება;

11.2. სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

11.3. მოპასუხეს აეკრძალა მოსარჩელისათვის ქ. ბათუმში, ....-სა და ....-ის ქუჩების კვეთაში არსებული მიწის ნაკვეთით სარგებლობაში ხელის შეშლა;

11.4. მოპასუხეს დაეკისრა 10 000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

**12. სასამართლომ მიუთითა, რომ ..... მდებარე შენობა მოპასუხეს მთლიანად არ დაუნგრევია, მან დაანგრია შენობის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მდებარეობდა .....-ისა და .....-ის კვეთასთან. ამგვარად, დავის გადაწყვეტისათვის, არსებითი მნიშვნელობა იმას ჰქონდა, თუ ვის ეკუთვნოდა ზემოხსენებული ქონება.**

12.1. პალატამ საქმეში წარმოდგენილი ფოტოსურათითა და ნახაზით დაადგინა, რომ შენობის ის ნაწილი, რომელიც, შემდგომში დაშალა მოპასუხემ, ეკუთვნოდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას და სწორედ იგი შეიძინა აუქციონზე მოსარჩელემ, რასაც ადატურებდა მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიერ შედგენილი ნახაზიც.

12.2. მოპასუხისა და მისი უფლებრივი წინამორბედის სახელზე შედგენილი აზომვითი ნახაზებიდან კი ჩანდა, რომ მოპასუხეს ეკუთვნოდა ამ სახლის ლიტერ „ვ-ს“ ის ნაწილი, რომელიც არ უკავშირდებოდა .....-ის ქუჩას. ზემოხსენებულს უთუოდ ამტკიცებდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 24 იანვრის დასკვნაც. ამრიგად, სა-

სამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ მესაკუთრის თანხმობის გარეშე, გაანადგურა მისი ქონება.

12.3. კუთვნილი ნაგებობის განადგურებით მოსარჩელის ქონება შემცირდა, ანუ მას მიადგა ზიანი. ეს შედეგი კი, გამოიწვია მოპასუხის განზრახმა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ, რის გამოც ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის აენაზღაურებინა ზიანი.

12.4. სააპელაციო სამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან მოსარჩელემ ქონება 65000 ლარად შეიძინა, მას სწორედ ამდენივე ზიანი მიადგა. ამის საწინააღმდეგო მტკიცებულებები მოპასუხეს არ წარუდგენია, მეტიც, საქმეში არსებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან ჩანდა, რომ იმავე სახლში არსებული 199.63 კვ.მ თავად მოპასუხემ 90000 აშშ დოლარად შეიძინა. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნა, ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხისათვის 10000 ლარის დაკისრების შესახებ, საფუძვლიანი და დასაბუთებული იყო.

12.5. უდავო იყო ისიც, რომ სახლი, რომლის ნაწილიც მოპასუხემ დაანგრია, შედგებოდა ორზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგნისაგან (ბინისაგან), რის გამოც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ის მრავალბინიან სახლია მიიჩნეოდა. მიწის ნაკვეთი კი, რომელზეც მრავალბინიანი სახლია განთავსებული, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას წარმოადგენს. სასამართლოს მითითებით, ვინაიდან ნაგებობის ის ნაწილი, რომელიც მოსარჩელეს ეკუთვნოდა, აღარ არსებობს, ხოლო მის ადგილას არსებული მიწის ნაკვეთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაა, სადავო მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება აქვს მოპასუხესაც. მოპასუხის მფლობელობიდან მიწის ნაკვეთის გამოთხოვის შემთხვევაში კი, იგი ვეღარ ისარგებლებს ამ ქონებით. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის მფლობელობიდან მიწის ნაკვეთის გამოთხოვის თაობაზე, პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

12.6. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს თავისი წილი მიწის ნაკვეთი კანონით დადგენილი წესით არ განუკარგავს, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბინა დანგრეულია, მოსარჩელე მიწის თანამესაკუთრეა და შეუძლია, ამ ქონებით ისარგებლოს. ამის გამო, მოპასუხეს აეკრძალა მიწის ნაკვეთით სარგებლობაში მოსარჩელისათვის ხელშეშლა.

**13. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**



13.1. კასატორის მტკიცებით, მან მოსარჩელის მიერ დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით (რომელსაც არ გააჩნია საკადასტრო რუკა/გეგმა) უძრავი ქონების რეგისტრაციამდე სამი წლით ადრე დაირეგისტრირა უძრავი ქონება დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით.

13.2. ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში დაცული საინვენტარიზაციო გეგმით დგინდება, რომ ქ. ბათუმში, ....-სა და .....-ის კვეთაში განთავსებულია ლიტერი „ვ“ ორსართულიანი შენობა საერთო ფართობით 921.82 კვ.მ. 27.06.2003 წლის სააღრიცხვო ბარათით დგინდება, რომ სადავო მისამართზე 921.82 კვ.მ საერთო სასარგებლო ფართიდან 5/23 ნაწილი ბათუმის მერიას ჰქონდა რეგისტრირებული საკუთრებაში, ხოლო 5/23 ნაწილი პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებული იყო გამყიდველის საკუთრებაში.

13.3. 2003 წლის 26 ივნისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ შედგენილი ტექნიკური პასპორტით დგინდება, რომ გამყიდველის საკუთრებაში რეგისტრირებული იყო სადავო მისამართზე ლიტერ „ვ“ შენობაში 199.63 საერთო სარგებლობის ფართი, რომელსაც თან ახლავს როგორც მიწის ნაკვეთის გეგმა-ნახაზი, ისე ლიტერ „ვ“ შენობაში გამყიდველის ინდივიდუალურ საკუთრებაში აღრიცხული ფართის ნახაზი, რომელიც სამი ოთახისაგან შედგება: №1 – 84.39 კვ.მ, ოთახი №1ა – 49.71 კვ.მ და ოთახი №2-ის ნაწილი – ფართობით 50.92 კვ.მ, საერთო ჯამში 199 კვ.მ, რომელიც ნახაზისა და მასზე დატანებული გარეთ გამავალი კარის მდებარეობით უშუალოდ ესაზღვრება გ-სა და მ-ს კვეთას.

13.4. იგივე დასტურდება სარჩელს თანდართული, საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი ტექნიკური აღრიცხვის მასალებით. გეგმა-ნახაზის მიხედვით, №1,1ა და №2 ოთახების შემდეგ მოდის ოთახები №3,4,5 საერთო ფართობით 159 კვ.მ, რომელიც ესაზღვრება .....-ის ქუჩას. აღნიშნული ფართი ეკუთვნოდა ქალაქ ბათუმის მერიას და ამჟამად ეკუთვნის მოსარჩელეს.

13.5. მოსარჩელის საკუთრების ..... ქუჩის მხრიდან მდებარეობა დგინდება მხოლოდ მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიერ შედგენილი აზომვითი ნახაზით, რომელიც არასწორადაა შედგენილი და ეწინააღმდეგება საჯარო რეესტრში დაცულ ტექაღრიცხვის მონაცემებს.

13.6. რაც შეეხება 24.01.2013 წლის ექსპერტიზის დასკვნას, მისი არაკვალიფიციურობა და დაუსაბუთებლობა დგინდება იმითაც, რომ საქმეში წარმოდგენილია ამავე ექსპერტის 10.10.2012 წლის დასკვნა, სადაც იგი სრულიად საპირისპიროს ასკვნის, კერძოდ, დასკვნის მიხედვით, მოპასუხის კუთვნილი 199 კვ.მ ფართი მდე-



ბარეობს ....-ისა და ..... ქუჩების კვეთაში და ამ ფართის მხოლოდ ნაწილს გაუქვითდა დემონტაჟი მერიის სათანადო ნებართვის საფუძველზე. კასატორის მითითებით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ, თუ იგი მერიის მოთხოვნას არ შეასრულებდა შენობის დემონტაჟთან დაკავშირებით, დაჯარიმდებოდა.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 მარტის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

15. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად გამოაქვს დასკვნა, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადანყვეტილება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

16. სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა მტკიცებების საგანში შემავალი, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტი (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი), ამის შედეგად სარჩელი საკმარისი არგუმენტაციის გარეშე იქნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებული.

17. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონიშნავს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება გათვალისწინდეს ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

18. მოსარჩელის განმარტებით, მის საკუთრებას წარმოადგენს ქ. ბათუმში, ..... მდებარე უძრავი ქონება – 159.09 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად (ს/კ .....). მისივე განმარტებით, მოპასუხემ თვითნებურად დაანგრია მითითებული არასაცხოვრებელი ფართი და მის ადგილზე ავტოსამრეც-

ხაო მოანყო. მოპასუხის ამ მოქმედებით მოსარჩელემ დაკარგა მფლობელობა ზემოხსენებულ უძრავ ქონებაზე, ამასთან, მას მიადგა ზიანი.

19. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სსკ-ის 172-ე მუხლის პირველ ნაწილს (მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება), ამავე კოდექსის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება, მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლებს ეფუძნება.

20. სსკ-ის 172.1 მუხლით გათვალისწინებული ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა. მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე; ბ. მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი; გ. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფლება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირველი წინაპირობის არარსებობა თავშივე გამოორიცხავს ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ისე, რომ შემდეგი წინაპირობების შემოწმება საჭირო აღარაა. ამდენად, მოსარჩელემ, უპირველესად, ის გარემოება უნდა დაამტკიცოს, რომ იგი სადავო ნივთის მესაკუთრეს წარმოადგენს.

21. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ მისი საკუთრების დასადასტურებლად წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, თუმცა, მოპასუხის განმარტებით, ამავე მისამართზე მასაც გააჩნია საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, რომელიც 2007 წლიდან რეგისტრირებულია მის სახელზე საჯარო რეესტრში და ეს ქონება სწორედ ისაა, რომელზედაც მოსარჩელე დავობს. ამდენად, მხარეთა შორის დავას ინვევს მათ საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებების ზუსტი ადგილმდებარეობა.

22. კასატორის პრეტენზია ისაა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა დანგრეული უძრავი ქონების მოსარჩელისადმი კუთვნილება, რადგან შენობის ამ ნაწილის მესაკუთრე თავად იყო. პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპე-

ლაციო სასამართლომ ისე დაადგინა სადავო ნივთის მოსარჩელი-სადმი კუთვნილება, რომ სრულად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ 24.01.2013 წლის ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით დაადგინა, რომ მოსარჩელის საკუთრება მდებარეობდა .....სა და .....-ის ქუჩების კვეთაზე და აღნიშნული საკუთრების გვერდითი მხარე .... ქუჩას ესაზღვრებოდა, ანუ სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე მოსარჩელე იყო.

23. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის არგუმენტს სასამართლოს ინიციატივით დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის არასრულყოფილი გამოკვლევისა და ამ გზით დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენის თაობაზეც და განმარტავს, რომ ექსპერტის დასკვნა, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დასაშვებ მტკიცებულებათაგან ერთ-ერთია. ექსპერტის დასკვნას სხვა მტკიცებულებებთან მიმართებით რაიმე უპირატესობა არ გააჩნია, იგი სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და ფასდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, კერძოდ, სასამართლო სადავო გარემოებების არსებობა-არარსებობის დადგენისას ინდივიდუალურად და ერთობლივად აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგად აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკვლევე საკითხის მიმართ. თავის მხრივ, მტკიცებულების სრულყოფილად გამოკვლევა გულისხმობს თავდაპირველად მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოების) შემოწმებას.

24. მოცემულ შემთხვევაში, ექსპერტი უთითებს, რომ დასკვნა მომზადებულია უძრავი ნივთის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არსებული აზომვითი ნახაზითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით. სწორედ საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილია და არც მხარეთა შორის არ არის სადავო, რომ მოპასუხის როგორც საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი, ისე მის საფუძველზე არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერი შესრულებულია უფრო ადრე, ვიდრე მოსარჩელისა შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

– საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში დაცული მიწის ნაკვეთისა და მასთან მყარად დაკავშირებული საინვენტარიზაციო გეგმა;

– 27.06.2003 წელს გაცემული ბინის სააღრიცხვო ბარათი, სადაც მითითებულია, რომ სადავო მისამართზე 921.82 კვ.მ საერთო სასარგებლო ფართიდან 5/23 ნაწილი ბათუმის მერიას ჰქონდა რეგისტრირებული საკუთრებაში, ხოლო 5/23 ნაწილი პრივატიზაციის

ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებული იყო გამყიდველის საკუთრებაში;

– 2003 წლის 26 ივნისის კერძო საკუთრებაში არსებული ბინების, საცხოვრებელი სახლისა და არასაცხოვრებელი ფართის ტექნიკური პასპორტი, რომელსაც თან ახლავს როგორც მიწის ნაკვეთის გეგმა-ნახაზი, ისე ლიტერ „ვ“ შენობის გეგმა-ნახაზი;

– საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში არსებული მონაცემები, რომლის მიხედვითაც სადავო მისამართზე ქ.ბათუმის მერიას საკუთრებაში ჰქონდა №3-5 ოთახები. გეგმა-ნახაზის მიხედვით, ოთახები №3,4,5 საერთო ფართობით 159 კვ.მ, ესაზღვრება მხოლოდ გ-ს ქუჩას, ხოლო მ-ს ქუჩას – მხოლოდ №1,1ა ოთახები.

25. აღნიშნული მასალები სასამართლოს არ აქვს გამოკვლეული და შეფასებული და ისინი არც ექსპერტიზის დასკვნას არ უდევს საფუძველად, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები არ ემყარება საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილ კვლევას.

26. ექსპერტიზის დასკვნის გარდა, ერთადერთი მტკიცებულება, რითაც სასამართლომ იხელმძღვანელა სადავო ფაქტის დადგენისას, არის მოსარჩელის საკუთრების რეგისტრაციის საფუძველად არსებული აზომვითი ნახაზი, რომელიც 2009 წლის 10 დეკემბერსაა შესრულებული. მართალია, საკადასტრო აზომვითი ნახაზი უძრავი ნივთის რეგისტრაციისათვის ერთ-ერთი აუცილებელი, კანონით მოთხოვნილი ინფორმაციაა, თუმცა იგი არ წარმოადგენს უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, რის გამოც მხოლოდ ამ ნახაზით სასამართლო ვერ დაადგენს მოსარჩელის საკუთრების უფლებას. ამასთან, სასამართლომ დამატებით უნდა შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა 10.12.2009 წლის მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში არსებულ მონაცემებს და მოპასუხის საკუთრების ტექნიკურ პასპორტს, რომელსაც თან ახლავს 2003 წლის 26 ივნისის შედგენილი გეგმა-ნახაზი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, თუ გამოვლინდება ერთი და იმავე ობიექტზე სხვადასხვა კოორდინატთა სისტემაში ორი ჩანაწერის კონკურენცია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე არის რეგისტრირებული, ვინაიდან წინმსწრები რეგისტრაციის ჩანაწერის მოქმედება გამორიცხავს შემდეგი ჩანაწერის კანონიერებას (შდრ. სუსგ №ბს-359-349 (4კ-13), 24.04.2014).

27. მატერიალური კანონმდებლობიდან გამომდინარე, ვინდოკაციური სარჩელის წარდგენისას სწორედ მოსარჩელეს ეკისრება სარჩელის სამივე საფუძვლის დამტკიცების მოვალეობა, წინააღ-

მდეგ შემთხვევაში, ვერ იქნება აღიარებული სადავო ნივთზე მისი მოთხოვნის მართლზომიერება. სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით უნდა გამოარკვიოს და შეაფასოს, დაამტკიცა თუ არა მოსარჩელემ შენობის დანგრეულ ნაწილზე თავისი საკუთრება, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საპირისპირო მტკიცებულების გათვალისწინებით. ერთ-ერთი ასეთი მტკიცებულებაა 10.10.2012 წლის ექსპერტიზის დასკვნა, რომლის კვლევითი ნაწილის მიხედვით, 1568.00 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ესაზღვრება .....-ის ქუჩას და შენობის დანგრევის შედეგად გამოთავისუფლებული 235.00 კვ.მ მიწის ფართი, სადაც განთავსებულია ავტოსამრეცხაოს შენობა-ნაგებობანი და მდებარეობს ....-ისა და .....-ის ქუჩების კვეთაში. ამ კვლევას ახლავს ნახაზიც. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა არ შეუფასებია, რითაც სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 249-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ნორმის მოთხოვნა, კერძოდ, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის სასამართლოს მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას.

28. ამასთან, მართალია, საჯარო რეესტრის შესაგებლით დაფიქსირებული პოზიცია იმგვარია, რომ არ დგინდება კონკრეტულად დანგრეული შენობის რომელიმე მხარისადმი კუთვნილება, თუმცა ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსმა მოსარჩელეს განცხადებაზე პასუხად აცნობა, რომ ლიტ „ვ“-ს ნაწილი ....-ის ქუჩის მხრიდან რეგისტრირებული იყო მოპასუხის საკუთრების უფლებით. მოსარჩელის მტკიცებით, ამ პასუხში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, რომელიც მეორე დღეს გამოსწორდა და წერილში მიეთითა, რომ შენობა ....-ის ქუჩის მხრიდან მოსარჩელეს ეკუთვნოდა, თუმცა აღნიშნული წერილი საქმეში წარმოდგენილი არ არის.

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სადავო საკითხთან – დანგრეული სადავო უძრავი ქონების მოსარჩელისადმი კუთვნილებასთან დაკავშირებით არ ეფუძნება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის კრიტერიუმებს. პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დარღვეულია სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა – გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ არის ასახული სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, რადგანაც სააპელა-

ციო სასამართლოს ერთობლივად არ შეუფასებია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და საჭიროა მათი დამატებით გამოკვლევა.

30. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით სწორად უნდა განსაზღვროს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები, სრულყოფილად გამოიკვლიოს წარდგენილი მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. თ.ლ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

სარჩელის შინაარსი

გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო

№ას-1163-2018

08 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ქ. ა-ეში, კ-ას ქ. №1-ში მდებარე უძრავი ქონება (შემდეგში: სადავო საცხოვრებელი ბინა) წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებას.

2. სადავო საცხოვრებელ ბინაზე 16.10.2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ა-ის გარნიზონის საბინაო ნაწილმა გასცა საცხოვრებელი ბინის №... ორდერი ს. ნ-ის (შემდეგში: მოპასუხე ან კასატორი) სახელზე, ხოლო 2005 წლის 12 სექტემბრის საცხოვრებელი ბინის პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნული ბინა მოპასუხეს უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებაში.

3. 18.02.2014 წელს მოპასუხემ სანოტარო წესით დამონმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო საცხოვრებელი ბინა მიჰყიდა ნ. გ-ს (შემდეგში – სადავო უძრავი ქონების ამჟამინდელი მესაკუთრე).

4. სადავო საცხოვრებელი ბინაზე ტ. კ-მა (შემდეგში: მფლობელი ან მოსარჩელე ან აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე) სარემონტო სამუშაოები აწარმოა 1996 წელს.

5. მოსარჩელემ (მფლობელი) სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ 5300 ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

6. მოსარჩელის განმარტებით 1996 წელს იმჟამინდელი სამხედრო ადმინისტრაციის და სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელის სიტყვიერი ნებართვით მოსარჩელის ოჯახს საცხოვრებლად გამოეყო სადავო საცხოვრებელი ბინა (დაახლოებით 25მ<sup>2</sup> ფართობის მქონე



მიტოვებული სარდაფი), რომელიც მოსარჩელემ მოაწესრიგა: ამო-  
აშენა კედლები, გაიყვანა წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ელექ-  
ტროგაყვანილობა და ოჯახთან ერთად დაიწყო ცხოვრება. აღნიშ-  
ნულ ბინაში მოსარჩელე ცხოვრობდა 2015 წლის 16 იანვრამდე, მა-  
ნამ, სანამ შსს ა-ის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა  
სადავო საცხოვრებელი ბინიდან არ გამოასახლეს. მოგვიანებით,  
მოსარჩელემ გაარკვია, რომ 2005 წლის 12 სექტემბერს ბინის პრი-  
ვატიზების ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნული საცხოვრე-  
ბელი ფართი საკუთრებაში დაირეგისტრირა მოპასუხემ. საცხოვ-  
რებელი ფართის კეთილმოწყობის ხარჯებმა, აუდიტის შეფასების  
საფუძველზე შეადგინა 5300 ლარი.

7. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შედეგებით სადავო  
გახადა სადავო საცხოვრებელ ბინაში მოსარჩელის მფლობელობის  
მართლობიერება. აგრეთვე, აღნიშნულ ბინაში სარემონტო სამუ-  
შაოების ჩატარება.

8. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 07 სექტემ-  
ბრის გადაწყვეტილებით სარჩელი მოპასუხისათვის 5300 ლარის და-  
კისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

9. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილე-  
ბის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2018 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით გაუქმდა პირ-  
ველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის უარ-  
ყოფის თაობაზე და სარჩელი მოპასუხის მიმართ 5300 ლარის და-  
კისრების თაობაზე დაკმაყოფილდა.

11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ  
18.02.2014 წელს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის თა-  
ნახმად, სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენდა მო-  
პასუხე, ხოლო 18.03.2014 წელს მომზადებული საჯარო რეესტრის  
ამონაწერის თანახმად, ამავე ქონების მესაკუთრეა ნ. გ-ი. სადავო  
უძრავ ნივთზე მოპასუხის საკუთრების უფლების დამადასტურე-  
ბელ დოკუმენტებს წარმოადგენს: 1. საცხოვრებელი ბინის ტექ. პას-  
პორტი, დამონშების თარიღი: 07.12.2007წ.; 2. ბინის პრივატიზაცი-  
ის ხელშეკრულება №-..., დამონშების თარიღი: 12.09.2005წ..

12. 2005 წლის 12 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის სამი-  
ნისტროს რეგიონალური ბაზა №4-სა და მოპასუხეს შორის, გაფორ-  
მდა საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომ-  
ლის თანახმად, მოპასუხეს უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს  
თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბი-  
ნა, მდებარე, ქ.ა-ე, კ-ას ქ.№1-.... თავის მხრივ, მოპასუხემ 18.02.2014  
წელს გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულე-

ბის საფუძველზე, სადავო საცხოვრებელი ბინა 25000 ლარად მიჰყიდა ნ. გ-ს.

13. 1996წ.-18.09.2014წ. პერიოდში, სადავო უძრავი ქონების დამხმარე ფართს, 24.1 კვ.მ. სარდაფს ფლობდა მოსარჩელე. დადგენილია, რომ თ-ე გ-ის (მესაკუთრის უფლებამოსილი პირი) განცხადების საფუძველზე, 18.09.2014 წელს მოსარჩელე გამოსახლდა სადავო ფართიდან.

14. აუდიტორული დასკვნით შეფასდა 2017 წლის 02 ივნისის მდგომარეობით სადავო უძრავი ქონების, პირველ სართულზე მდებარე ბინა №...-ის 119,10 კვ.მ. ფართიდან, წინა წლებში, მოსარჩელის ფაქტიურ მფლობელობაში არსებული დაახლოებით 24.1. კვ.მ. ფართის და მის მიერ განხორციელებული კაპიტალური რემონტის ხარჯების საბაზრო ღირებულება. დასკვნის თანახმად, 24.1 კვ.მ. ფართის საბაზრო ღირებულება 2017 წლის 02 ივნისის მდგომარეობით განისაზღვრა 15 000 ლარით, ხოლო, 24.1. კვ.მ. ფართზე, განხორციელებული კაპიტალური რემონტის ხარჯების საბაზრო ღირებულება – 5 300 ლარით. 119.1 კვ.მ. ფართიდან, 24.1 კვ.მ. ფართზე განეული კაპიტალური რემონტის ხარჯები განისაზღვრა შემდეგნაირად: 1. შემოსასვლელი – დაგებულია მეტლახი, კედლებზე და ჭერზე, პლასტმასის პროფილი; 2. საპირფარეო – დაგებულია მეტლახი, მოპირკეთებული კაფელით, მოწყობილია სველი ნერტილები; 3. ოთახი – დაგებულია ხის იატაკი, გალესილია კედლები; 4. კედლების აშენება – აგურის ტიხრები: ტუალეტიდან შემოსასვლელის საზღვარზე, ოთახიდან შემოსასვლელის საზღვარზე, ბლოკის ტიხრები; კედლების ნაწილი; 5. ხის კარები – 3 ცალი.

15. სააპელაციო პალატამ მოსარჩელე სადავო საცხოვრებელი ბინის არაკეთილსინდისიერ მფლობელად მიიჩნია, რადგან მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება სადავო ფართზე მისი მფლობელობის კეთილსინდისიერების (სსკ-ის 159-ე მუხლი) დასადასტურებლად.

16. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კი, საქმის მასალებში არსებული გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები მიუთითებდა, რომ სადავო უძრავი ქონება წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებას, რომელმაც, 16.10.2002 წელს გაცემული ორდერის საფუძველზე, იგი სარგებლობაში გადასცა მოპასუხეს, რასაც საფუძველად დაედო საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №...-3-ე ბრძანებულების „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სპეციალური წოდების მქონე პირთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ 47-ე პუნქტი, რომლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებს და მა-

თი ოჯახის წევრებს საცხოვრებელი ბინის მიღებამდე ეძლევათ დროებითი საცხოვრებელი სასამსახურო შენობები ან ოთახები საერთო საცხოვრებელში. საქმის მასალებით არც ის გარემოება დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე იყო სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც აღნიშნული ფართი კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მიიღო სარგებლობაში.

17. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელს საფუძვლებზე მოპასუხეს პირველი ინსტანციის სასამართლოში კვალიფიციური შედაგება არ განუხორციელებია. განსახილველ საქმეზე მოპასუხეს არც დასაბუთებული პრეტენზია დაუყენებია იმის თაობაზე, რომ ზემოთ მითითებული ხარჯები არ გაღებულა ან/და ის, რომ მესაკუთრის ინტერესებით არ იყო გათვალისწინებული ეს გაუმჯობესებები. შესაბამისად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ამ გაუმჯობესებებით ფართის მიღება (რეალიზაცია) მიუთითებდა მესაკუთრის გამდიდრებაზე.

18. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნა უნდა შემონმმებულიყო ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 987-ე ან 164-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით.

19. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 987-ე მუხლის პირველ ნაწილზე [დისპოზიცია: პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა] და განმარტა, რომ ნორმა წარმოადგენს ე.წ. დანახარჯების კონდიქციას, რომლითაც განისაზღვრება იმ პირის უფლებები, ვინც სხვის ქონებაზე გასწია ხარჯები, მაგრამ ამ ნორმის გამოყენებისას მნიშვნელობა ენიჭება განსახილველ ფაქტობრივ სიტუაციას, რომლის თანახმად, არა მარტო მოსარჩელემ შეგნებულად თუ შეცდომით სხვის ქონებაზე გასწია ხარჯი, არამედ, თავის მხრივ, ნივთის უკანონო მფლობელობით სარგებელი მიიღო. ამ ფაქტობრივ სიტუაციაზე სსკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებას გამოორიცხავს ამავე კოდექსის 984-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, ხელმყოფი პირის მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ განეული ხარჯები არ ამცირებს მისი გამდიდრების ოდენობას. ჩარევის კონდიქციის განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, თუ ხელმყოფი პირი გამდიდრდა გამოყენებული სიკეთით, ამ გამდიდრების ოდენობა ვერ შემცირდება მის (ხელმყოფი პირი) მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ განეული ხარჯებით, ანუ განსახილველი ნორმა ითვალისწინებს არა მარტო იმ შემთხვევას, როდესაც სხვისი სიკეთის მიმართ

ხდება ხარჯების განევა, არამედ, ასევე შემთხვევას, როდესაც ამით ხელმყოფი პირი მდიდრდება. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის წარმატებულობა უნდა შემოწმებულიყო არა სსკ-ის 987-ე მუხლთან, არამედ 164-ე მუხლთან მიმართებით.

20. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი სუბსიდიარული ხასიათისაა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ ინსტიტუტის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა, მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი სარჩელის მოთხოვნა უნდა შემოწმებულიყო სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ საფუძვლებთან, კერძოდ, სსკ-ის 164-ე მუხლით [დისპოზიცია: არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად არ მიიღო. ნივთზე განეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას შეუძლია, მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტიდან უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად. სხვა მოთხოვნები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელი რჩება].

21. განსახილველ შემთხვევაში, ნორმის გამოყენების წინაპირობად ის გარემოება დასახელდა, რომ ნივთის მფლობელი, რომელმაც გასწია ხარჯები და გაუმჯობესებანი, უნდა იყოს არაუფლებამოსილი და არაკეთილსინდისიერი მფლობელობის მიმართ (არაუფლებამოსილი, მაგრამ კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ გამოიყენება 163-ე მუხლი, რაც 164-ე მუხლისაგან განსხვავებულ წესებს ითვალისწინებს). განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე იყო სადავო უძრავი ქონების არაკეთილსინდისიერი მფლობელი. მოსარჩელემ მოთხოვნის ოდენობის დასადასტურებლად წარმოადგინა აუდიტის დასკვნა (რომელსაც მოპასუხე არ შედავებია ალტერნატიული მტკიცებულებით). ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმეები (გ. შ. და ბ. ზ.) ადასტურებდნენ ნივთის გადაცემამდე, სადავო ფართში მოსარჩელის მიერ კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარების ფაქტს. ასევე მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელის მიერ სარდაფის დაკავებამდე ეს დამხმარე ფართი წარმოადგენდა მიტოვებულ ნაგავსაყრელს, ასევე, დასკვნაშიც მითითებულია სამუშაოების მოსარჩელე მხარის მიერ ჩატარების ფაქტი. ამასთან, მოპასუხე არ უთითებდა ისეთ გარემოებებზე, რომლითაც გამოირიცხებოდა მისი, როგორც მესაკუთ-

რის ინტერესები ამ გაუმჯობესებების მიმართ. ის გარემოებაც იქნა მიღებული მხედველობაში, რომ 2002 წლიდან ანუ მოპასუხის მიერ ნივთზე მართლზომიერი მფლობელობის მოპოვების დროიდან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე (2014 წლის 18 თებერვალი), მოპასუხეს, როგორც ქონების მართლზომიერ მფლობელს და მესაკუთრეს არ მიუმართავს მოსარჩელისათვის და არ უცნობებია სადავო ფართზე მისი უფლების შესახებ. ამასთან, მოსარჩელე არ გაუფრთხილებია იმის თაობაზე, რომ არ სურდა (წინააღმდეგი იყო) მის საკუთრებაში რაიმე სარემონტო სამუშაოების წარმოება. ამდენად, პალატა დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2014 წლის 18 თებერვალს მოპასუხემ გაყიდა მოსარჩელის ხარჯით გაუმჯობესებული ქონება, რითაც იგი 5 300 ლარით გამდიდრდა.

22. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარმოადგინა მოპასუხემ.

23. საკასაციო საჩივარი წარმოდგენილია, როგორც მატერიალურ სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენებისა და განმარტების [სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილი], ისე, საპროცესო სამართლებრივი დარღვევების არსებობის საფუძველზე [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი].

24. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 164-ე მუხლი [დისპოზიცია: არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად არ მიიღო. ნივთზე განეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას შეუძლია მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად. სხვა მოთხოვნები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელი რჩება] და არასწორად შეაფასა ამ ნორმით სადავო სამართლებრივი ურთიერთობა. ნორმა განმარტავს, რომ ნივთზე განეული ხარჯები და გაუმჯობესებანი არაკეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად. კასატორის მოსაზრებით, აუცილებელია დადგინდეს მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე რამდენად წარმოადგენს „უფლებამოსილ პირს“. ამ თვალსაზრისით, კასატორი მიუთითებს, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ უძრავ ქონებაზე სარემონტო სამუშაოები ჩაატარა 1996 წელს, მაშინ როდესაც უძრავი ქონება იყო თავდაც-

ვის სამინისტროს ბალანსზე, მოპასუხემ კი, მასზე საკუთრების უფლება მოიპოვა 2005 წელს, მაშინ როდესაც განხორციელდა უძრავი ქონების პრივატიზაცია. შესაბამისად არ არსებობდა „მესაკუთრის ინტერესები» ამ გაუმჯობესების მიმართ და იგი ვერც პრეტენზიას გამოთქვამდა სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. მოსარჩელის (როგორც არაკეთილსინდისიერი მფლობელის) მიერ უძრავ ქონებაზე განუხორციელები ხარჯებითა და გაუმჯობესებებით გადმოდირებულ პირს წარმოადგენდა არა მოპასუხე, არამედ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. მოსარჩელე სარემონტო სამუშაოების წარმოების თარიღად უთითებს 1996 წელს, აღნიშნული დროისათვის კი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და არა მოპასუხის საკუთრებას. მოპასუხე უძრავი ქონების მართლზომიერი მფლობელი გახდა 2002 წელს, ხოლო მესაკუთრე – 2005 წელს.

25. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას მოპასუხის არაკვალიფიციური შედეგების განხორციელების ნაწილში (იხ., ამ განჩინების პ-170) და აღნიშნავს, რომ დავის ამოსავალი წერტილია სსკ-ის 164-ე მუხლის განმაპირობებელი შედეგი რომ არ დამდგარა მოპასუხის მიმართ. შესაბამისად აღნიშნული დროისათვის და შემდგომშიც მოპასუხისათვის სრულიად უცნობი გახლდათ უძრავ ქონებაზე ხარჯის განეკის ფაქტი. სწორედ აღნიშნული პოზიცია დაფიქსირდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ შესაგებელშიც. ხოლო დამატებით რა სახის მტკიცებულებების წარგენის ვალდებულებას აკისრებს მოპასუხეს სააპელაციო სასამართლო, კასატორისათვის გაურკვეველია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 04 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

27. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოტივაციით:

28. სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წა-

მოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

29. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

30. სადავო საცხოვრებელი ბინა წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებას, რომელზედაც 16.10.2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ა-ის გარნიზონის საბინაო ნაწილმა გასცა საცხოვრებელი ბინის ორდერი მოპასუხის სახელზე, ხოლო 2005 წლის 12 სექტემბრის საცხოვრებელი ბინის პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნული ბინა მოპასუხეს უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებაში.

31. 18.02.2014 წელს მოპასუხემ სანოტარო წესით დამოწმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო საცხოვრებელი ბინა მიჰყიდა სადავო უძრავი ქონების ამჟამინდელ მესაკუთრეს.

32. სადავო საცხოვრებელ ბინაზე მოსარჩელემ სარემონტო სამუშაოები აწარმოა 1996 წელს.

33. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პრეტენზია ეფუძნება 1996 წელს უძრავ ნივთზე განეული ხარჯის – 5300 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების არამართლობიერებას.

34. აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნივთზე განეული ხარჯის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ 1996წ.-18.09.2014წ. პერიოდში, სადავო უძრავი ქონების დამხმარე ფართს, 24.1 კვ.მ. სარდაფს, ფლობდა მოსარჩელე. სადავო ფართიდან მოსარჩელე გამოსახლდა 18.09.2014 წელს. დადგენილად იქნა მიჩნეული ის გარემოებაც, რომ 2014 წლის 18 თებერვალს მოპასუხემ სადავო საცხოვრებელი ბინა მიჰყიდა სადავო უძრავი ქონების ამჟამინდელ მესაკუთრეს.

35. კასატორი სადავოდ ხდის მოპასუხისათვის ნივთზე განეული ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკისრების მართლობიერებას იმ საფუძველით, რომ საქმეზე დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით (იხ.,ამ განჩინების პპ: 2,4) მოსარჩელემ უძრავ ქონებაზე სარემონტო სამუშაოები ჩაატარა 1996 წელს, მაშინ როდესაც უძრავი ქონება იყო თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე, მოპასუხემ კი, მასზე საკუთრების უფლება მოიპოვა 2005 წელს, მაშინ როდესაც განხორციელდა უძრავი ქონების პრივატიზაცია(ის., საკასაციო საჩივრის საფუძველები – ამ განჩინების პ-24).

36. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველების შემონ-



მებისას საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, იმჯგულის წარმოშობილია თუ არა მოპასუხის ვალდებულება ნივთზე განეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ.

37. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

38. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.

39. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულებს რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადანყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აიხსოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში.

40. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ისე მი-

იჩნია მოპასუხე მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების გაუმჯობესებაზე განეული ხარჯების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად სსკ-ის 164-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით, რომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სახელდობრ, სარჩელის ის ფაქტობრივი შემადგენლობა (მოცემულობა), რომლებიც სსკ-ის მე-3, მე-4 და 178-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა, ხოლო იმის შეფასება იძლეოდა თუ არა სარჩელში მოცემული ფაქტობრივი შემადგენლობა (სარჩელის აღწერილობა) სსკ-ის 164-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას მოპასუხედ დასახელებული პირის მიმართ, საჭიროებდა სასამართლოს მხრიდან საფუძვლიან შემოწმებას, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების ეტაპზე (რელაციის ეტაპი).

41. განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა სადავო უძრავ ქონებაზე გარემონტების ხარჯების ანაზღაურების შესახებ ეფუძნება იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ მოსარჩელემ საკუთარი სახსრებით გაარემონტა სადავო უძრავი ქონება (დაახლოებით 25მ<sup>2</sup> ფართობის მქონე მიტოვებული სარდაფი), რომელიც მისი მხრიდან დაუფლებს არ იყო საცხოვრებლად ვარგისი. ამასთან, სადავო ქონების გასხვისების დროისათვის, ნივთზე მოსარჩელის მიერ განეული ხარჯებით, გამდიდრდა მოპასუხე (გამსხვილებული) (იხ., ამ განჩინების პ-5).

42. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის მოთხოვნის განმაპირობებელ სამართლებრივ საფუძვლად არა სსკ-ის 987-ე მუხლი, არამედ 164-ე მუხლი მიიჩნია (იხ., ამ განჩინების პ-19), თუმცა აღნიშნულ საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვერ მიენიჭება, იმის გათვალისწინებით, რომ შედეგის განმაპირობებელი ფაქტების კვლევისა და დადგენის პროცესამდე სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს მოსარჩელის მოთხოვნაზე ვალდებულ პირი და სარჩელის წარმატებულობა სწორედ ვალდებულ პირის მიმართ უნდა შეამოწმოს.

43. საგულისხმოა, რომ იმ სუბიექტთა წრის განსაზღვრა, ვინც უნდა აგოს პასუხი მოსარჩელის მიმართ, მოსარჩელის მტკიცების ვალდებულების ნაწილია (სსკ-ის მე-3, მე-4, 178-ე მუხლები), თუმცა, საბოლოოდ, სარჩელის დაკმაყოფილების მიზნისთვის სასამართლო ამოწმებს ნორმით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგზე პასუხეს აგებს თუ არა ის პირი, რომელიც დასახელებულია მოპასუხედ (სათანადო მოპასუხე).

44. ამდენად, სწორი სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია სათანადო მოპასუხის განსაზღვრის მნიშვნელობას. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ მან საცხოვრებელ ფართში სარემონტო სამუშაოები აწარმოა 1996 წელს, ხოლო ამავე საცხოვრებელ ფართზე 16.10.2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ა-ის გარნიზონის საბინაო ნაწილმა გასცა საცხოვრებელი ბინის №... ორდერი მოპასუხის სახელზე, ხოლო 2005 წლის 12 სექტემბრის საცხოვრებელი ბინის პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნული ბინა მოპასუხეს უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებაში, გამომდინარეობს პირველი დასკვნა იმის თაობაზე, რომ საცხოვრებელი ფართზე უფლების მოპასუხისათვის გადაცემის მომენტისთვის სადავო სარემონტო სამუშაოები უკვე განხორციელებული უნდა ყოფილიყო, ხოლო აღნიშნული დასკვნის საფუძველზე გამომდინარეობს მეორე დასკვნა იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მოთხოვნაზე პასუხისმგებელ პირს მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებული პირი არ წარმოადგენს.

45. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტებს სჭირდება მტკიცება. მოსარჩელეა ვალდებული სათანადო მტკიცებულებებით ამტკიცოს მოთხოვნის წარმოშობა შესაბამისი პირის მიმართ. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეა ვალდებული აუნაზღაუროს მოსარჩელეს ნივთზე განეული გაუმჯობესება, თუმცა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომ ნივთზე მოპასუხის მხრიდან უფლების მოპოვებამდე სარემონტო სამუშაოები უკვე განხორციელებული უნდა ყოფილიყო (1996წ.), ხოლო მოპასუხემ პრივატიზება – საკუთრება უსასყიდლოდ მოიპოვა მხოლოდ 2005 წელს, უსაფუძვლოა სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება მოპასუხის მიმართ.

46. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

47. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

48. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს,

რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე და სარჩელი ნივთზე განეული ხარჯების (5300 ლარი) ანაზღაურების შესახებ მოპასუხის მიმართ უსაფუძვლოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

49. სსსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დაეკისროს მოსარჩელეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ს. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება და ტ. კ-ის სარჩელი ს. ნ-ის მიმართ, 5300 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
3. ტ. კ-ს დაეკისროს ს. ნ-ის სასარგებლოდ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად 300 ლარი;
4. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 6. სარჩელის უზრუნველყოფა

### სარჩელის უზრუნველყოფით გამომწვეული ზიანის ანაზღაურება

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1470-1390-2017

11 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება; ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით ა-ი-ს (შემდეგში: მოსარჩელე, განმცხადებელი, საჩივრის ავტორი ან კომპანია) წარმომადგენლების დ. ტ-ის და ნ. ბ-ის შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

1.1. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით:

1.1.1. ი. გ-ს(შემდეგში: მესამე მოპასუხე) აეკრძალა მის საკუთრებაში რიცხული შემდეგი უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა

- 1) ქალაქი თბილისი, სოფელი დ-ი – საკადასტრო კოდი 0...
- 2) ქალაქი თბილისი, დ-ი, ქ-ა – საკადასტრო კოდი 0...
- 3) ქალაქი თბილისი, დ-ი, ქ-ა – საკადასტრო კოდი 0...
- 4) ქალაქი თბილისი, დ-ი, ქ-ა, ნ-ი – საკადასტრო კოდი 0...
- 5) ქალაქი თბილისი, სოფელი დ-ი, ნ-ი – საკადასტრო კოდი 0...
- 6) ქალაქი თბილისი, სოფელი დ-ი – საკადასტრო კოდი 0...
- 7) ქალაქი თბილისი, სოფელი დ-ი, ნ-ი – საკადასტრო კოდი 0...
- 8) ქალაქი თბილისი, სოფელი დ-ი – საკადასტრო კოდი 0...
- 9) ქალაქი თბილისი, სოფელი დ-ის ტერიტორია – საკადასტრო კოდი 01-
- 10) ქალაქი თბილისი, სოფელი დ-ი – საკადასტრო კოდი 0...
- 11) მუნიციპალიტეტი ო-ი, სოფელი ნ-ი, (სოფ. ო-ი „შ-ი“) – საკა-

დასტრო კოდი 2- (1/2 წილი)

- 12) ქალაქი თბილისი, სოფელი დ-ი – საკადასტრო კოდი 0...
- 13) ქალაქი თბილისი, სოფელი წ-ი – საკადასტრო კოდი 8...
- 14) ქალაქი თბილისი, „დ-ი-3-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, (ნაკვეთი №1/126) – საკადასტრო კოდი 0...
- 15) ქალაქი თბილისი, სოფელი წ-ი – საკადასტრო კოდი 8...
- 16) რაიონი მ-ა, დაბა მ-ა, „კ-ი“ – საკადასტრო კოდი 4...
- 17) ქალაქი თბილისი, ქუჩა ჩ-ი, №23 (ნაკვ. 15/009) – საკადასტრო კოდი 0...
- 18) მცხეთა, სოფელი ს-ო, წ-ი – საკადასტრო კოდი 7...
- 19) ქალაქი თბილისი, გამზირი ვ-ა, კვარტალი II, №...ა სართული 9, ბინა №30 – საკადასტრო კოდი 0
- 20) ქალაქი თბილისი, სოფელი წ-ი – საკადასტრო კოდი 8-
- 21) ქალაქი თბილისი, წ-ის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, (ნაკვეთი 15/144) – საკადასტრო კოდი 0...
- 22) ქალაქი თბილისი, გზატკეცილი წ-ი, №... სართული 6, ბინა №17, (დუბლექსი) 308.00 კვ.მ. – საკადასტრო კოდი 0...
- 23) ქალაქი თბილისი, გამზირი ვ-ა, კვარტალი II, №...ა ავტოსადგომი №5 (მშენებარე) 13.00 კვ.მ. – საკადასტრო კოდი 0...
- 24) რაიონი ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, წ-ის ქუჩის მიმდებარედ – საკადასტრო კოდი 6..
- 25) რაიონი კასპი, სოფელი ზ. – საკადასტრო კოდი 6...
- 26) რაიონი კასპი, სოფელი ზ. – საკადასტრო კოდი 6...
- 27) რაიონი მ-ა, დაბა მ-ა, ს-ი – საკადასტრო კოდი 4...
- 28) ქალაქი თბილისი, ქუჩა მ-ე, №5 – საკადასტრო კოდი 0...
- 29) რაიონი ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, „დ-ი“ – საკადასტრო კოდი 6...
- 30) ქალაქი თბილისი, ქუჩა ი-ის, №60, (იგივე ი-ის/ბ-ის ქუჩა №60/4) – საკადასტრო კოდი 0...
- 31) ქალაქი თბილისი, ქუჩა ი-ის, №60, (იგივე ი-ის/ბ-ის ქუჩა №60/4 ავტოფარეხი – საკადასტრო კოდი 0...
- 32) ქალაქი თბილისი, სოფელი წ-ი – საკადასტრო კოდი 8
- 33) რაიონი კასპი, სოფელი ზ. – საკადასტრო კოდი 6...
- 34) ქალაქი თბილისი, დიდი ლილო, ვ-ის მეურნეობა – საკადასტრო კოდი 8...
- 35) რაიონი კასპი, სოფელი ა-ი – საკადასტრო კოდი 6...
- 36) რაიონი კასპი, სოფელი ა-ი – საკადასტრო კოდი 6...
- 37) რაიონი კასპი, სოფელი ზემო ჩ-ი – საკადასტრო კოდი 6...
- 38) რაიონი მ-ა, დაბა მ-ა, ...-ის ქუჩა – საკადასტრო კოდი 4...

39) რაიონი მ-ა, დაბა მ-ა, (ყოფილი ატეკის მთავარი კორპუსი) – საკადასტრო კ...

40) რაიონი მ-ა, დაბა მ-ა, ს-ი – საკადასტრო კოდი 4...

41) რაიონი მ-ა, დაბა მ-ა – საკადასტრო კოდი 4...

42) რაიონი კასპი, სოფელი ბ-ი – საკადასტრო კოდი 6...

43) რაიონი კასპი, სოფელი ბ-ი – საკადასტრო კოდი 6...

44) რაიონი კასპი, სოფელი ბ-ი – საკადასტრო კოდი 6...

45) რაიონი კასპი, სოფელი ბ-ი – საკადასტრო კოდი 6...

46) რაიონი კასპი, სოფელი ბ-ი – საკადასტრო კოდი 6...

47) ქალაქი თბილისი, სოფელი ზ-ი, „ბ-ა“ / ქალაქი თბილისი, სოფელი ზ-ი – საკადასტრო კოდი 7..

1.1.2. ყადაღა დაედო მესამე მოპასუხის წილებს შემდეგ საწარმოებში:

1) 66.7%-იანი წილი შპს „ტ-ში“ (2...)

2) 50%-იანი წილი შპს მ-ში (2...)

3) 35%-იანი წილი შპს ს-ში (2...)

4) 50%-იანი წილი შპს მ-ში (2...)

5) 100%-იანი წილი შპს ე-ში (2...)

6) 100%-იანი წილი შპს დ-ა-ში (2...)

7) 100 %-იანი წილი შპს ტ. მ-ა-ში ( 4...)

8) 65%-იანი წილი შპს „ო-ი +“-ში ( 2...)

9) 20%-იანი წილი შპს რ-ში (2...)

10) 50%-იანი წილი შპს ე...-ში (2...)

11) 50%-იანი წილი შპს ჯ-ი-ში (2...)

12) 50%-იანი წილი შპს დ.-ში (2...)

13) 34%-იანი წილი შპს „ა“-ში (4...)

14) 80%-იანი წილი შპს „ი“-ში (4...)

15) 25%-იანი წილი შპს ა-ი-ში (4...)

16) 50%-იანი წილი შპს „გ-ი-ში“ (4...)

17) 25%-იანი წილი შპს შ-ში (4...)

18) 33%-იანი წილი შპს ნ.-ში (4...)

1.1.3. ყადაღა დაედო მესამე მოპასუხის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ავტომობილებს:

1. ვაზ 2107 სედანი; გამოშვების წელი 1990; სახელმწიფო ნომერი: უ...; საიდენტიფიკაციო შასის ნომერი: ძარა 6...; ძრავი 228452; სარეგისტრაციო მონმობა: Γ...; რეგისტრაციის თარიღი: 1993-02-23

2. TOYOTA CAMRY CSI; გამოშვების წელი: 2004; სახელმწიფო ნომერი: Q...; საიდენტიფიკაციო შასის, ძარის ნომერი: J...; სარეგისტრაციო მონმობა: A...; რეგისტრაციის თარიღი: 2006-04-03;

3. CHTZ T-130; გამოშვების წელი: 1987; სახელმწიფო ნომერი: E...; საიდენტიფიკაციო შასის, ძარის ნომერი: ძრავი – D130...; სარე-



გისტრაციო მონმობა: A...; რეგისტრაციის თარიღი: 2009-07-27;

4. MTZ EO-2621; გამოშვების წელი: 1988; სახელმწიფო ნომერი: D...; საიდენტიფიკაციო შასის ნომერი: 1..., ძრავი – 961652; სარეგისტრაციო მონმობა: A...; რეგისტრაციის თარიღი: 2011-06-04;

5. YAMAHA YFM 700; გამოშვების წელი: 2011; სახელმწიფო ნომერი: D...; საიდენტიფიკაციო შასის, ძარის ნომერი: A...; სარეგისტრაციო მონმობა: T...; რეგისტრაციის თარიღი: 2011-06-08;

6. TOYOTA COASTER; გამოშვების წელი: 2012; სახელმწიფო ნომერი: V-...; საიდენტიფიკაციო შასის, ძარის ნომერი: J...; სარეგისტრაციო მონმობა: T...; რეგისტრაციის თარიღი: 2012-10-18;

7. YAMAHA YXR700F; გამოშვების წელი: 2012; სახელმწიფო ნომერი: C...; საიდენტიფიკაციო შასის, ძარის ნომერი: 5...; სარეგისტრაციო მონმობა: T...; რეგისტრაციის თარიღი: 2012-10-04;

8. TOYOTA HILUX 2.8D; გამოშვების წელი: 2004; სახელმწიფო ნომერი: C...; საიდენტიფიკაციო შასის, ძარის ნომერი: J...; სარეგისტრაციო მონმობა: T...; რეგისტრაციის თარიღი: 2013-09-28;

9. MERCEDES-BENZ SPRINTER 312 D; გამოშვების წელი: 1999; სახელმწიფო ნომერი: G...; საიდენტიფიკაციო შასის, ძარის ნომერი: W...; სარეგისტრაციო მონმობა: T...; რეგისტრაციის თარიღი: 2014-01-11;

10. YAMAHA YXM 700; გამოშვების წელი: 2014; სახელმწიფო ნომერი: C...; საიდენტიფიკაციო შასის, ძარის ნომერი: 5...; სარეგისტრაციო მონმობა: T...; რეგისტრაციის თარიღი: 2014-05-14;

11. YAMAHA YXM 700; გამოშვების წელი: 2014; სახელმწიფო ნომერი: C...; საიდენტიფიკაციო შასის, ძარის ნომერი: 5...; სარეგისტრაციო მონმობა: T...; რეგისტრაციის თარიღი: 2014-05-14;

12. BELARUS 132H; გამოშვების წელი: 2014; სახელმწიფო ნომერი: R...; საიდენტიფიკაციო შასის, ძარის ნომერი: 1...; სარეგისტრაციო მონმობა: T...; რეგისტრაციის თარიღი: 2014-06-21;

13. LEXUS LX 570; გამოშვების წელი: 2016; სახელმწიფო ნომერი: S...; საიდენტიფიკაციო შასის, ძარის ნომერი: J...; სარეგისტრაციო მონმობა: A...8; რეგისტრაციის თარიღი: 2016-03-22;

1.2. შპს „ტ-ს“ (შემდეგში: მეოთხე მოპასუხე) აეკრძალა შემდეგი უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა:

1) ქალაქი თბილისი, სოფელ დიღმის ტერიტორია – საკადასტრო კოდი 0...

2) ქალაქი თბილისი, სოფელი დ.-ი, რ-ის ქუჩა №...ა – საკადასტრო კოდი 0...

3) ქალაქი თბილისი, სოფელი დ.-ი, ხ-ის ქუჩა, №1 – საკადასტრო კოდი 0...

4) ქალაქი თბილისი, სოფელი დ.-ი – საკადასტრო კოდი 0...

5) ქობულეთი, ქუჩა ა-ე, შესახვევი 1, №2 – საკადასტრო კოდი 2...

6) ქალაქი თბილისი, ქუჩა გ-ის, №2, (ნაკვეთი №3/25) – საკადასტრო კოდი 0...

7) ქალაქი თბილისი, სოფელი დ.-ი, „ჩ-ი“ – საკადასტრო კოდი 0...

8) ქალაქი თბილისი, სოფელი დ.-ი, რ-ის ქუჩა №28 – საკადასტრო კოდი 0...

9) ქალაქი თბილისი, ხეივანი დ. ა-ი, მიმდებარე ტერიტორია / ქალაქი თბილისი, სოფელ დიღმის ტერიტორია, (ნაკვეთი №...) – საკადასტრო კოდი 0...

10) ქალაქი თბილისი, სოფელი დ.-ი – საკადასტრო კოდი 0...

1.3. დ. ტ-ეს (შემდეგში: მეორე მოპასუხე) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა:

1) ქ. ბათუმი, ქუჩა რ-ი №19/ქ. ბათუმი, ქუჩა თ-ი №4, ბინა 303 – საკადასტრო კოდი 0...

2) რაიონი ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, ნ-ის ქუჩა – საკადასტრო კოდი: 6...

3) ქ.თბილისი, დ.-ი, ჩ-ი – საკადასტრო კოდი 0...

4) ქ. თბილისი, სამრეწველო ზონა – საკადასტრო კოდი 7...

1.3.1. ყადაღა დაედო მეორე მოპასუხის წილებს შემდეგ საწარმოებში:

1) 33.3%-იანი წილი შპს „ტ-ში“ (2...)

2) 20%-იანი წილი შპს გ-ში (2...)

3) 50%-იანი წილი შპს მ-ში (2...)

4) 35%-იანი წილი შპს ს-ში (2...)

5) 50%-იანი წილი შპს მ-ში (2...)

6) 100%-იანი წილი შპს M-ში (4...)

1.3.2. ყადაღა დაედო მეორე მოპასუხის საკუთრებაში არსებული ავტომობილებს:

1. ვაზ 2107 სედანი; გამოშვების წელი 1990; სახელმწიფო ნომერი; უ...; საიდენტიფიკაციო შასის ნომერი: ძარა 6...; ძრავი 228452; სარეგისტრაციო მონუმბა: Γ...; რეგისტრაციის თარიღი: 1993-02-23

2. YAMAHA GRIZZLY; გამოშვების წელი 2007; სახელმწიფო ნომერი; D...; საიდენტიფიკაციო შასის ნომერი: J...; სარეგისტრაციო მონუმბა: A...; რეგისტრაციის თარიღი: 2008-11-10;

3. TOYOTA PRIUS; გამოშვების წელი 2011; სახელმწიფო ნომერი; R...; საიდენტიფიკაციო შასის ნომერი: J...; სარეგისტრაციო მონუმბა: T...; რეგისტრაციის თარიღი: 2014-09-16;

4. YAMAHA YXR700F; გამოშვების წელი 2012; სახელმწიფო ნომერი; C...; საიდენტიფიკაციო შასის ნომერი: 5...; სარეგისტრაციო

მონმობა: T...; რეგისტრაციის თარიღი: 2013-02-15;

5. YAMAHA YXM700; გამოშვების წელი 2014; სახელმწიფო ნომერი; C...; საიდენტიფიკაციო შასის ნომერი: 5...; სარეგისტრაციო მონმობა: T...; რეგისტრაციის თარიღი: 2014-05-14;

6. TOYOTA CAMRY; გამოშვების წელი 2015; სახელმწიფო ნომერი; R...; საიდენტიფიკაციო შასის ნომერი: 4...; სარეგისტრაციო მონმობა: A...3; რეგისტრაციის თარიღი: 2015-11-17.

1.4. მოსარჩელის წარმომადგენლების შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის სახით საქართველოში არსებულ ყველა საბანკო დაწესებულებაში შპს „ჯ...“-ის (შემდეგში: პირველი მოპასუხე) კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებზე 3 636 986 აშშ დოლარის ფარგლებში დაყადაღების, ასევე, მეოთხე მოპასუხის რიცხულ ავტომობილებზე სამართლებრივი რეჟიმების შეცვლის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

1.5. სასამართლოს განჩინებით მოსარჩელეს განემარტა, რომ თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად დაშვებული ღონისძიება გამართლებელი გამოდგებოდა იმის გამო, რომ მისი სარჩელი უარყოფილი იქნებოდა და გადაწყვეტილება შევიდოდა კანონიერ ძალაში, იგი ვალდებული იქნებოდა, მეორე მხარისათვის ზარალი ანაზღაურებინა, რომელიც პროცესუალურ მონინააღმდეგეს მიადგებოდა სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებულ ღონისძიებათა შედეგად.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 თებერვლის განჩინებით მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეების საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინება, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

3. 2017 წლის 9 თებერვალს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეებმა და მოითხოვეს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტია.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით დადგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის გარანტია; მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით კომპანიას დაევალა 3 636 986 (სამი მილიონ ექვსას ოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი) აშშ დოლარის განთავსება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლო-

ების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე (სს „თ-ი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის № ...GEL; N ...USD; G ...EUR), სასამართლოს განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის განმავლობაში;

4.1. მოსარჩელეს განემარტა, რომ სასამართლოს განჩინებით დადგენილი თანხის შეტანის დამადასტურებელი მტკიცებულება უნდა წარედგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოში განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის განმავლობაში;

4.2. კომპანიას ისიც განემარტა, რომ განჩინებით დადგენილი თანხის შეტანის დამადასტურებელი მტკიცებულების 7 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარუდგენლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გაუქმდებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რადგან მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით დადგენილ ვადაში საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარუდგინა.

6. 2017 წლის 21 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა კომპანიამ და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრისა და 13 ნოემბრის განჩინებების გაუქმება.

7. საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა მხარეები მენარმე სუბიექტებად, ამასთან, სასამართლომ მათ მიმართ არასწორად გამოიყენა მენარმე სუბიექტისათვის ზიანის მიყენების პრეზუმფცია. საჩივრის ავტორმა ასევე მიუთითა იმ მტკიცებულებათა არარსებობაზე, რომელიც მხარეებისათვის ზიანის მიყენების ფაქტს დაადასტურებდა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 4 დეკემბრის განჩინებით კომპანიის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 197<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადმოეგზავნა.

9. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 191-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველ-

ყოფა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე მსჯელობისას, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე. აღნიშნული საკითხის სწორად გადაწყვეტის წინაპირობაა უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და სარჩელის საფუძველიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლიობაში განხილვა-გადაწყვეტა. მითითებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეამოწმოს, რამდენად არის გამართლებული საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, გააზრებულად გადაწყვიტოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასა და აღსრულების შეუძლებლობას შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი.

10. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, სასამართლო ასევე აფასებს იმ საფრთხეებს, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს ასეთი ღონისძიების გამოყენებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით უსაფუძვლოდ არ უნდა შეიზღუდოს მოპასუხის კანონიერი ინტერესი. საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იქნეს ორივე მხარის კანონიერი ინტერესი და სარჩელის უზრუნველყოფის და დავის საგნის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, რომლითაც ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესის რეალიზაცია და მისი სარჩელის უზრუნველყოფა, არ უნდა მოხდეს მოპასუხის კანონიერი ინტერესის უპირობო და ცალსახა შელახვა, არამედ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა განხორციელდეს ამ უკანასკნელის კანონიერი ინტერესის გონივრულ ფარგლებში შეზღუდვა-შევიწროებით და იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცულობისათვის.

11. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნებისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესს შორის სამართლიანი ბალანსი უნდა იყოს დაცული. აღნიშნუ-

ლი ბალანსის დაცვას ემსახურება სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ადგენს ქცევის შემდეგ წესს: თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიაღწეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მონინალ-მდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. მოპასუხისათვის მიყენებული ზიანის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც განმცხადებელი დაადასტურებს, რომ სახეზეა ზიანი, რომელიც მოპასუხეს უზრუნველყოფის ღონისძიებით ადგება ან შეიძლება მიაღწეს. კანონის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისაგან მოპასუხის თავდასაცავ მექანიზმს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ამა თუ იმ სახის ღონისძიების გამოყენების შედეგი მოპასუხისათვის ზიანის მომტანია. ასეთ დროს დასაშვებია, მოსარჩელეს მოეთხოვოს ობიექტურად სავარაუდო ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა (სუსგ №ას-958-923-2016). შესაბამისად კანონი თანაბრად იცავს არამარტო მოსარჩელის, არამედ მოპასუხის ანგარიშგასაწევ ინტერესებსაც.

12. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 85.3, სსსკ-ის მე-4, მე-5, 105-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების საკითხზე მსჯელობისას სასამართლომ უნდა შეაფასოს განცხადებასა თუ საჩივარში მოცემული მხარეთა ახსნა-განმარტებები, სხვა მტკიცებულებები (არსებობის შემთხვევაში) და ისე გააკეთოს დასკვნები უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების მიზანშეწონილობაზე.

13. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო (სააპელაციო საჩივრის) მოთხოვნის ოდენობა შეადგენს 3 636 986 აშშ დოლარს. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კომპანიის სასარჩელო მოთხოვნა მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეების მიმართ სოლიდარულად თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მესამე მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, ყადაღა დაედო მის წილებს საწარმოებში, ყადაღა დაედო მის სა-

კუთრებაში არსებულ ავტომობილებს; მეოთხე მოპასუხეს აეკრძალა კუთვნილი უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა; მეორე მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, ყადაღა დაედო მეორე მოპასუხის წილებს სანარმოებში, ყადაღა დაედო მის საკუთრებაში არსებული ავტომობილებს.

14. სასამართლომ განმარტა, რომ იურიდიული პირის ქონებაზე შეზღუდვების გავრცელებით მოპასუხეს შესაძლებელია ხელი შეეშალოს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მონინააღმდეგე მხარის ინტერესებიც. მეწარმეობა არის დამოუკიდებელი, ინიციატივიანი საქმიანობა (საქონლის წარმოება, მომსახურების განწევა, სამუშაოთა შესრულება), რომელიც საკუთარი ან ნასესხები სახსრებით, რისკისა და პასუხისმგებლობის განწევით ხორციელდება მთავარი მიზნის – მოგების მისაღებად. ეს არის არაერთჯერადი, შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც სიახლეების დანერგვას მოითხოვს. შეზღუდვების დანესებით მოპასუხეები მოკლებულნი იქნებიან შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში, შეუძლებელი გახდება სანარმოს მატერიალური რესურსის გამოყენება სანარმოს ინტერესებისათვის.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებისას, სასამართლომ დააკენა, რომ მოცემულ შემთხვევაში, გამოკვეთილი იყო უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების (უზრუნველყოფის შებრუნების) აუცილებლობა, ვინაიდან, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს აყენებდათ მათ. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მეოთხე მოპასუხე წარმოადგენს იურიდიულ პირს და მეწარმე სუბიექტს, შესაბამისად, მისი საქმიანობა დაფუძნებულია მოგების მიღებაზე. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს – მეორე და მესამე მოპასუხეებს, ისინი წარმოადგენენ რა მეწარმეებს, შესაბამისად, მათ საკუთრებაში არსებული ქონება გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის. უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების კუთხით, სასამართლომ ასევე გაითვალისწინა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა და მისი შესაბამისობა იმ ქონების ღირებულებასთან მიმართებით, რაზედაც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულია შეზღუდვა.



16. იქედან გამომდინარე, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების მოსარჩელისათვის დავალდებულების გადანეცილება და იმის გამო, რომ მოსარჩელემ საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე არ განათავსა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, სასამართლოს მიერ განსაზღვრული თანხა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გაუქმებულიყო და სსსკ-ის 199.2 მუხლის თანახმად გაუქმდა კიდევ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო მოსარჩელის საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი საჩივარი საფუძვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

17. სსსკ-ის 399-ე მუხლის საფუძველზე, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც სსსკ-ის XLII თავი შეიცავს. სსსკ-ის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამავე კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრისა და 13 ნოემბრის განჩინებების გაუქმებას მოითხოვს ამ განჩინების მე-7 პუნქტში მითითებულ არგუმენტებზე დაყრდნობით.

19. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 2 აგვისტოს გადანეცილების სარეზოლუციო ნაწილზე, რომლის თანახმად:

19.1. კომპანიის მიერ აღძრული სარჩელი ოთხი მოპასუხის: შპს „ჯ-ის“ (პირველი მოპასუხე – იხ. ამ განჩინების 1.4. ქვეპუნქტი), დ. ტ-ის (მეორე მოპასუხე – იხ. ამ განჩინების 1.3, 1.3.1 და 1.3.2 ქვეპუნქტები), ი. გ-ისა (მესამე მოპასუხე – იხ. ამ განჩინების 1.1.1-1.1.3 ქვეპუნქტები) და შპს „ტ-ის“ (მეოთხე მოპასუხე – იხ. ამ განჩინების 1.4 ქვეპუნქტი) წინააღმდეგ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეთაგან მხოლოდ პირველს – შპს „ჯ-ს“ დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 3 636 986 აშშ დოლარის გადახდა;

19.2. ამავე გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მოთხოვნა მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეებისათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა;

19.3. ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც 19.1. ქვეპუნქტში მითითებულ მეორე მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, ყადაღა დაედო ამავე მოპასუხის წილებს საწარმოებში და მის საკუთრებაში არსებულ ავტომობილებს (იხ. ზემოთ ამ განჩინების 1.3, 1.3.1, 1.3.2 ქვეპუნქტები); ასევე, გაუქმდა ზემოხსენებული 2016 წლის 17 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც 19.1. ქვეპუნქტში მითითებულ მესამე მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, ყადაღა დაედო ამავე მოპასუხის წილებს საწარმოებში და მის საკუთრებაში არსებულ ავტომობილებს (იხ. ზემოთ ამ განჩინების 1.1.1 – 1.1.3 ქვეპუნქტები) და გაუქმდა 2016 წლის 17 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც 19.1. ქვეპუნქტში მითითებულ მეოთხე მოპასუხეს აეკრძალა კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა (იხ. ამ განჩინების მე-13 პუნქტი).

20. სარჩელის ერთ-ერთ ფაქტობრივ საფუძვლად მოსარჩელე, რომელიც ბელგიაში რეგისტრირებული იურიდიული პირია, უთითებს, რომ მეორე და მესამე მოპასუხე ფიზიკური პირები არიან მეოთხე მოპასუხე საწარმოს მესაკუთრეები, თავის მხრივ, მეოთხე მოპასუხე საწარმოს დირექტორია მესამე მოპასუხე; ამასთან, პირველი მოპასუხე საწარმოს დირექტორია მეორე მოპასუხე, ხოლო პირველი მოპასუხე საწარმოს მესაკუთრეა მეოთხე მოპასუხე საწარმო. მოპასუხეებმა მოსარჩელე კომპანიის მიმართ აღიარეს ვალი და იკისრეს მისი კონკრეტული გრაფიკით დაბრუნება, რაც ხელშეკრულებაშია ასახული, თუმცა, მისი პირობები დაირღვა. მოსარჩელის მიმართ არსებული დავალიანების ამოღება ვერ ხერხდება პირველი მოპასუხე საწარმოსაგან, რადგან მას არანაირი ქონება არ გააჩნია (იხ. ამონაწერები სამენარმოე პირების რეესტრიდან).

21. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნა – 3 636 986 აშშ დოლარი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დაკისრებული აქვს მხოლოდ პირველ მოპასუხეს, ამასთან, მოსარჩელის წარმომადგენლების შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის სახით საქართველოში არსებულ ყველა საბანკო დანესებუ-

ლებაში პირველი მოპასუხის კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებზე 3 636 986 აშშ დოლარის ფარგლებში დაყადაღების თაობაზე, ასევე, მეოთხე მოპასუხის რიცხულ ავტომობილებზე სამართლებრივი რეჟიმების შეცვლის ნაწილში არ დაკმაყოფილდა 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით.

22. სააპელაციო საჩივრით მოსარჩელე ითხოვს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც უარყოფილი იქნა მისი სარჩელი მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეებისათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების შესახებ კომპანიის სასარგებლოდ.

23. სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე, მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ 2017 წლის 9 თებერვლის განცხადებით სასამართლოს მიმართეს მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეებმა, რაც დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ და მოსარჩელეს დაავალა 7 დღის ვადაში უზრუნველყო საერთო სასამართლეობის სადეპოზიტო ანგარიშზე სასარჩელო მოთხოვნის იდენტური თანხის – 3 636 986 აშშ დოლარის განთავსება, რისი შეუსრულებლობის გამოც, სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებით გააუქმა საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეების უძრავ-მოძრავ ქონებაზე (იხ. ამ განჩინების 1.1.-1.3 ქვეპუნქტები) და სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებაზე მოსარჩელის მიერ იმავე წლის 21 ნოემბერს წარდგენილი საჩივარი არ დააკმაყოფილა 2017 წლის 4 დეკემბრის განჩინებით, შედეგად – უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზე და ამავე სასამართლოს 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

24. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნისა და მისი განხორციელების საპროცესო წინაპირობების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლო არაერთ განჩინებაში განმარტავს, რომ „გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა, ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტი-

ტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს“ (იხ. №ას-859-825-2016, 28 ნოემბერი, 2016 წელი; მდრ. იხ. სუსგ №ას-450-422-2017, 11.04.2017გ.).

25. განსახილველ შემთხვევაში საქმე უკვე სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზეა, შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ პირველი მოპასუხისათვის დაკისრებულია 3 636 986 აშშ დოლარი, ხოლო საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელით მოთხოვნილი თანხის ფარგლებში პირველი მოპასუხე საწარმოს კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებისა და მეოთხე მოპასუხე საწარმოზე რიცხული ავტომობილებზე სამართლებრივი რეჟიმის შეცვლის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ რეალურად უნდა შეაფასოს მოსარჩელის მოთხოვნის პერსპექტივობა, მათ შორის, მის სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობის საკითხი, რადგან გადაწყვეტილების აღსრულებადობა პირისათვის უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია.

26. მოცემულ შემთხვევაში ნაწილობრივ გასაზიარებელია მოსარჩელე კომპანიის საჩივრის პრეტენზიები (იხ. საჩივარი), კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინებაში, რომლითაც დაკმაყოფილდა მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეების განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის შესახებ, არ არის დასაბუთებული ის ზიანი, რომელიც შესაძლოა განმცხადებლებს (მოპასუხეებს) მიადგეთ მათ უძრავ-მოძრავ ქონებაზე მოსარჩელის სასარგებლოდ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამო. მარტოდენ ის მსჯელობა, რომ მეოთხე მოპასუხე საწარმოა, ხოლო მეორე და მესამე მოპასუხეები, რომლებიც ფიზიკური პირები არიან და მათ, როგორც საქართველოში ერთ-ერთ წარმატებულ მენარმეებს, ზიანი ადგებათ, რადგან მათ საკუთრებაში არსებული ქონების სამენარმეო საქმიანობისათვის გამოყენება შეზღუდული აქვთ საქალაქო სასამართლოს

2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით, არასაკმარისი დასაბუთებაა, რადგან „საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით მოპასუხისათვის განსაზღვრულია უფლებამოსილება, განცხადებით მოითხოვოს მისი უზრუნველყოფის გარანტია სასამართლოსაგან. თუმცა მისი გამოყენების აუცილებლობა მოპასუხის (მოვალის) მტკიცების ტვირთია [სსსკ-ის 102-ე მუხლი], ვინაიდან ზიანის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც სასამართლოს აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება გაუმართლებელი აღმოჩნდეს და ასევე სახეზეა ზიანი, რომელიც მოპასუხეს უზრუნველყოფის ღონისძიებით ადგება ან შეიძლება მიადგეს. სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ზიანის უზრუნველყოფის გამოუყენებლობის შემთხვევაში ზიანი მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოება ხდება და მან უნდა ამტკიცოს, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მისი უფლებები დაუშვებლად ილახება და ზიანი ადგება, ან გარდაუვალია მისთვის ზიანის მიყენება [სსსკ-ის 199-ე, მე-4 და 102-ე მუხლი]...“ (იხ. სუსგ ას-450-422-2017, 11.04.2017 წ.).

27. სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ამ მიმართებით რამდენად შეასრულა მოპასუხემ მტკიცების ტვირთი და თუკი დაადგენს მოპასუხეთათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების გამო მოსარჩელისათვის უზრუნველყოფის გარანტიის დავალებას, ისიც უნდა შეაფასოს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებით დაკმაყოფილებული სარჩელის, ანუ ფულადი თანხის იდენტური ოდენობით უნდა დაევალოს მოსარჩელეს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა, თუ შესაძლებელია ამ უკანასკნელისათვის სხვა ოდენობის თანხის დაკისრება. სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს დავის ფაქტობრივი გარემოებები, მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სანდოობა და დასაბუთებულობა და ამის შემდეგ მიიღოს გადანყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზე.

28. სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მომთხოვნმა მოპასუხემაც უნდა დაასაბუთოს უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი, დასაბუთებული ვარაუდი გულისხმობს გადანყვეტილების მიღებას არა მარტოდენ ეჭვის, ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიკურ დასკვნას მოთხოვნის

საფუძვლიანობის შესახებ. მოხმობილი ნორმით გათვალისწინებული საპასუხო უზრუნველყოფა არის მოპასუხის ინტერესების სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს გამართლებელი ღონისძიებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელის უზრუნველყოფის გარანტირება მოახდინოს როგორც თავისი ინიციატივით, ასევე მოპასუხე მხარის განცხადების საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში, მისი გამოყენება დამოკიდებულია მოსალოდნელ, შესაძლო ზიანის წარმოშობის საფრთხესთან. ასეთი საფრთხის ვარაუდს უნდა ქმნიდეს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რამაც შესაძლოა მხარეს ზიანი მიაყენოს.

29. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მხარეთა თანასწორობის პრინციპის გამოყენებისა და მტკიცებულებათა სრულფასოვნად გამოკვლევის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება და მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა მოსთხოვა, რისი შეუსრულებლობის გამო, 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები გააუქმა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არათანასწორი მტკიცების ტვირთი დააკისრა მოსარჩელეს, რითაც საფრთხე შეექმნა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიას, რისთვისაც არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი. მხარემ, რომელიც ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას, უნდა მიუთითოს იმ მოსალოდნელ ზიანზე, რაც შეიძლება რეალურად მოჰყვეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას და, შესაბამისად, სარწმუნოდ დაასაბუთოს თავისი მოსაზრება. იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების ვალდებულება, რომელიც ადასტურებს მოსარჩელისაგან შესაბამისი გარანტიის წარდგენის აუცილებლობის ვარაუდს, ეკისრება განმცხადებელს, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად (იხ. სუსგ №ას-832-884-2011, 13.06.2011წ.),

30. „საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ევროსასამართლოს გადაწყვეტილება „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებლის საჩივარი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-



თლოს განმარტებით, აღნიშნული უფლება, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის. (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე „შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40)“ (იხ. სუსგ ას-1238-1161-2015, 12.02.2016 წ.).

31. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებით მიზნად ისახავს, გარანტირებული იქნეს მხარეთა თანასწორობისა და მტკიცებულებათა შეფასების სსსკ-ით დადგენილი სტანდარტები. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, თავისთავად ცხადია, მოვალის უფლებები იზღუდება, თუმცა, ეს კანონით გათვალისწინებული საშუალებაა, დაცული იქნეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღუსრულებლობის საფრთხისგან. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას სასამართლო ვარაუდის საფუძველზე იღებს (სსსკ-ის 191.1 მუხლი), ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე გადაწყვეტილება უფრო მაღალ სტანდარტს ეფუძნება, ვიდრე ვარაუდია (სსსკ-ის 199.1 მუხლი). სწორედ ამიტომ, უზენაესი სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ კიდევ ერთხელ ზედმინუნით შეაფასოს მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეების 2017 წლის 9 თებერვლის განცხადება, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ, მოპასუხეთა კუთვნილი მტკიცების ტვირთის დაძლევის შეფასების გზით.

32. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სსსკ-ის 196-ე მუხლზე, რომელიც მოპასუხეს შესაძლებლობას აძლევს შეიმსუბუქოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით დაკისრებული ტვირთი, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის სარჩელი მისი მოთხოვნის ფარგლებში უზრუნველყოფილია და კანონიერ ძა-



ლაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას ეჭვქვეშ არ აყენებს.

33. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზე, და ამავე სასამართლოს 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ და საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეების მიერ წარდგენილი განცხადების – მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ – ხელახლა განსახილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 399-ე, 372-ე მუხლებით, 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. „ა-ი“-ის საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზე და ამავე სასამართლოს 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას დაუბრუნდეს საქმე შპს „ტ-ის“, დ. ტ-ისა და ი. გ-ის მიერ წარდგენილი განცხადების – მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ – ხელახლა განსახილველად;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 7. დაუსრულებელი გადაწყვეტილება

### მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგები

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-538-511-2014

24 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. დ.კ.-ძემ (შემდეგში – მოსარჩელე ან კასატორი) სარჩელი აღ-  
ძრა სასამართლოში გ.გ.-ძის (შემდეგში – მოპასუხე, საჩივრის ავ-  
ტორი ან აპელანტი) წინააღმდეგ ამ უკანასკნელისათვის თანხის  
დაკისრების მოთხოვნით.

2. მოსარჩელის განმარტებით, 2010 წლიდან მოპასუხესთან ერ-  
თად საქმიანობდა, ამონტაჟებდნენ გათბობის საქვაბებს, მიღე-  
ბულ სარგებელს კი, ინაწილებდნენ თანაბრად. საქმიანობის დაწ-  
ყებიდან 5-6 თვეში ერთობლივი საქმიანობა შეწყდა, რა დროსაც  
მხარეებს შორის შედგა წერილობითი შეთანხმება იმის შესახებ,  
რომ მოპასუხეს, მოსარჩელისათვის 2010 წლის 27 სექტემბრის მო-  
ნაცემებით გადასახდელი ჰქონდა 2753 ლარი. ვინაიდან, მოპასუ-  
ხეს თანხა არ გააჩნდა, მხრეები შეთანხმდნენ სამუშაო იარაღის  
მოსარჩელისათვის 1300 ლარად მიყიდვის თაობაზე, რაც ამდენით  
შეამცირებდა დავალიანებას. მოპასუხემ შეთანხმება არ შეასრუ-  
ლა. 2011 წლის დეკემბერში, მოსარჩელემ მოპასუხისაგან შეიძინა  
გათბობის ქვაბი, რაშიც გაუქვითა ვალის თანხა და, საბოლოოდ,  
მოპასუხეს მისთვის გადასახდელი დარჩა 1403 ლარი.

3. მოსარჩელემ მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალებ-  
ის ასლები გაუგზავნა კანონით დადგენილი წესით, რომელიც 2013  
წლის 20 სექტემბერს ჩაჭბარდა მოპასუხის შვილს. მოპასუხეს სა-  
სამართლოში უნდა წარედგინა შესაგებელი, სარჩელისა და თან-  
დართული მასალების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, 2013 წლის 30  
სექტემბრის ჩათვლით. მითითებულ ვადაში მოპასუხეს შესაგებე-

ლი არ წარუდგენია.

**4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა 1 403 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.**

4.1. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალების ასლები გაუგზავნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 70-ე-78-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით; აღნიშნული გზავნილი სსსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითიებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაითვლება ადრესატისათვის ჩაბარებულად, რაც დასტურდება მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით), 2013 წლის 20 სექტემბერს ჩაჰბარდა მოპასუხის შვილს. მოპასუხეს შესაგებელი უნდა წარედგინა სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, ანუ 2013 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. მითითებულ ვადაში მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია.

4.2. სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლზე (მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენლობისას, თუ ეს გამონეწეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნა) და აღნიშნა, რომ, ვინაიდან მოპასუხემ შესაგებელი არ წარადგინა და არც მისი წარუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ არ უცნობებია სასამართლოსათვის, არსებობდა მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დააკმაყოფილების წინაპირობა.

4.3. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 316-ე, 317-ე და 361-ე მუხლების საფუძვლებიდან, შესაბამისად, სარჩელში ჩამოყალიბებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა მოთხოვნას.

**5. მოპასუხემ საჩივარი წარადგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, მისი გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.**

5.1. საჩივრის ავტორის მტკიცებებით, საქმეში წარმოდგენილი სა-

ქართველოს ფოსტის 2013 წლის 4 ოქტომბრის წერილობითი ინფორმაციის თანახმად, გზავნილი ჩაჰბარდა თავის შვილს, რომელიც არ არის თავისი ოჯახის წევრი, რადგან ცალკე ოჯახად ცხოვრობს ქალაქ ბათუმში, თუმცა ამჟამად ის სწავლობს და ცხოვრობს ქალაქ თბილისში. ოჯახში სტუმრობისას, ფოსტის თანამშრომელმა მას ჩააბარა გზავნილი, იმავე დღეს თბილისში გამგზავრების სამზადისში კი, დააინყდა გზავნილის გადაცემა, შესაბამისად, გზავნილის არსებობის შესახებ მან არ იცოდა და არც შესაგებლის წარდგენის ვალდებულება არ წარმოშობია.

5.2. საჩივრის ავტორის მითითებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ შესაგებლის წარუდგენლობა არ არის საკმარისი სარჩელის დაკმაყოფილებისათვის, მასთან ერთად აუცილებელია, სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას. განსახილველ საქმეში ვალის არსებობის შესახებ რაიმე მტკიცებულება არ წარდგენილა.

**6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 დეკემბრის განჩინებით, მოპასუხის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების თაობაზე უარყოფილ იქნა. შესაბამისად, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.**

6.1. სასამართლომ მტკიცების ტვირთის განაწილებაზე გაამახვილა ყურადღება და მიუთითა, რომ იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ სასამართლო გზავნილი არ ჩაჰბარებია და მისი შვილი, რომელსაც ჩაჰბარდა გზავნილი არ იყო მისი ოჯახის წევრი, საჩივრის ავტორს ეკისრებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება. საქმეში წარდგენილ მტკიცებულებათა შეფასებით, სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ მოპასუხის შვილი, მისი ოჯახის წევრი იყო და სტუდენტობა არ იყო ოჯახის წევრობის გამომრიცხველი გარემოება.

7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 დეკემბრის დამატებითი გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა განუული იურიდიული მომსახურების ხარჯის, 200 ლარის, ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ.

**8. დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება და დამატებითი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების განჩინებისა და დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

8.1. აპელანტის მტკიცებით, დაუსაბუთებელია სასამართლოს როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ასევე, დამატებითი გადაწყვეტილება. მოპასუხის წინაშე 2753 ლარის, გადახდის ვალდებულება არ დასტურდება არც ხელწერილით და არც სხვა რომელიმე მტკიცებულებით. საქმიანობის შეჩერების შემდეგ მოსარჩელემ მოითხოვა მისთვის განსაზღვრული წილის მიღება. ვინაიდან, შექცენილი ინსტრუმენტები მისი საქმიანობისათვის აუცილებელი იყო, აიღო ვალდებულება მოსარჩელის წილის გადახდაზე, რაც ხელწერილითაა დადასტურებული და 1300 ლარს შეადგენდა. აღნიშნული ვალდებულება შესრულებული აქვს, რასაც მოპასუხე უტყუარად ადასტურებს მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით. მოსარჩელე სარჩელში თვითონვე უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მისგან შეიძინა 1900 ლარად ღირებული გათბობის ქვაბი, რაშიც გადაიხადა 550 ლარი, დანარჩენი კი (1350 ლარი), გამოაკლდა დავალიანებას. შესაბამისად, რაიმე სახის ვალდებულება მოსარჩელის მიმართ არ გააჩნია. პირიქით, მოსარჩელემ უნდა გადაუხადოს 50 ლარი. რაც შეეხება ცხრილში ასახულ თანხას, მისი გადახდა შეუძლებელი იყო, რადგან ეს საკითხი პარტნიორების დაშლის მომენტისათვის შეიცვალა, დღემდე არ არის შემოსული 3910 და 1600 ლარი, შესაბამისად, შემცირდა პარტნიორებისათვის გათვლილი თანხა, გაუცემელი დარჩა სახელფასო დავალიანებაც.

8.2. აპელანტის მითითებით, სარჩელი ჩაჰბარდა თავის შვილს, რომელიც მიემგზავრებოდა თბილისში და დაავიწყდა სარჩელის გადაცემა. საქმის ფაქტობრივი გარემოების შესახებ ცნობის არარსებობამ გამოიწვია შესაგებლის საპატიო მიზეზით წარუდგენლობა. სასამართლოში საქმის არსებობის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარებისას.

8.3. დამატებითი გადაწყვეტილების მიღებისას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯების მეორე მხარისათვის დაკისრების პირობას. სსსკ-ის 47-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ასეთი ხარჯების დაკისრების პირველი პირობაა, რომ მხარე გადახდისუუნარო იყოს, სასამართლომ კი, ისე დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, რომ აღნიშნულ გარემოებაზე საერთოდ არ უმსჯელია.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამავე სასამართლოს 2013 წლის 23 დეკემბრის განჩინება და დამატებითი გადაწყვეტილება, საქმე შესაგებლის წარდგე-

## **ნის სტადიიდან განხილვისათვის დაუბრუნდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.**

9.1. სააპელაციო პალატამ სსსკ-ის 284-ე მუხლის პირველ ნაწილზე მიუთითა და განმარტა, რომ სასამართლო დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობდა, რომ სასამართლოს დადგენილება, რომლითაც მან მხარეს ამცნო იმ სამართლებრივი შედეგის შესახებ, რომელიც დადგებოდა მის მიერ შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაში, უნდა მიღებულიყო განჩინების სახით, ანუ სასამართლო ვალდებული იყო, მხოლოდ განჩინებით გაეფრთხილებინა მხარე იმ სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომელიც შესაძლოა, მოჰყვეს სასამართლო აქტის, განჩინების არადროულ და საერთოდ შეუსრულებლობას.

9.2. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სასამართლო გზავნილი, რომლითაც მოპასუხეს განემარტა გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების) ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სასამართლოში შესაგებლის წარდგენის სავალდებულო ხასიათისა და, არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, შესაძლო სამართლებრივი შედეგების თაობაზე, შედგენილი იყო არა სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი აქტით – განჩინებით, არამედ – სასამართლოს შესაბამისი მოხელის (რომელიც არ არის თანაშემწე) მიწერილობით. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ, შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უკანონო იყო, რადგან საქმეში არ იყო განთავსებული სასამართლო განჩინება, რომლითაც მოპასუხე მხარე გაფრთხილდებოდა სასამართლოს მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ შესაძლოდ მისაღები სამართლებრივი შედეგების თაობაზე. აღნიშნულის გამო სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევით იქნა მიღებული 2013 წლის 18 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინება, ასევე – 2013 წლის 23 დეკემბრის დამატებითი გადაწყვეტილება.

**10. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 27 მარტის განჩინება, რომლითაც გაუქმდა 2013 წლის 18 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინება, ასევე – 2013 წლის 23 დეკემბრის დამატებითი გადაწყვეტილება, შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:**

10.1. 2011 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე და 184-ე მუხლების თა-

ნახმად, კანცელარიის თანამშრომელს სრული სამართლებრივი უფლება ჰქონდა, ამ მუხლების მოთხოვნათა დაცვით, მხარისთვის გაეგზავნა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მისივე ხელმოწერილი გზავნილით. კანონი, განჩინებით სარჩელისა და მასზე თანდართული საბუთების მხარისადმი გაგზავნას, რომლითაც მოპასუხე გაფრთხილდებოდა სასამართლოს მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ შესაძლოდ მისაღები სამართლებრივი შედეგების თაობაზე, აღარ ითვალისწინებდა. ისეთი სამართლებრივი ნორმით, რასაც კანონი არ ითვალისწინებს, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება აშკარად უკანონოა.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, შესწავლისა და ანალიზის, ასევე, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ, იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

12. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სსსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესაბ განჩინების გაუქმების კანონიერების შემოწმება.

13. სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი პატივისცემისა და მათი პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას. ის ემსახურება საპროცესო დისციპლინის განმტკიცებასა და პროცესის გამართლებას. აქედან გამომდინარე, ეს ინსტიტუტი სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებით განმტკიცებული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაციაა. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას კანონით გათვალისწინებული წინაპირობები დაცულია, მისი გაუქმება სათანადო დასაბუთების გარეშე დაუშვებელია.

14. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, სსსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლის საკანონმდებლო მიზნებიდან გამომდინარე, შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტა-



ნისათვის შემდეგი წინაპირობების არსებობის სავალდებულოაა დადგენილი:

ა) მოპასუხეს სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა ჩაჰბარდეს სარჩელი და თანდართული მასალები. მასვე უნდა განემარტოს სსსკ-ის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დანიშნული საპროცესო ვადის (შესაგებლის წარდგენის ვადის) არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე;

ბ) მოპასუხემ ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა;

გ) სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოთხოვნას.

15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის მთავარი წინაპირობა ისაა, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით იყოს ინფორმირებული მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შესაგებლის წარდგენის ვადა და ამ ვადის დაუცველობის შედეგებზე მოპასუხის გაფრთხილება სასამართლომ აუცილებლად თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი განჩინება საქმეში წარმოდგენილი არაა, სასამართლოს შესაბამისი მოხელე კი, არ არის უფლებამოსილი, შეასრულოს ასეთი მოქმედებები.

16. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ მოსაზრებას და მიუთითებს სსსკ-ის მე-200 მუხლზე, რომელიც ადგენს საქმის მომზადებაზე უფლებამოსილ პირებს. ამ ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, საქმეს ამზადებს მოსამართლე, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით, მოსამართლის დავალებით საქმე სასამართლო განხილვისათვის შეიძლება მოამზადოს მოსამართლის თანაშემწემ. ამდენად, საქმის მომზადება სასამართლოს შესაბამის მოხელესაც შეუძლია მოსამართლის დავალებით. საქმის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ჩაბარება და ამ უკანასკნელისათვის შესაგებლის წარდგენის ვადის განსაზღვრა შესაბამის შედეგებზე მითითებით. ზემოხსენებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ამ მოქმედებათა შესრულება შეუძლია მოსამართლის თანაშემწეს. თანაშემწისათვის მოსამართლის მიერ მიცემული დავალების ფორმას კანონი არ განსაზღვრავს, შესაბამისად, მოსამართლემ შესაძლოა ზეპირადაც დაავალოს თანაშემწეს გარკვეული მოქმედებების შესრულება საქმის მომზადების მიზნით. პირველი ინსტანციის სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მოსამართლეები სწორედ

ზეპირად აძლევენ დავალებებს თანაშემწეებს. ასევე, ამავე სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სწორედ მოსამართლის თანაშემწეები ან სასამართლოს შესაბამისი მოხელეები უზრუნველყოფენ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლებისა და მათ მიერ ხელმოწერილი წერილობითი გზავნილების (შესაგებლის წარდგენის ვადისა და მისი წარუდგენლობის შედეგების თაობაზე) მოპასუხისათვის ჩაბარებას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ შესრულებული ასეთი მოქმედებები კანონიერია, ვინაიდან იგი შეესაბამება მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედულებაზე არაა დამოკიდებული. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დეტალურად ადგენს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის გადაცემის წესს და, თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მენარმეს, ადვოკატს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), ან, თუ სარჩელი (განცხადება) შეიტანება იურიდიული პირის წინააღმდეგ (სსსკ-ის 183-ე მუხლი) მოპასუხის ჯეროვან ინფორმირებას კანონმდებელი მოსარჩელეს ავალდებულებს. მოსამართლისათვის სარჩელის (განცხადების) გადაცემიდან არაუადრეს 5 და არაუგვიანეს 14 დღისა, მოსარჩელეებს მათ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ეგზავნებათ შეტყობინება ან სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სარჩელის (განცხადების) მიღებაზე უარის თქმის შესახებ ან სასამართლო გზავნილის (სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების) მათ მიერ მოპასუხისათვის ჩაბარების თაობაზე (სსსკ-ის 184.1 მუხლი). ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელე ვალდებულია, უზრუნველყოს მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით ჩაბარება ან მისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნა ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით მისთვის გზავნილის გადაცემიდან 2 თვის ვადაში. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი სასამართლო გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით (სსსკ-ის 184.3 მუხლი). აღნიშნული ვალდებულების პარალელურად საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია იმ მოპასუხეთა ინფორმირების წესიც, რომელთაც ვერ ჰხარდებათ შეტყობინება (სარჩელი) ან მათი მისა-

მართი უცნობია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება სასამართლო გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ.

18. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით, კერძოდ, 2013 წლის 19 სექტემბრის აქტით დადგენილია, რომ სასამართლოს შესაბამისმა მოხელემ მოსარჩელის წარმომადგენელს გადასცა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, მოპასუხისათვის ჩასაბარებლად. საქმეში წარმოდგენილია სსსკ-ის 200.2 მუხლის შესაბამისად სასამართლო მოხელის მიერ ხელმოწერილი გზავნილიც, სადაც განსაზღვრულია შესაგებლის წარდგენის 10-დღიანი ვადა და ამომწურავადაა განმარტებული არასაპატიო მიზეზით მისი წარუდგენლობის შედეგების შესახებ. სწორედ ეს დოკუმენტი, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლებთან ერთად, ჩაჰბარდა ადრესატის ოჯახის წევრს – შვილს, რაც სსსკ-ის 74.1 მუხლის მიხედვით, ადრესატისათვის ჩაბარებად მიიჩნევა. ამავე ნორმის მიხედვით, სასამართლო გზავნილის მიმღები (ოჯახის ქმედუნარიანი წევრი) ვალდებული იყო, ეს გზავნილი დაუყოვნებლივ ჩაეხარებინა ადრესატისათვის. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ აქარწყლებს გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების ფაქტს, შესაბამისად, სასამართლოს შეეძლო, შეესრულებინა კანონით დადგენილი საპროცესო მოქმედება (შდრ: იხ. სუსგ, №ას-1199-1144-2013, 04.03.2014).

19. როგორც ზემოთ ითქვა, სსსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლის მიზნებისათვის, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელი წინაპირობაა მოპასუხის ინფორმირება შესაგებლის წარდგენის საპროცესო ვადისა და მისი არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შედეგების შესახებ. ეს პირობა, მოცემულ შემთხვევაში, შესრულებულია სასამართლოს მიერ. ამასთანავე, იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა გულისხმობს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტია და ქმნის ამა თუ იმ ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდგომ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტე-

ბი დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებს თუ არა, რაც დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადანყვეტილება მხოლოდ იმ საფუძველით გააუქმა, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით არ იყო ინფორმირებული შესაგებლის წარდგენის ვადისა და მისი დაუცველობის სამართლებრივ შედეგებზე, შესაბამისად, სასამართლომ საერთოდ აღარ იმსჯელა აპელანტის იმ პრეტენზიებზე, რომლებიც შეეხებოდა შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო მიზეზის არსებობასა და სარჩელის იურიდიულ გაუმართაობას.

20. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის არასათანადო ინფორმირება სააპელაციო პალატამ კანონის არასწორ განმარტებას დაუკავშირა, რის თაობაზეც სამართლიანად მიუთითა კასატორმა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სამართლის ნორმები დარღვეულად მიიჩნევა, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საქიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს ახალი გადანყვეტილება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

21. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. დ.კ-დის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადებების  
განხილვა  
მოპასუხის მიერ ვასუხის (შესაგებლის)  
წარუდგენლობის შედეგები**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ას-105-105-2018

11 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** სამკვიდრო მონუმობის 1/2 ნაწილში ბათილად ცნობა, სამკვიდროს 1/2-ის მიკუთვნება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:**

1.1. კ. გ-მა (შემდგომში – მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. გ-ის (უფლებამონაცვლე – ა. გ-ი, იხ. 05.10.2016წ. განჩინება, შემდგომში ნოდებულის, როგორც მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) მიმართ და მოითხოვა ნოატარიუს რ. გ-ას მიერ 1999 წლის 13 მაისს მოპასუხის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმობის 1/2 ნაწილში ბათილად ცნობა და ვ. გ-ის (შემდგომში – მამკვიდრებელი) სამკვიდროს 1/2-ის (ფაქტობრივი ფლობით) მოსარჩელისათვის მიკუთვნება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 1998 წლის 7 ოქტომბერს გარდაიცვალა მოსარჩელის დედა – მამკვიდრებელი, რომელსაც გარდაცვალების დროისათვის საკუთრების უფლებით ერიცხებოდა ქ. რუსთავში, ზ-ის ქ №15-ში მდებარე მი-

ნის ნაკვეთი და მასზე განთავსებული მშენებარე ნაგებობა. დედის დანაშთ ქონებას მოსარჩელე დაეუფლა ფაქტობრივი ფლობით, უვლიდა ქონებას, ხეხილის ბაღსა და სხვა. მოსარჩელეს ნოტარიუსისათვის არ მიუმართავს. გარდაცვალების დროისათვის მამკვიდრებელს ჰყავდა ორი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილები: მოსარჩელე და მოპასუხე, ხოლო მამკვიდრებლის მეუღლე – გ. გ-ი სამკვიდროს გახსნის დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო. 2013 წლის დეკემბერში, როდესაც მოსარჩელემ გადაწყვიტა სამკვიდრო ქონების, როგორც საკუთარი, ისე – ძმის (მოპასუხე) სახელზე გადაფორმება, მიმართა საჯარო რეესტრს ნოტარიუსისათვის შესაბამისი დოკუმენტების წარსადგენად და აღმოაჩინა, რომ 1999 წლის 13 მაისის კანონისმიერი სამკვიდრო მონუმობის საფძველზე მოპასუხეს მიღებული ჰქონდა დედის სამკვიდრო სრულად. იგი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში და მხოლოდ პერიოდულად ჩამოდის საქართველოში. მოპასუხეს ნოტარიუსისათვის არ გაუმხელია მეორე პირველი რიგის მემკვიდრის არსებობის ფაქტი ისე მიიღო სამკვიდრო მონუმობა და დაარეგისტრირა ტექალრიცხვის ბიუროში.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მოპასუხეს სარჩელის წინააღმდეგ შესაგებელი არ წარუდგენია.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადანწყვეტილების/განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

3.1. რუსეთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 აპრილის დაუსწრებელი გადანწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, 1/2 ნაწილში გაუქმდა 1999 წლის 13 მაისს ნოტარიუს რ. გ-ას მიერ მოპასუხის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმობა (№მ-14) და მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. რუსთავში, ზ-ის ქუჩა №15-ში მდებარე მშენებარე საცხოვრებელი სახლისა და ამ სახლის ქვეშ არსებული 104.5 კვ.მ მიწის 1/2-ის მესაკუთრედ;

3.2. ამავე სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის განჩინებით მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, დაუსწრებელი გადანწყვეტილება დარჩა ძალაში.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადანწყვეტილება/განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მათი გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და შესაგებლის წარსადგენი ვადის აღდგენა.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადან-

ყვეტილება/განჩინება დარჩა უცვლელად.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 29 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი, პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების, ასევე, მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ სააპელაციო პალატის 2017 წლის 15 ნოემბრის საოქმო განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო პალატის შეფასების საგანს მოპასუხის მიერ სარჩელის წინააღმდეგ შესაგებლის წარუდგენლობის მოტივით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების კანონიერება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით კასატორი ძირითადად პრეტენზიას გამოთქვამს სასამართლოს მხრიდან შეტყობინების წესების არასწორი განმარტების თაობაზე (სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლები) და აღნიშნავს, რომ სასამართლომ მოპასუხისათვის გაგზავნილი კორესპონდენცია (სარჩელი და თანდართული მასალები) არასწორად მიიჩნია მხარისათვის ჩაბარებულად, კერძოდ, საკასაციო საჩივარში გადმოცემულია, რომ კორესპონდენცია მოპასუხეს არც პირადად და არც მისი ოჯახის ქმედუნარიან წევრს არ ჩაბარებია, სასამართლოს ყურადღება არ მიუქცევია მხარის იმ განმარტებისათვის, რომ მოპასუხე ცხოვრობდა მარტო, ხოლო იმის ახსნის საშუალება, ერთსა და იმავე მისამართზე სხვადასხვა ოჯახად რატომ ცხოვრობდა მოპასუხე და მისი ყოფილი მეუღლე, აპელანტის წარმომადგენელს არ მიეცა, რადგანაც სასამართლო არ დაინტერესდა საკითხით (ქ. კისლაგოდში, პ-ას ქ№59-ში მდებარე შენობა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლია, სადაც ბ.გ-ი ცხოვრობდა ცალკე ოჯახად, ასევე ცალკე ოჯახად ცხოვრობდა მისი ყოფილი მეუღლე ი. კ-ი, ამ უკანასკნელის მშობლები და მეზობელი ლ. ი. მოპასუხე დაავადებული იყო მეოთხე სტადიის სიმსივნით და მუდმივად იმყოფებოდა ძლიერი გამაყუჩებლის – ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, რაც დასტურდება საქმეში არსებული 05.06.2013წ. სამედიცინო ცნობით. მასთან ერთად ცხოვრობდა და უვლიდა შვილი – ა.გ-ი. ლ-ების ოჯახის ცალკე ცხოვრე-



ბის ფაქტი კარგად იყო ცნობილი მოსარჩელისათვის). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გზავნილის მიმღები ლ-ი არ წარმოადგენს მოპასუხის ოჯახის წევრს, არ შეიძლება მოპასუხე საქმის განხილვის თაობაზე სათანადოდ ინფორმირებულად იქნეს მიჩნეული, რაც დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანას გამორიცხავს. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოში საჩივრის განხილვის ეტაპზე მოპასუხის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მხარეს სარჩელი ჩაბარდა, თუმცა მას შემდეგ არაერთხელ განემარტა სასამართლოს, რომ მას არა სარჩელი, არამედ, დაუსრულებელი გადაწყვეტილება ჩაბარდა და ისიც არა პირადად, არამედ – ყოფილი მეუღლის მეშვეობით. არასრულწლოვანი ა.გ-ის დახმარებით დაუსრულებელი გადაწყვეტილების ჩაბარების მომდევნო დღეს, 2014 წლის 15 მაისს მინდობილობასთან ერთად საქმის მასალები ბ.გ-მა გამოუგზავნა წარმომადგენელს, რომელმაც 16 მაისს საჩივარი ფოსტით გააგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ამასთანავე, ვინაიდან თავდაპირველი წარმომადგენელი – მ.მ-ი არ არის იურისტი, მისი განმარტება სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარების თაობაზე არ უნდა მიეღო სასამართლოს. სააპელაციო პალატამ არ დაიცვა მოპასუხის ინტერესები და იურიდიული განათლების არმქონე პირის განმარტებას მიანიჭა ძალა ვიდრე „ჯ-იდან“ გამოთხოვილ მასალებს, რომლებიც ადასტურებს, რომ სარჩელი მოპასუხეს არ ჩაბარებია. არასწორია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ მხარის მიერ დაუსრულებელი გადაწყვეტილების ჩაბარებაზე პრეტენზიის განუცხადებლობა ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ ი.კ-ი და ნ.ლ-ი მოპასუხის ოჯახის წევრები არიან. ამ შემთხვევაში, სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ საკუთარ ვარაუდს და არ გამოუკვლევა საქმის მასალები. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი და არასწორად დააკისრა მოპასუხეს იმისი მტკიცების ტვირთი, რომ სარჩელი და თანდართული მასალები მას არ ჩაბარებია. ამასთანავე, მოპასუხის მიერ წარდგენილი საფოსტო დოკუმენტაციით დგინდება, რომ სარჩელი არ ჩაბარებია ადრესატს. საქალაქო სასამართლოში წარდგენილი საჩივრის თანახმად, შესაგებლის წარუდგენლობა განაპირობა ავადმყოფობამ, სასამართლომ მიუთითა კიდევაც ეს ფაქტი, რაც სათანადოდ დამოწმებული ცნობით უნდა დადასტურებულიყო, თუმცა, სასამართლომ საკმარისად არ ჩათვალა მოპასუხის მიერ 2013 წლის 5 ივნისს გაცემული ცნობა იმ საფუძველით, რომ დოკუმენტი ერთი წლით ადრე იყო გაცემული, მაგრამ შეფასება არ მიუცია თავად ამ დოკუმენტის შინაარსობრივი მხარისათვის, 2014 წლის 27 მარტს ქ. კისლოვოდის №1 საქალაქო პოლიკლინიკამ გასცა ცნობა, რომელიც საქართველოში გადმოგზავნილია 2014 წლის

24 ივნისს და მისი წარდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოში შეუძლებელი იქნებოდა, თუმცა, სააპელაციო პალატამ არასწორად არ გაიზიარა იგი და დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო. სააპელაციო პალატა მეტი დამაჯერებლობისათვის განმარტავს, რომ კასატორს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩაბარდა 2014 წლის 6 მაისს, რის შემდგომაც თითქოს მოპასუხე თავად გამოცხადდა ნოტარიუსთან და 2014 წლის 14 მაისს გასცა მინდობილობა, თუმცა, ყურადღება არ გაამახვილა იმაზე, რომ მინდობილობა დამონმებულია მოპასუხის საცხოვრებელ მისამართზე. კასატორი პრეტენზიას ასევე გამოთქვამს სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენის თვალსაზრისით, კერძოდ, იგი სადავოდ ხდის იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო, ასევე იმას, რომ მოპასუხე 1999 წლის 13 მაისს თითქოს, მარტო გამოცხადდა ნოტარიუსთან, რომელსაც სხვა მემკვიდრის არსებობა დაუმალა და არასწორად მიიღო დედის სამკვიდრო ერთპიროვნულად.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის მიზნებისათვის კანონდარღვევად განიხილება სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის არასწორი მოძიება ან მისი არასწორი გამოყენება ან/და განმარტება. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. თავის მხრივ, განსახილველი ნორმიდან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ საკასაციო საჩივრის წარმატებას თავად კასატორის მიერ ზემოხსენებულ საფუძვლებზე მითითება და ამ გზით საკასაციო შედაგებათა დასაბუთება განაპირობებს.

1.3. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს საკითხის შეფასებისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.3.1. სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე და 201-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხისათვის გადაცემის მიზნით მოსარჩელეს ჩაბარდა სარჩელისა და თანდართული მასალების ასლები. ამავე აქტით სადაც განმარტებულია მისი არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შედეგები (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები), შესაგებლის წარდგენის ვადა განისაზღვრა 10 დღით;

1.3.2. საქმეში წარმოდგენილ მოსარჩელის წარმომადგენლთა

11.03.2014წ. განცხადებას (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების შესახებ ინფორმაციის სასამართლოში წარდგენის შესახებ) თან ერთვის შპს „ჯ-ის“ 2014 წლის 10 მარტის პასუხი, რომლის თანახმადაც „გზავნილი ზედნადების ნომრით 1180451613, კერძოდ DOCUMENTS, გამგზავნი B., L., მიმღები B., 2014 წლის 6 მარტს ჩაბარდა მიმღებს ზედნადებში მითითებულ მისამართზე P-A STR. 59, KISLOVODSK 367700, RUSSIAN FEDERATION“;

1.3.3. უდავოა, რომ არც განსაზღვრულ ვადაში და არც საპროცესო ვადის დარღვევით შესაგებელი სასამართლოში არ ყოფილა წარდგენილი, რის გამოც, 2014 წლის 16 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

1.3.4. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით არ იზიარებს კასატორის მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს იმის თაობაზე, რომ სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; მოპასუხისთვის არასათანადო ინფორმირების გამო არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები; სასამართლომ არასწორად დააკისრა მოპასუხეს არაინფორმირებულობის მტკიცების ტვირთი. ამ პრეტენზიებთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავი, კერძოდ კი, მოპასუხის მიერ შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის სახეზე უნდა იყოს (სსსკ-ის 232'-ე მუხლი) შემდეგი წინაპირობები: ა) მოპასუხე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სარჩელი (სააპელაციო საჩივარი) და თანდართული მასალები და ამომწურავად უნდა ჰქონდეს განმარტებული 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე; ბ) მოპასუხემ ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა. ამ ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა განაპირობებს სარჩელში მითითებული გარემოებების დადგენილად მიჩნევის აუცილებლობას იმგვარად, რომ სასამართლო არათუ ვალდებული, უფლებამოსილიც არაა შეამოწმოს და შეფასება მისცეს საქმეში წარმოდგენილ შესაბამის მტკიცებულებებს. ზემოაღნიშნული საფუძვლების კუმულაციურად არსებობა კი, ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა იმისათ-

ვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები (სარჩელში მითითებული ფაქტები) ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოთხოვნის დამფუძნებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ინვეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში, განსხვავებულია მოპასუხის უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, მოპასუხისაგან (მონინალმდეგე მხარისაგან) მტკიცებულებები არ მიიღება, სამართლებრივი ბალანსი იმგვარია, რომ მოპასუხეს მხოლოდ სამართლებრივი შესაგებლის წარდგენის უფლება აქვს, ანუ თავდაცვის საპროცესო საშუალება მხოლოდ მოთხოვნასთან მიმართებით მისი სამართლებრივი მოსაზრებით შემოიფარგლება.

1.3.5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლით დადგენილი რეგულაციიდან გამომდინარე, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება მოპასუხის ინფორმირების მტკიცების ტვირთი, რაც მოცემულ შემთხვევაში, დაძლეულია საფოსტო პასუხის წარდგენით, რომლის მიმართაც კანონიერი ნდობა არსებობს და სასამართლო ვალდებულია, გაიზიაროს იგი, შესაბამისად, მისი სარწმუნოდ უარყოფა მოპასუხეს ეკისრება. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სრული უფლება ჰქონდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, რამდენადაც მას მოეპოვებოდა ცნობები, როგორც მოპასუხის ინფორმირების, ისე – მისი მხრიდან შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის თაობაზე. სწორედ ხსენებული საპროცესო წინაპირობებიდან გამომდინარე, ამ განჩინების აღწერილობით ნაწილში მითითებული ფაქტები დადგენილად მიიჩნევა, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1319-ე, 1336-ე, 1421-ე, 1424-ე და 1433-ე მუხლების შესაბამისად, იურიდიულად ამართლებს სამკვიდროდან 1/2 ნაწილის მიკუთვნებისა და სამკვიდრო მონაწილეობაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით აღძრულ სარჩელს.

1.3.6. რაც შეეხება მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, როგორც ზემოთ ითქვა, მხარე აცხადებს, რომ იგი

არ იყო სათანადო წესით ინფორმირებული დავის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე, ასევე, ჯანმრთელობის გამო, არ შეეძლო წარედგინა შესაგებელი. ამ წინაპირობების შემოწმების მიზნით სასამართლო განმარტავს, რომ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები ასევე ამომწურავადაა რეგლამენტირებული კანონში და შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიჩნეულია შემდეგი: ა) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; ბ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; გ) არსებობს სხვა საპატიო მიზეზი, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის (სსსკ 241-ე მუხლი).

1.3.7. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის არგუმენტს ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების არასწორად განმარტების თაობაზე და აღნიშნავს, რომ მის მიერ მითითებული გარემოებები (სასამართლო კორესპონდენციის ჩაბარება იმ პირის მიერ, რომელიც არ არის მისი ოჯახის წევრი, რომ კორესპონდენციის მიმღები იმავე მისამართზე მდებარე სხვა ოჯახის წევრია და სხვა) საქმის მასალებით უტყუარად არ დგინდება, არამედ, ხსენებული ნორმების სისტემური ანალიზიდან გამომდინარე, უნდა განიმარტოს, რომ ოჯახის ქმედუნარიან წევრად მიიჩნევა არა ნათესავური ხაზით დაკავშირებული პირები, არამედ, ერთსა და იმავე მისამართზე მცხოვრები პირები, უფრო მეტიც, დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრით მოპასუხემ (წარმომადგენელმა) დაადასტურა ადრესატისათვის კორესპონდენციის ჩაბარების ფაქტი. საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას საქმის რომელიმე მასალაზე, რომლითაც დადგინდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხის წარმომადგენელი არ იყო იურისტი, ასეც რომ იყოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლი არ კრძალავს პირველი ინსტანციის სასამართლოში არაიურისტი პირის მიერ მხარის უფლებების დაცვას, ეს გარემოება მარწმუნებლის რისკია და სასამართლო არ არის ვალდებული, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა (იხ. სსსკ-ის 97.1 მუხლი: სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები), პირი გადააყენოს წარმომადგენლობიდან. კანონით განსაზღვრული წარმომად-

გენლად დაშვებაზე უარის თქმის საფუძვლები კასატორს არ მიუთითებია, უფრო მეტიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ის მოქმედებები, რომლებიც საპროცესო წარმომადგენელმა გადაყენებამდე შეასრულა, ძალაში რჩება. ამდენად, საჩივარში მითითებული ბ.გ-ისათვის კორესპონდენციის ჩაბარების ფაქტს საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 131-ე მუხლის კონტექსტში აფასებს (ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (ალიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას), რომელსაც ვერ აქარწყლებს კასატორის მხოლოდ სიტყვიერი მითითებები.

1.3.8. რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად კასატორის მიერ მითითებულ მეორე გარემოებას – მოპასუხის ჯანმრთელობის შესახებ და ამ კუთხით სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებათა არასრულ კვლევას, პალატა სრულად იზიარებს მას და მიიჩნევს, რომ მოპასუხემ დაადასტურა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული წინაპირობების არსებობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ საჩივარზე დართული ცნობა, რომელიც გაცემულია 2013 წლის 5 ივნისს, შეიცავს მოპასუხის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, დადგენილია დიაგნოზი: ნინამდებარე ჯირკვლის ადენოკარცინომა, მე-4 სტადია; რეკომენდაცია: ონკოურლოგის დაკვირვება, ონკომარკეტების კონტროლი, სიმპტომატური მკურნალობა და ადეკვატური გაუტკივარება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ჰორმონალური თერაპია მაქსიმალური ანდროგენური ბლოკადის რეჟიმში, თერაპია ბისფოსფონატებით. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული მტკიცებულება არა მხოლოდ ზემოხსენებული ნორმის, არამედ, ამავე კოდექსის 105-ე მუხლის კონტექსტში უნდა შეფასდეს, თუმცა, რომც გავიზიაროთ საქალაქო სასამართლოს მითითება ცნობის გაცემის თარიღზე და ამ გზით გამართლებულად მივიჩნიოთ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს 23.06.2014წ. განჩინება, მხედველობაშია მისაღები სააპელაციო განხილვის ეტაპზე წარდგენილი მტკიცებულებები (29.07.2014წ. ცნობა, ასევე № 18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დანესებულების მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გაცემული ცნობა, რომელთა დაშვებაზე უარი საქმის მასალებით არ დგინდება, უფრო მეტიც, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15.11.2017წ. სხდომაზე აპელანტის მონინა-



აღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ ბ.გ-ი დაავადებული იყო მე-4 სტადიის სიმსივნით) და განვითარებული მოვლენები, უდავოა, რომ ბ.გ-ი სააპელაციო განხილვის ეტაპზე გარდაიცვალა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა საპროცესო წესები და სამართლებრივად არასწორად შეაფასა მოპასუხის ჯანმრთელობა, ასევე, არასწორად არ დაუდო საფუძვლად იგი დაუსწრებელი გადაწყვეტილების/მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმებას. ამგვარი მიდგომა არ გამომდინარეობს არც საქართველოს კონსტიტუციითა თუ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული სასამართლო ხელმისაწვდომობის პრინციპიდან და არც ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დებულებიდან (პრეცედენტული სამართლის თანახმად, მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს თითოეული მხარისგან ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის მონიშნულ დევე მხარესთან მიმართებით (იხ. „ნიდეროსტ-ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ“, (Niderost-Huber v. Switzerland), 18/02/1997, §23, გადაწყვეტილება და განჩინებათა კრებული 1997-ი; „კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Kress v. France) [დიდი პალატა], № 39594/98, § 72, ECHR 2001-VI; „ივიონი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Yvon v. France), №. 44962/98, § 31, ECHR 2003-V; და „გორაიზი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ (Gorraiz Lizarraga and Others v. Spain), №. 62543/00, § 56, ECHR 2004-III). ეროვნული ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ „სამართლიანი განხილვის“ მოთხოვნები თითოეულ საქმეზე (იხ. *Dombo Beheer B.V. ნიდერლანდების წინააღმდეგ (Dombo Beheer B.V. v. the Netherlands)*, 27/10/1993, §33, Series A №. 274). კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ ითვალისწინებს დოკუმენტების გაგზავნის კონკრეტულ ფორმას (იხილეთ „ბოგონოსი რუსეთის წინააღმდეგ“ (განჩინება) (*Bogonos v. Russia (dec.)*, # 68798/01, 05/02/2004, და „ორამსი კვიპროსის წინააღმდეგ“ (განჩინება)(*Orams v. Cyprus (dec.)*, № 27841/07, 10/06/2010), თუმცა, სამართლიანი სასამართლოს ზოგადი კონცეფცია მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (იხ. რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ (*Ruiz-Mateos v. Spain*), 23/06/1993, § 63, შერიეს A № 262). ამასთან, სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა მხარე ინფორმირებული იყოს და შესაძლებლობა ჰქონდეს, გამოთქვას მოსაზრება წარდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე, რათა გავ-



ლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (იხ. „ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ“ (Lobo Machado v. Portugal), 20/02/1996, §31, ანგარიშები 1996-I). უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული საკითხი გულისხმობს იმას, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ (იხ. „დილიპაკი და კარაკაია თურქეთის წინააღმდეგ“ (Dilipak and Karakaya v. Turkey), № 7942/05 და 24838/05, §77, 04/03/2014). თუ სასამართლო დოკუმენტები – მათ შორის სასამართლო სხდომის უწყებები არ ჩაჰბარდა მხარეს პირადად, მაშინ განმცხადებელს შეიძლება, ხელი შეეშალოს საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში სამართალწარმოების პროცესში (იხ. „ოზგურ-კარადუმანი გერმანიის წინააღმდეგ“ (განჩინება) (Ozgur-Karaduman v. Germany (dec.), no. 4769/02, 26/06/2007; „ვებერი გერმანიის წინააღმდეგ“ (განჩინება), (Weber v. Germany (dec.), no. 30203/03, 02/10/2007 და „ზადოვნიკი სლოვენის წინააღმდეგ“, (Zavodnik v. Slovenia), no. 53723/13, § 70, 21/05/2015). კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, მოახდინონ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ სამართალწარმოებას, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის კუთხით (იხ. „აზდაჯიჩი სლოვენის წინააღმდეგ“ (Azdajic v. Slovenia), no. 71872/12, §49, 08/10/2015, და „განკინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (Gankin and Others v. Russia), nos. 2430/06, 1454/08, 11670/10 და 12938/12, § 26, 31/05/2016), თუმცა, აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე. საქმეში – „დილიპაკი და კარაკაია“ (Dilipak and Karakaya) ევროსასამართლომ გადაწყვიტა სისხლის სამართლის საკითხებისადმი მისი მიდგომის სულისკვეთება გადმოეთანა და დაუსწრებელი სისხლის სამართალწარმოების პროცესში განვითარებული პრინციპები მიესადაგებინა სამოქალაქო სამართალწარმოების მიმართაც. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეში, სასამართლო დაეყრდნო მის პრეცედენტულ სამართალს, რომლის მიხედვითაც სამართლიანობის უარყოფა დგინდება, როცა პროცესზე დაუსწრებლად მსჯავრდებულ პირს არ აქვს საშუალება, მიიღოს ბრალდების არსის ცხადი განმარტება იმ გარემოებებში, როცა არ არის დადგენილი მის მიერ სასამართლოში გამოცხადების უფლებასა და საკუთარი თავის დაცვის უფლებაზე უარის თქმა (იხილეთ „კოლოზა იტალიის წინააღმდეგ“ (Colozza v. Italy), 12/02/1985, §29, Series A no. 89; „ეინორნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (განჩინება), (Einhorn v. France) (dec.), no. 71555/01, §33, ECHR 2001-XI; „კრომბახი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Krombach v. France) no. 29731/96, §85, ECHR 2001-II; და

„სეჯდოვიჩი იტალიის წინააღმდეგ“ (Sejdovic v. Italy) [დიდი პალატა], no. 56581/00, §82, ECHR 2006-II), ან, როცა იგი მიზნად ისახავს მართლმსაჯულებისგან თავის დაღწევას (იხილეთ „მედენიკა შვეიცარიის წინააღმდეგ“ (Medenica v. Switzerland), no. 20491/92, §55, ECHR 2001-VI). ამასთან, კონვენციის მე-6 მუხლის არც ფორმალური და არც შინაარსობრივი მხარე ხელს არ უშლის პირს საკუთარი თავისუფალი ნებით გამოხატულად ან ნაგულისხმევად უარი თქვას სამართლიანი სასამართლოს გარანტიებზე (იხილეთ „ჰერმი იტალიის წინააღმდეგ“ (Hermi v. Italy) [დიდი პალატა], no. 18114/02, §73, ECHR 2006-XII), თუმცა, ასეთი უარი დადგენილი უნდა იყოს ცალსახად და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი მნიშვნელობის შესაბამისი მინიმალური გარანტიებით (იხ. „პოიტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Poitrimol v. France) 23/11/1993, §31, Series A no. 277-A), და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს (იხ. „სეჯდოვიჩი“ (Sejdovic) §86, და „დილიპაკი და კარაკაია“ (Dilipak and Karakaya), §79, აგრეთვე, „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Natsvlishvili and Togonidze v. Georgia), no. 9043/05, §91, ECHR 2014 (ამონარიდები)).

1.3.9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც წინამდებარე განჩინების კვლევით ნაწილში ასახული სამართლებრივი დასაბუთების გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს და დაადგინოს არსებობს თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების/მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

## **2. საოქმო განჩინების ძალაში დატოვების კანონიერება:**

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

2.2. კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 ნოემბრის საოქმო განჩინებას, რომლითაც მას უარი ეთქვა სააპელაციო საჩივარზე დართული 2014 წლის 27 მარტის ცნობის (საექიმო კომისიის ოქმი №225) საქმისათვის დართვაზე. გასა-

ჩივრებული განჩინებით ამ მტკიცებულებაზე მიღება დასაბუთებულია იმით, რომ მხარეს საჩივრის წარდგენის დროისათვისაც შეეძლო ამ შინაარსის დოკუმენტის მოძიება და პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენა. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლომ სწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის წინააღმდეგაც დასაბუთებული შედაგება არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად, პალატა ასკვნის, რომ გასაჩივრებული საოქმო განჩინება კანონიერია და ძალაში უნდა იქნეს დატოვებული.

### **3. სასამართლო ხარჯები:**

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით) პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 404-ე, 412-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ბ. გ-ის უფლებამონაცვლე ა. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კასატორის შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ნოემბრის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 8. სასამართლო გადაწყვეტილება

### სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები

#### განჩინება

#### საქართველოს სახელმწიფო

№ას-1293-2018 1 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ნ. ნ-ამ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ხ-ის (უფლებამონაცვლე – ო. ხ-ი, შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი ან კასატორის მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ, საჯარო რეესტრში მოპასუხის საკუთრებად რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე ქ. თბილისში, ც-ის ქ№1-ში, ს/კ №0-..., ლიტერ „ა-ს“ 64 კვ.მ ფართზე) 1983 წელს სანოტარო ფორმის დაუცველად შედგენილი წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 1983 წელს, მოსარჩელემ ე.ნ შინაურული ხელწერილის საფუძველზე, დ. გ-ასგან შეიძინა სადავო უძრავი ქონება, რომელიც მას გადაეცა სარგებლობაში და ფლობდა მას ოჯახთან ერთად, გაარემონტა და კეთილმოაწყო სადგომი. 1995 წელს სადგომი დაზიანდა ხანძრის შედეგად და მოსარჩელემ გამყიდველთან, ასევე, სხვა მოსარგებლებთან ერთად აღადგინა. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2012 წელს დააკმაყოფილა მ. შ-ს სარჩელი დ. გ-ას მიმართ საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გამყიდველი სრულიად უსაფუძვლოდ არ ცნობდა მას. 2015 წლის 8 აპრილს დამონმებული სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწი-

ფოს საკუთრებად დარეგისტრირდა ფართი და №1 შენობა-ნაგებობიდან 60,53 კვ.მ ფართი შეიძინა მოპასუხემ, 2015 წლის 17 აპრილს საჯარო რეესტრმა გასცა შესაბამისი ამონაწერი. შემდგომში მოპასუხის მიერ შექმნილ იქნა ამავე უძრავი ქონების სხვა ნაწილებიც და საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მის საკუთრებად ირიცხება მოსარჩელის მფლობელობაში არსებული, 1983 წელს შექმნილი უძრავი ქონებაც.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლთ მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ რაიმე ფაქტობრივ ან სამართლებრივ ურთიერთობაში მოსარჩელესთან არ იმყოფება, მოპასუხისათვის უცნობია და არც საქმის მასალებით დგინდება დ. გ-ასთან რაიმე ხელშეკრულების გაფორმების ფაქტი, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს სადავო ფართის მოსარგებლეს, არამედ, ფართს დღესაც ფლობს მესამე პირი. შესაგებლის თანახმად, მოპასუხე წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს და არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი იმ ნაწილში გაუქმება, რომელიც მოსარჩელე მიჩნეულ იქნა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლედ, რომელიც 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფლობს სადავო 64,34 კვ.მ ფართს.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის სადავო პუნქტი.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და სააპელაციო მოთხოვნის უარყოფა.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივ-

რებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების სისწორე. ამ მხრივ კასატორი პრეტენზიას აცხადებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებაზე.

1.2. ვიდრე პალატა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობას შეამოწმებდეს, ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე პროცესუალურ საკითხზე: საკასაციო წესით მართლმსაჯულების განხორციელებისას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება მოწმდება ორი მიმართულებით: სასამართლო უპირველესად ამოწმებს, ხომ არ ვლინდება გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლში, ხოლო, ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეფასება ექვემდებარება კასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობა, ამ გარემოებათა ჩამონათვალი კი, რეგლამენტირებულია ამავე კოდექსის 393-ე მუხლში. განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი (გასაჩივრებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია).

1.3. განსახილველ საკითხს თუ მივუბრუნდებით, უნდა ითქვას, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილია არა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის, არამედ, დადგენილი ფაქტის მიმართ, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საფუძველი გადაწყვეტილების სამოტივაციო და არა სარეზოლუციო ნაწილია, რაც, როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ისე – დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, დაუშვებელია, ამ მხრივ სააპელაციო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები სრულ წინააღმდეგობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკით დადგენილ ნორმის განმარტებასთან, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე აღნიშნა, რომ გადაწყვე-

ტილების მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების გასაჩივრება დაუშვებელია, რადგან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლობას. სასამართლოს ეს დასკვნა ეფუძნება შემდეგს:

1.3.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია გადაწყვეტილების ფორმალური (სსკ-ის 264-ე მუხლი) და მატერიალური (სსკ-ის 266-ე მუხლი) კანონიერი ძალა, რომელიც, პირველ შემთხვევაში, გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო, მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ – მის ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. მითითებული ნორმის ანალიზი იძლევა შემდეგი დასკვნის საფუძველსაც: გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები), შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი.

1.4. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლით დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება და კანონმდებელი არ გამოყოფს გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილს, თუმცა კანონში რაიმე შეზღუდვის პირდაპირ მიუთითებლობა საწინააღმდეგო დასკვნის საფუძველს არ იძლევა. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებისა და კოდექსის ნორმათა ურთიერთშეჯერებითა და ერთობლიობაში განმარტებით დგინდება, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თავისი არსით წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს



დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (სსკ-ის 249-ე მუხლის მეხუთე ნაწილი). ამდენად, პირი, სარჩელის შეტანის გზით იცავს რა თავის უფლებას და შელახულ ინტერესებს, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმავდროულად იწვევს მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდაა დაცული და, შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია.

1.5. ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით სამართლებრივი წესრიგის დადგენა შესაძლებელია რა მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულებით, აღსასრულებლად წარემართება მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი და არა სამოტივაციო ნაწილი, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი). სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია და მისი სამართლებრივი შედეგები თვით კონსტიტუციითაა რეგლამენტირებული. სასამართლო აქტების სავალდებულობა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის დღის წესრიგში აყენებს მისი აღსრულებადობის უზრუნველყოფის საკითხს. თუ პირი, რომლის მიმართაცაა სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – სააღსრულებო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამ კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე, რომელშიც ასახულია აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

1.6. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კანონით გათვალისწინებულ ყველა ნაწილს (სსკ-ის 249-ე მუხლები) და რომელიმე მათგანის სათანადოდ ან საერთოდ არარსებობა, ხშირ შემთხვევაში, იწვევს მის გაუქმებას (სსკ-ის 393-ე, 394-ე მუხლები). გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს. მასში უნდა აისახოს სასამართლოს შემეცნებითი მსჯელობა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ (ფაქტობრივი დასა-

ბუთება) და შეფასებითი მსჯელობა ამ ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტაში და ამავდროულად გადაწყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია საზოგადოების უფლება, იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები გამოაქვთ მათი სახელით და რა არის მათი საფუძველი.

1.7. აქვე უნდა აღინიშნოს, კანონითვე გათვალისწინებული გამონაკლისი, როდესაც გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს მისი რომელიმე ნაწილის გარეშეც (სსკ-ის 234-ე, 250-ე, 257<sup>1</sup>-ე), თუმცა, ამ შემთხვევებშიც სარეზოლუციო ნაწილის კანონით დადგენილი წესით არსებობა აუცილებელია. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საპროცესო კანონმდებლობა უშვებს რა არასრულყოფილი გადაწყვეტილების ნაკლის გამოსწორების შესაძლებლობასაც გადაწყვეტილების განმარტების, უსწორობათა და ამკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორებისა და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით (სსკ-ის 260-ე-262-ე მუხლები), ამავე დანაწესებით იმპერატიულად ადგენს გადაწყვეტილების ნაკლის გასწორებას სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი შედეგის შეუცვლელად (პრაქტიკის თვალსაზრისით მრავალთა შორის იხ. სუსგ-ებები: №ას-710-1011-09, 7 სექტემბერი, 2009 წელი; №ას-797-750-2012, 4 ივნისი, 2012 წელი; 1054-994-2015, 22 იანვარი, 2016 წელი).

1.8. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის წარმატებულობა დაუკავშირა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე მოითხოვდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად აღიარებას, ხოლო, საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ იგი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსარგებლე იყო, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3.1 და 248-ე მუხლების მოთხოვნები, რადგანაც მხარეს მიაკუთვნა ის, რასაც ის არ მოითხოვდა. საკასაციო პალატა ხაზგასმით უარყოფს ხსენებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ კანონის ზემოხსენებული დანაწესები ვრცელდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილ უფლებაზე, ვინაიდან სამოტივაციო ნაწილით ამა თუ იმ გარემოების დადგენა არააღსრულებადია და პირის უფლების დარღვევას ვერ გამოიწვევს.

1.9. გადაწყვეტილების ფარგლებსა და მის იურიდიულ ძალაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დისპოზიციის ფუნქციონირების, ხსენებული ნორმის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. ერთი შეხედვით, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გასაჩივრების აკრძალვამ შეიძლება მხარის უფლებების დარღვევა გამოიწვიოს სამომავლო დავაში, რადგანაც სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი შესაძლოა მის წინააღმდეგ მოქმედებდეს და ფაქტის პრეიუდიციულობიდან გამომდინარე, მას წაერთვას მტკიცების საშუალება, თუმცა, ეს ასე არ არის. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. პრეიუდიციული მნიშვნელობის შემონახვის დროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც იმ პროცესუალურსამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები, ასევე, ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოების შინაარსს.

1.10. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭებისას უნდა შეფასდეს თავად ამ გადაწყვეტილების ფარგლებში სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა, რომლის აღწერილობით ნაწილში გადმოცემულია ნორმით განსაზღვრული შედეგის განმაპირობებელი აბსტრაქტული ელემენტები და ამ ელემენტების შესაბამისად, სარჩელის წარმატებას განაპირობებს ის, დადგინდა თუ არა ნორმის წინაპირობები. თუკი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სასამართლო გასცდება ნორმის შემადგენლობას და დაადგენს იმგვარ ფაქტობრივ გარემოებას, რომელსაც სამართლებრივი შედეგისათვის მნიშვნელობა არ აქვს, ბუნებრივია, არც ამ და არც სხვა პროცესში იმგვარ ფაქტს სამართლებრივი ძალა არ მიენიჭება და სხვა, ახალი დავის წამოწყების შემთხვევაში, ის მტკიცების საგანში შემავალი გარემოება იქნება.

1.11. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩელე მოითხოვდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად აღიარებას. სარჩელში გადმოცემული ფაქტების გათვალისწინებით, მოთხოვნა

ნის დამფუძნებელ ნორმას წარმოადგენს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, მოსარგებლე, რომელმაც მესაკუთრესთან სანოტარო წესის დაუცველად დადო წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება და რომელიც არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს საცხოვრებელ სადგომს, უფლებამოსილია, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა (ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის შესახებ სარჩელი). მოცემული ნორმის მიზნებისათვის უნდა დგინდებოდეს ამავე კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარჩელის მიერ ნივთის მფლობელობა, სადგომის მესაკუთრესთან სანოტარო წესის დაუცველად წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და 30 წლის განმავლობაში დავის საგნის უწყვეტად ფლობა, ყველა სხვა ფაქტი, რომელსაც ამ მოთხოვნის ფარგლებში დაადგენს სასამართლო, სამართლებრივი ძალის არმქონეა და ამგვარ ფაქტებს არ შეიძლება, სამართლებრივი მნიშვნელობა მიენიჭოს. ამგვარად, პირველი ინსტანციის სასამართლომ უარყო რა სარჩელი, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დაადგინა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოსარგებლეობის ფაქტი, რაც დამოუკიდებლად სააპელაციო საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას არ აძლევს იმ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

1.12. პალატა დამატებით შენიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლი ექვემდებარება ფართო განმარტებას და არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიაჩნდება იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელებას არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტურ და რეალურ დაცვაზე ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიაჩნდება და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება (იხ. მაგ: *Hornsby v. Greece*).

## **2. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქ-

მების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები, ამასთან, რადგანაც არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო სასამართლო, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები), უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება: ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის სუბიექტს არ წარმოადგენდა მოპასუხე (რომლის სასარგებლოდაც გამოიტანა პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება), ხოლო სააპელაციო საჩივრის საფუძველი არ შეიძლება იყოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილი, პალატა მიიჩნევს, რომ ო. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

### **3. პროცესის ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, ამასთანავე, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს პროცესის სხვა ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ შუამდგომლობას, რის გამოც, პალატა არ ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 53-ე მუხლით, თუმცა საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა რა საკასაციო საჩივარი და მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარზე გადასახდელი იმ თანხის ანაზღაურება, რომლისგანაც გათავისუფლებულია მოსარჩელე, უნდა დაეკისროს მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად აღიარების შესახებ სარჩელის ღირებულება, სსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, 4 000 ლარით განისაზღვრება, რაც, ამავე კოდექსის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავას მაგისტრატი მოსამართლის განსჯადად აქცევს და 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-2 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის 150 ლარით განსაზღვრის წინაპირობა).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 411-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ნ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ივლისის განჩინება და ო. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად.
3. ო. ხ-ს (პ/№0-...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი ..., მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს 150 ლარის გადახდა.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ა ბ ა ს კ ა ნ ო ნ ი ა რ ქ ა ლ ა შ ი შ ე ს ვ ლ ი ს შ ე დ ე ბ ე ბ ი**

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ა ბ ა ს ა ქ ა რ თ ე ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი ტ**

№ას-1190-2018

12 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**  
**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურმა (შემდგენი: მოპასუხე, კასატორი ან დამსაქმებელი) 2010 წლის 7 სექტემბრიდან გ.წ-ქესთან (შემდგენი: მოსარჩელე, აპელანტი ან დასაქმებული) შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა (იხ. გადაწყვეტილება).
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით, დამსაქმებელს დასაქმებულის თანამდებობაზე აღდგენა და მისთვის 2010 წლის 7 სექტემბრიდან, მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრამდე, 2013 წლის 10 მაისამდე ყოველთვიურად 640 ლარის ანაზღაურება დაეკისრა (იხ. გადაწყვეტილება).

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება, 2015 წლის 27 იანვარს, კანონიერ ძალაში შევიდა (იხ. უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 27 იანვრის განჩინება).

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება, იძულებითი განაცდურის – 21 120 ლარის ანაზღაურების ნაწილში – 2015 წლის 1 აპრილს, ხოლო მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, 2015 წლის 13 მაისს აღსრულდა.

### **5. სარჩელის საფუძვლები**

5.1. დასაქმებულმა 2017 წლის 9 იანვარს სარჩელით მიმართა სასამართლოს დამსაქმებლის წინააღმდეგ იძულებითი განაცდურის, ინფლაციის გათვალისწინებით, 16 485.40 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

5.2. მოსარჩელემ ამ გადაწყვეტილების 1-4 პუნქტებში დასახელებულ გარემოებებზე მითითებით აღნიშნა, რომ 2013 წლის 10 მაისიდან 2015 წლის 8 მაისამდე მოპასუხე მოსარჩელის ბრალით მოცდა, რის გამოც დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულს იძულებითი განაცდური 15 360 ლარი (ინფლაციის გათვალისწინებით 16 485.40 ლარი) აუნაზღაუროს.

### **6. მოპასუხის შესაგებელი**

6.1. მოპასუხემ მის მიერ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების იმ პერიოდისათვის მოთხოვნა, როცა საქმის განხილვა მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებში მიმდინარეობდა, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული.

### **7. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება**

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით დასაქმებულის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7.2. საქალაქო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით, საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სშკ) მე-2, 31-ე, 32-ე მუხლებით, საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე, 267-ე მუხლებით იხელმძღვანელა.

### **8. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი**

8.1. მოსარჩელემ (დასაქმებულმა) საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

### **9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**



9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და დასაქმებულის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, იძულებითი განაცდურის 15 360 ლარის გადახდა დაეკისრა.

9.2. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის მეორე მუხლის პირველ ნაწილზე, მესამე მუხლის პირველ ნაწილზე მიუთითა და განმარტა, რომ დისპოზიციურობის პრინციპი უზრუნველყოფს დავის საგანზე მხარეთა ბატონობას და ანიჭებს მხარეებს შესაძლებლობას, თვითონ გადაწყვიტონ, თუ რომელი ფაქტები დაურთონ მოთხოვნას საფუძვლად. თუმცა, მისი შინაარსი იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ სრულყოფილად განსაზღვროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ნორმატიული შინაარსი. ამ პირობას მნიშვნელოვანი სამართლებრივი ფუნქცია გააჩნია, რადგან შესაძლებლობას ანიჭებს სასამართლოს, შეამოწმოს იურიდიული კავშირი მოსარჩელის მიერ წარდგენილ ფაქტებსა და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შორის. ამავდროულად, სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მხარისათვის მოულოდნელი. მოთხოვნის ადრესატმა უნდა იცოდეს მის მიმართ არსებული პრეტენზიის, როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი შინაარსი.

9.3. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ გამოკვეთილია სსსკ-ის 266-ე მუხლის გამოყენების საფუძველი, რომელიც გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს უფლებას უკარგავს, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა განსხვავებული, როგორც სასარჩელო მოთხოვნა, ასევე – ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც ეფუძნება იგი. კერძოდ, სარჩელით მოთხოვნილია შრომის იძულებითი განაცდური 2013 წლის 10 მაისიდან (თავდაპირველი სარჩელის შეტანიდან) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე 2015 წლის 8 მაისამდე (24 თვე).

9.4. სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 32.1 მუხლზე დაყრდნობით, დაასკვნა, რომ „სრული ოდენობა“ გულისხმობს იძულებით მოცდენის მთლიანი პერიოდისათვის ანაზღაურებას. მოცემულ შემთხვევაში კი, იძულებითი მოცდენის პერიოდი გაგრძელდა 2015 წლის 8 მაისამდე, რაც მოსარჩელეს აღჭურავს უფლებით, იძულებითი განაცდური მოითხოვოს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირი, რომლის უფლებაც დარღვეული

იქნა, უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და საკუთარი შეხედულებისამებრ მოითხოვოს დარღვეული უფლების დაცვა, მით უფრო მაშინ, როდესაც სახეზე არ არის ერთი და იგივე მოთხოვნა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, გამოკვეთილია სშკ-ის 32-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები და დამსაქმებელს დასაქმებულის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 15 360 ლარის გადახდა.

9.5. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დასაქმებულის მტკიცება „ინფლაციის თანხასთან“ დაკავშირებით, რადგან აღნიშნულ ნაწილში აპელანტმა ვერ შეძლო მისი მოთხოვნის შინაარსის იმგვარად ჩამოყალიბება, რომ სრულყოფილად მომხდარიყო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ნორმატიული შინაარსის განსაზღვრა (მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი) და შესაბამისი კვლევა.

### **10. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

10.1. მოპასუხემ (დამსაქმებელმა) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

10.2. კასატორის განმარტებით, მან, როგორც წაგებულმა მხარემ კანონის დაცვით აღასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული და დამსაქმებელს არ ჰქონდა ვალდებულება, სასამართლოს გადაწყვეტილება დავის საბოლოოდ დასრულებამდე (კანონიერ ძალაში შესვლამდე) აღსრულებინა.

10.3. კასატორი მიიჩნევს, რომ დასაქმებულს შეეძლო საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება არა გათავისუფლების დღიდან სარჩელის აღძვრამდე, არამედ, გათავისუფლების დღიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე მოეთხოვა. დასაქმებულს დასახელებული გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია და იგი კანონიერ ძალაში შევიდა (სსსკ-ის 266-ე მუხლი), რაც გამორიცხავს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

### **11. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

11.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ნოემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

11.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 თებერვლის განჩინებით დამსაქმებლის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ

იქნა არსებითად განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

12. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნავს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დამსაქმებელს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი.

13. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის, ამ გადაწყვეტილების 10.2-10.3 ქვეპუნქტებში ასახულ, პრეტენზიებს დაგანმარტავს, რომ საქმის მასალებით დადგენილია, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით დასაქმებულის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი დამსაქმებლის 2010 წლის 7 სექტემბრის №გ-2077 ბრძანება მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; დასაქმებული აღდგენილ იქნა დამსაქმებლის ქუთაისის რეგიონული ცენტრის მომსახურეობის სამმართველოს ჭიათურის სერვის ცენტრის ოფიცრად ან მის ტოლფას თანამდებობაზე; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა გათავისუფლების დღიდან, 2010 წლის 7 სექტემბრიდან, სარჩელის აღძვრამდე (33 თვე) იძულებითი განაცდური თვეში 640 ლარი (ხელზე მისაღები) სულ 21 120 ლარი. საქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ (დამსაქმებელმა), თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხემ საკასაციო წე-

სით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და დასაქმებულის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით დამსაქმებლის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. სსსკ-ის 264-ე მუხლის თანახმად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 2015 წლის 27 იანვარს შევიდა კანონიერ ძალაში, ხოლო ამავე კოდექსის 267-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

14. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ დასაქმებულის მიერ 2013 წლის 10 მაისს წარდგენილ სარჩელზე (გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება) გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა, რაც შემდეგ, მოპასუხის მიერ გასაჩივრების მიუხედავად, არ შეცვლილა. დასაქმებული არც იმ გარემოებას ხდის სადავოდ, რომ საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დამსაქმებელმა გადაწყვეტილება აღასრულა. დასაქმებულს მიაჩნია, რომ მას სარჩელის აღძვრიდან (2013 წლის 10 მაისი) გადაწყვეტილების აღსრულებამდე (2015 წლის 8 მაისი) პერიოდისათვის იძულებითი განაცდური უნდა მიეკუთვნოს და ამ მოთხოვნას ახალი სარჩელის წარდგენით აყენებს. მოსარჩელის ამგვარი მოთხოვნა ყოველგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული.

15. საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 266-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტავს, რომ მოსარჩელემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ იგივე სასარჩელო მოთხოვნა განაცხადა იმავე საფუძველზე, ვინაიდან დასაქმებულმა მოითხოვა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება იმ საფუძველზე, რომ ის სამსახურიდან უკანონოდ დაითხოვეს.

16. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს, ამ გადაწყვეტილების 9.3 ქვეპუნქტში ასახულ, მსჯელობას და განმარტავს, რომ მოსარჩელეს თავდაპირველი სარჩელის წარდგენის დროს შეეძლო მოეთხოვა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება გადაწყვეტილების აღსრულებამდე და არა მას შემდეგ, რაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა. განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არ არის ახალი სარჩელი, არამედ დასაქმებულმა ფაქტობრივად თავდაპირველი მოთხოვნა გაზარდა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, გათავისუფლებიდან სარჩელის აღძვრამდე პერიოდის ნაცვლად, კანონიერ და-

ლაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის მოითხოვა, რაც დაუშვებელია. სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების ან გაზრდის უფლებას სსსკ-ის 83.2 მუხლი ითვალისწინებს და ამგვარი შესაძლებლობა მოსარჩელეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე აქვს და ამის შესახებ სასამართლო მოპასუხეს ატყობინებს, რათა არ დაირღვეს კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლებით დადგენილია გადაწყვეტილების ფორმალური (264-ე მუხლი) და მატერიალური (266-ე მუხლი) კანონიერი ძალა, რომელიც, პირველ შემთხვევაში, გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, სსსკ-ის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. მითითებული ნორმის ანალიზი შემდეგი დასკვნის საფუძველს იძლევა: გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს (შდრ. სუსგ №ას-355-337-2015, 20.07.2015, №ას-832-832-2018, 25.07.2018წ.).

18. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის (დამსაქმებლის) მოთხოვნა დასაბუთებულია, ხოლო სააპელაციო სასამართლოს შეფასება და დასკვნა, რომლითაც გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დასაქმებულის სარჩელის უარყოფის თაობაზე, არამართებულია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და დასაქმებულის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

19. სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან ორივე მხარე გათავისუფლებულია (სსსკ-ის 55.3 მუხლი).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი

და მეორე ნაწილებით, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. გ.წ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები**

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ს ხ ე ლ ი ტ**

№ას-1851-2018

2 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2011 წლის 4 ოქტომბერს, მ-ის ქ.№1ა მდებარე არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრე, ფიზიკურ პირს – ა. ს-ეს (შემდეგში: მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) და მოპასუხეს შორის ქ. ქუთაისში, მ-ის ქ.№1ა მდებარე ქონებაზე დაიდო იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა მარკეტის დანიშნულებით. მეიჯარე ვალდებული იყო: გადაეცა მ-ის ქ.№1ა მდებარე ქონება გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში. მეიჯარეს უფლება ჰქონდა: მოეთხოვა მოიჯარისთვის იჯარით გადაცემული ქონების ექსპლუატაციის წესების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარული ნორმების დაცვა; მოეთხოვა მოიჯარის მიერ ყოველი მომდევნო თვის ათ რიცხვამდე

ამ ხელშეკრულებით დადგენილი საიჯარო ქირის გადახდა; მეიჯარეს უფლება ჰქონდა არ დაეშვა მოიჯარის მხრიდან საიჯარო ქონების მესამე პირზე გადაცემა მეიჯარის თანხმობის გარეშე; მეიჯარეს უფლება ჰქონდა მოეთხოვა საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება იმ შემთხვევაში, თუ ის ორი თვით ადრე აცნობებს მოიჯარეს ამის შესახებ. მოიჯარე ვალდებული იყო: ეზრუნა იჯარით აღებულ ქონებაზე საკუთარი სახსრებით (ანაზღაურების გარეშე), ჩაეტარებინა კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, საიჯარო ფართის ექსპლოატაციისას დაეცვა ხანძარსა და სანაღმდეგო და სანიტარული წესები; აენაზღაურებინა საიჯარო ქონების გაუარესებით გამოწვეული ზარალი, თუ ვერ დაამტკიცებდა, რომ გაუარესება მისი მიზეზით არ იყო გამოწვეული; გადაეხადა მის მიერ გახარჯული ელექტროენერჯისა და მოხმარებული წყლის ღირებულება და კომუნალური გადასახადები, თავად მოეწესრიგებინა ურთიერთობები საგადასახადო და საჯარო სუბიექტებთან; თვითონ ეგო პასუხი ვაჭრობისა და სხვა წესების დარღვევისათვის. მოიჯარეს უფლება ჰქონდა მოეთხოვა მეიჯარისაგან ქონების გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში ჩაბარება; საიჯარო ქონება გამოეყენებინა მხოლოდ სამენარმეო საქმიანობისათვის; მოეთხოვა საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ საიჯარო ქონება გამოუსადეგარი გახდა იმ გარემოებათა გამო, რომლისთვისაც მოიჯარეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა. საიჯარო ქირის გადასახადი შეადგენდა 500 ლარს. მოიჯარეს საიჯარო ქირა უნდა შეეტანა ყოველი მომდევნო თვის ათ რიცხვამდე ნომბრიდან დაწყებული. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა მასზე მხარეთა ხელმოწერიდან ერთი წლით. ხელშეკრულება ძალაში შევიდა ხელმოწერიდან. მეიჯარეს უფლება ჰქონდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში შეეცვალა საიჯარო ქირის ოდენობა და ამის შესახებ ერთი თვით ადრე ეცნობებინა მოიჯარისათვის. სხვა შემთხვევაში, ხელშეკრულების ვადამდე მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ მხარეებმა ერთმანეთს წინასწარ, ორი კვირით ადრე უნდა აცნობონ. ხელშეკრულების მოთხოვნათა შეუსრულებლობა „მოიჯარეს მხრიდან მეიჯარეს უფლებას აძლევს გაფრთხილების გარეშე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. თუ ვადის გასვლის შემდეგ, არც ერთი მხარე არ დასვამდა საკითხს ხელშეკრულების განწყვეტის შესახებ, იგი გაგრძელებულად ჩაითვლებოდა მომდევნო ერთი წლით.

2. 2012 წლის 10 იანვარს მხარეთა შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება №1, რომლის საგანს წარმოადგენდა მეიჯარის კუთვნილი, ქ. ქუთაისში, მ-ს ქ.№1ა მიმდებარე არასაცხოვრებელი ფართის ნაწილის 90 კვ.მ. იჯარით, სარგებლობის უფლებით გადა-



ცემა სამეწარმეო საქმიანობის დანიშნულებით საზღაურის აღების პირობით. საიჯარო ქირის ყოველთვიური გადასახადი საშემოსავლო გადასახადის გარეშე შეადგენს 625 (ხუთას) ლარს. მოიჯარეს ქირა უნდა შეეტანა ყოველი თვის 5 რიცხვამდე. მეიჯარის მიერ საიჯარო თანხის გადახდა უნდა განხორციელებულიყო უნაღდო ანგარიშსწორების გზით მეიჯარის საბანკო ანგარიშზე.

3. 2012 წლის 10 იანვარს მხარეთა შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება №12, ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა მეიჯარის კუთვნილი, ქ. ქუთაისში, მ-ის ქ.№1ა მდებარე ქონების იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაცემა მარკეტის დანიშნულებით. ერთი თვის საიჯარო ქირის მთლიანი ოდენობა განისაზღვრება 500 ლარით. მოიჯარეს მეიჯარისათვის საიჯარო ქირა უნდა გადაეხადა ყოველი მომდევნო დღის 5 რიცხვამდე. მეიჯარის მიერ საიჯარო თანხის გადახდა უნდა განხორციელებულიყო უნაღდო ანგარიშსწორების გზით მეიჯარის საბანკო ანგარიშზე;

4. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა:

- ქ. ქუთაისში, მ-ის ქ. №1ა-ში მდებარე ქონებაზე საიჯარო ქირის დავალიანების – 4100 ლარის დაკისრება; მიყენებული ზიანის, კერძოდ, წლიური 18%-ის 4 წლის განმავლობაში 2952 ლარის გადასახდელად დაკისრება;

- მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული საქონლის და თანხის (4650.8+3000) 7650 ლარის დაკისრება; ზიანის, კერძოდ, წლიური 18%-ის 4 წლის განმავლობაში 5508 ლარის დაკისრება; საიჯარო ქონების ღირებულების – 8020 ლარის დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის წლიური 18%-ის დაკისრება 4 წლის განმავლობაში 5774,4 ლარის ოდენობით;

- ქ. ქუთაისში, მ-ს ქ.№1-ში ორივე ხელშეკრულებაზე გადასახადი ჯამში 3975 ლარის, ზიანი 18% წლიურად 4 წელი, 2862 ლარის – გადასახდელად დაკისრება;

- იპოთეკის მოხსნისათვის 2015 წლის 20 იანვარს გადახდილი თანხის, 2450 ლარის – გადასახდელად დაკისრება;

5. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: დაეკისრა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ქ. ქუთაისში, მ-ის ქ.№1ა-ში იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების 4400.00 ლარის გადახდა; დაეკისრა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ქ. ქუთაისში, მ-ს ქ.№1-ში მდებარე ქონების იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების 3975.00 ლარის გადახდა; დაეკისრა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ იპოთეკის მოხსნისათვის გადაცემული თანხის 2450.00 ლარის გადახდა; სხვა

ნანილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

6. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გასაჩივრა სააპელაციო საჩივრით.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნანილობრივ. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნანილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნანილში და ამ ნანილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იჯარის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანების 8375 ლარის წლიური 7% – 586.25 ლარი, 2013 წლის 05 იანვრიდან ვალდებულების სრულად შესრულებამდე; დანარჩენ ნანილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

8. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი და ამ განჩინების პპ: 1-5-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

9. იმავდროულად სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების მიხედვით საიჯარო ვალდებულება განისაზღვრება 2011 წლის 4 ოქტომბრიდან და მთავრდება 2013 წლის იანვარში. ჯამში 16 თვე.  $16 * 500 = 8000$  ლარი. ჩარიცხულია მხოლოდ 3900. დარჩა ჩასარიცხი 4100 ლარი. სახეობა – 04.10.2011 მიღება-ჩაბარების აქტი; ძირითადი თანხა – 7650; წლიური % – 18; ჯამი – 1377; წლები – 4; სულ – 5508. სახეობა – საიჯარო ქირის დავალიანება; ძირითადი თანხა – 4100; წლიური % – 18; ჯამი – 758; წლები – 4; სულ – 2952 სახეობა – საიჯარო ქონების ღირებულება; ძირითადი თანხა – 8020; წლიური % – 18; ჯამი – 1443.6; წლები – 4; სულ – 5774.4. სულ – 19770. 14234.4 მოსათხოვია ძირითადი თანხა – 19770 ლარი დარიცხული ზარალი – 14234.4 ლარი. სულ – 34.004.4 ლარი.

10. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 2012 წელს ორი საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით ჩასარიცხი იყო ერთ თვეში  $500 + 625 = 1125$  ლარი, ანუ  $1125 * 11$  თვეზე = 12375 ლარი. სულ ჩარიცხულია – 8500 ლარი. დარჩა 3975 ლარის ძირითადი თანხის დავალიანება. ძირითადი თანხა – 3975; წლიური % – 18; ჯამი – 715.5; წლები – 4; სულ 2862. მოსათხოვია  $3975 + 2862 = 6837$  ლარი. ასანაზღაურებელია – 2450 (ანგარიშზე ჩარიცხული) – 490 (სამხარაულის ექსპერტიზის) სულ =  $34004 + 6837 + 2450 + 490 = 43.781$  ლარი.

11. საგადასახადო ბრუნვის უწყისით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეს 2011 წლის 04 ოქტომბრი-

დან 2013 წლის იანვრის ჩათვლით მოსარჩელისაგან რაიმე სახის საქონელი არ მიუღია. ასევე, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი სა-საქონლო ზედნადებებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხეზე სარგებლობაში გადაცემული ლუდის ვიტრინა მაცივარი იყო სს „ლი-ი“-ს საკუთრება. გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციით დადგენილია, რომ 2012 წელს რვა თვის განმავლობაში მოპასუხესთან დასაქმებული იყო ხელფასს იღებდა ოთხი თანამშრომელი: ი. ნ-ა; მ. თ.; ა.; ბ-ი ც-ა; ხოლო იმავე წელს ექვსი თვე ასევე – მოსარჩელე.

12. მოპასუხის განმარტებით, იგი ნაქირავებ ობიექტში არ ეწეოდა ჩამოსასხმელი ლუდის რეალიზებას და წარმოდგინა სასაქონლო ზედნადებები.

13. მოსარჩელის შუამდგომლობით მოწვეულმა მოწმე ლ-მ განმარტა, რომ პროფესიით არის ბუღალტერი. ზედნადებების საფუძველზე აწარმოებდა მოპასუხის ბუღალტერიას. მოწმის განმარტებით, თვითონ იხდიდნენ საშემოსავლოს. შემდეგ, მოსარჩელეს უხდიდნენ თანხას და იგი იხდიდა საშემოსავლო გადასახადს. მოწმემ განმარტა, რომ გადასახადის გადაუხდელობის გამო, საგადასახადო გირავნობა – იპოთეკა დაედო ქონებას. იპოთეკის მოსახსნელი თანხა 2450 ლარი, გადაიხადა მოსარჩელემ. მოწმის განმარტებით, კერძო პირებისგან ყიდულობდნენ პროდუქციას. მოწმის განმარტებით, მ-ის ქ.№1ა-ში, ჩამოსასხმელი ლუდი არ იყო.

14. მოსარჩელის შუამდგომლობით მოწვეულმა მოწმე მ. კ-ემ განმარტა, რომ 2011-2012 წლებში მუშაობდა ლუდის ჩამოსხმელად და ხელფასს ხელზე აძლევდა მოპასუხე. რომელი დასახელების ლუდს ჰყიდდა არ ახსოვს. ჰქონდა სალარო აპარატი.

15. მოპასუხის შუამდგომლობით მოწვეულმა მოწმე რ. მ-ემ განმარტა, რომ მუშაობდა მ-ის ქ.№1ა-ში მდებარე ობიექტში გამყიდველად (მაღაზია), რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული მოპასუხეს. მაღაზიაში იყიდებოდა სურსათი. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო ჩატარდა აღწერა და აღწერისას ყველაფერი დატოვეს მაღაზიაში. ასევე, დარჩა ნაშთი. ერთი კვირის ნაფაჭრი დაუტოვეს მოსარჩელეს. მოწმემ განმარტა, რომ ინვენტარი მაღაზიიდან არ ნაუღიათ. მაცივრები სხვისი იყო და დარჩა მაღაზიაში. 2014 წელს ერთ დღეში აღწერა მაღაზია და ჩააბარა მოსარჩელეს.

16. მოწმე მ. თ-მ განმარტა, რომ იცნობს მოდავე მხარეებს. მუშაობდა ქ. ქუთაისში მ-ის ქ.№1ა-ში მდებარე ობიექტში გამყიდველად (მაღაზია), რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული მოპასუხეს. მოწმის განმარტებით, ინვენტარი ეწყო საწყობებში. მაღაზიაში იყო დახლ-მაცივარი, რომელიც შემდეგ გაფუჭდა. დარჩა მაღაზიაში. საყინულე, ვიტრინა მაცივრები ეკუთვნოდა პროდუქციის, სასმელე-

ბის შემომტან ფირმას. მოსარჩელე ითხოვდა დაზიანებული მაცივრის შეკეთებას. ყველა ინვენტარი იყო მაღაზიაში. აღწერა არ ჩატარებია. მაღაზიის გასაღები ჩააბარა ს. კ-ეს, რომელიც ადრე იყო მაღაზიის მენეჯერი. მოწმის განმარტებით, შემდეგ თვითონ გაიფორმა იგივე მაღაზია, როგორც ინდ. მენარმემ და გააფორმა იჯარის ხელშეკრულება. იმის გამო, რომ არ იყო მუშაობა შეწყვიტა ხელშეკრულება. აღწერისას განულებული იყო ყველაფერი.

17. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული არ იყო, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 129-ე მუხლის პირველი მეორე ნაწილებით სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია;

18. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სახეზე იყო პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება. მოპასუხეს ეკისრებოდა სახელშეკრულებო ვალდებულება ყოველთვიურად შეეტანა მოსარჩელის სასარგებლოდ საიჯარო თანხა. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ბანკის ცნობის მიხედვით, მოპასუხემ ბოლო გადახდა განახორციელა 2012 წლის 22 ნოემბერს ხოლო სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილი იყო 2015 წლის 02 ოქტომბერს. შესაბამისად, სარჩელი სასამართლოს წარედგინა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დაცვით.

19. 2011 წლის 4 ოქტომბერს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, მხარეთა შორის, მასზედ, რომ საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად ჩატარეს მ-ის ქ.№1ა მდებარე სავაჭრო ობიექტში არსებული სასაქონლო ნაშთის ინვენტარიზაცია, რომლის შედეგების საფუძველზე მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა 4650.8 ლარი და 80 თეთრის საქონელს დანართის შესაბამისად და 3000 ლარი. აქტის გაფორმების მომენტისათვის: 1. დ. გ-ის მიერ გადასახდელია დენის გადასახადი 178.4 ლარი. 2. გადახდილია ტელეფონის გადასახადი. 3. დ. გ-ის მიერ გადასახდელია წყლის გადასახადი 8.52 ლარი. 4. დ. გ-ის მიერ გადასახდელია დასუფთავების გადასახადი. 5. გადასახდელია დაცვის გადასახადი. ასევე, შედგა მეორე მიღება-ჩაბარების აქტი იგივე მხარეებს შორის, რომლის მიხედვით, საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით ჩატარდა მ-ის ქ.№1ა-ში მდებარე სავაჭრო ობიექტში არსებული ინვენტარის აღწერა, რომლის შედეგების საფუძველზე გ. ლ-ემ სარგებლობისათვის მიიღო შემდეგი ქონება: 1. დახლ-მაცივარი – 2 ცალი; 2.

საყინულე მაცივარი – 3 ცალი; 3. ვიტრინა მაცივარი – 4 ცალი; 4. სასწორი – 1 ცალი; 5. ელექტრო მრიცხველი – 4 ცალი; 8. პოდნოსი – 7 ცალი; 9. მინის ვიტრინა დიდი – 1 ცალი; 10. მინის მრგვალი ვიტრინა – 1 ცალი; 11. სკამი – 4 ცალი; 12. კედლის საათი – 1 ცალი; 13. კედლის თაროები – 4 კომპლ.; 14. ყველის ჯამი – 1 ცალი; 15. ყველის ვედრო – 1 ცალი; 16. რეკლამა – 4 ცალი; 17. ვიტრინა მაგიდა – 4 ცალი; 18. ტელევიზორი – 1 ცალი; 19. კონდიციონერი – 1 ცალი (დაზიანებული); 20. სასწორის მაგიდა – 1 ცალი; 21. ტელეფონის აპარატი – 1 ცალი; 22. წყლის აგზი – 1 ცალი; 23. წყლის გამაცხელებელი – 1 ცალი; 24. სანერი მაგიდა – ცალი; 25. მაგიდა სკამებით – 2 კომპლ.;

20. 2012 წლის 10 იანვარს მხარეთა შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება №1, რომლის საგანს წარმოადგენდა მეიჯარის კუთვნილი, ქ. ქუთაისში, მ-ს ქ. №1ა მიმდებარე არასაცხოვრებელი ფართის ნაწილის 90კვ.მ. იჯარით გადაცემა სამეწარმეო საქმიანობის დანიშნულებით საზღაურის აღების პირობით. საიჯარო ქირის ყოველთვიური გადასახადი საშემოსავლო გადასახადის გარეშე შეადგენს 500 ლარს. მოიჯარეს ქირა უნდა შეეტანა ყოველი თვის 5 რიცხვამდე. მეიჯარის მიერ საიჯარო თანხის გადახდა უნდა განხორციელებულიყო უნაღდო ანგარიშსწორების გზით მეიჯარის საბანკო ანგარიშზე. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა ერთი წლით;

21. 2012 წლის 03 დეკემბერს, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხემ საკუთრებაში დაირეგისტრირა ქ. ქუთაისი, მ-ს ქ. №1-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ.: 03.01....), რომელზეც იმ დროისათვის სასამართლოს განჩინების საფუძველზე რეგისტრირებული იყო ყადაღა.

22. 2014 წლის 10 დეკემბერს მოსარჩელემ, როგორც უძრავი ქონების მესაკუთრის ლ. ს-ის მინდობილმა პირმა, წერილით მიმართა ი/მ მ. თ-ს, რომელსაც თხოვდა 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 28 იანვრამდე პერიოდში იჯარით გაცემული ქ. ქუთაისში, მ-ის ქ. №1ა-ში მდებარე უძრავ ქონებაში არსებული ინვენტარის დაზიანებისათვის ანაზღაურებას.

23. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული ხელშეკრულებების მიხედვით, მოსარჩელეს 2011-2012 წლებში მოპასუხესთან გაფორმებული ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულებები ქ. ქუთაისში, მ-ს ქ. №1-ში მდებარე კომერციულ ფართებზე. კერძოდ, 05.01.2011 წლის ხელშეკრულებით საიჯარო ქირა ქონების ნაწილზე შეადგენდა ყოველთვიურად 500 ლარს, ხოლო 10.01.2012 წლის საიჯარო ხელშეკრულებით ქირა ქონების ნაწილზე – 625 ლარს.

24. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასა-

მართლოს მსჯელობა, რომ ბანკის ცნობებით და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საიჯარო ფართში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე დარიცხული თანხების გაანგარიშებით, ქ. ქუთაისში, მ-ის ქ. №1ა-ში მდებარე კომერციულ ფართზე მოპასუხის ძირითადი დავალიანება შეადგენს 4400.00 ლარს, ხოლო მოპასუხის მიერ მ-ს ქ. №1-ში იჯარით აღებული კომერციულ ფართში – 3975.00 ლარს.

25. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 394-ე, 408-ე, 411-ე და 412-ე მუხლებით და დაადგინა რომ იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

26. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ დაარღვია და სრულად არ შეასრულა იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები, კერძოდ სრულად არ გადაიხადა საიჯარო ქირა, ჯამში 8375 ლარის ოდენობით ( $4400+3975=8375$ ). შესაბამისად, მასვე უნდა დაეკისროს მის მიერ აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო – იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სრულად გადაუხდელობის გამო, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი 18% ზიანის ანაზღაურების არაგონივრული ოდენობაა, აღნიშნულ თანხაზე ზიანის გონივრულ ოდენობად მიჩნეული უნდა იქნეს მიუღებელი თანხების 4400 ლარის და 3975 ლარის, ჯამში – 8375 ლარის წლიური 7%-586.25 ლარი, 2013 წლის 05 იანვრიდან ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

27. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 583-ე მუხლზე და დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 4 ოქტომბერს მხარეებმა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით ჩაატარეს მ-ის ქ. №1ა-ში მდებარე სავაჭრო ობიექტში არსებული სასაქონლო ნაშთის ინვენტარიზაცია, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა 4650.8 ლარის საქონელი. ამდენად, დადგენილია, რომ მხარეებს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება ინვენტართან ერთად.

28. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სსკ-ის 581-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამავე კოდექსის 573-ე მუხლის თანახმად, გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს წაუყენოს მას

პრეტენზია განუვლი ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში. ზიანის ანაზღაურების გამო გამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან, ხოლო დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადისა – ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მხარეთა შორის იჯარის ხელშეკრულება შეწყდა ვადის გასვლით – 2013 წლის 10 იანვარს. ამასთან, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა 2013 წლის 10 იანვრიდან 6 თვის ვადაში პირველადი მოთხოვნის (მისთვის ინვენტარის დაბრუნება) წაყენების შესახებ, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში, ხანდაზმული იყო.

29. მოსარჩელემ ინვენტარის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2015 წლის 02 ოქტომბერს. ამასთან, მოსარჩელე ითხოვს ინვენტარის ღირებულების დაბრუნებას ისე, რომ საქმის მასალებიდან არ იკვეთებოდა მან მოპასუხეს წაუყენა თუ არა პირველ რიგში მოთხოვნა – ნივთების დაბრუნების თაობაზე. პალატამ მიიჩნია, რომ გადაცემული ნივთების დაბრუნების მოთხოვნის პირობებში თუ არ იარსებებდა დასაბრუნებელი ნივთები, მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი მოსარჩელეს მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება. საქმეში წარმოდგენილი, 2014 წლის 10 დეკემბრის მოსარჩელის წერილებით დასტურდებოდა, რომ იგი ი/მ მ. თ-ს თხოვს 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 28 იანვრამდე პერიოდში იჯარით გაცემული, ქ. ქუთაისში, მ-ის ქ. №1ა-ში მდებარე, უძრავ ქონებაში განთავსებული დაზიანებული ინვენტარისათვის ანაზღაურებას, რაც საერთოდ დაუსაბუთებელს ხდოდა მოსარჩელის მოთხოვნას აღნიშნული ინვენტარის ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში. საქმის მასალებიდან არ დასტურდებოდა, რომ ინვენტარი მოსარჩელეს არ დაბრუნებია. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, მისი მოთხოვნა ამ ნაწილში, უსაფუძვლოდ გამო იქნა უარყოფილი.

30. უარყოფილი იქნა მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მან სესხად გადასცა მოპასუხეს 3000 ლარი შემდეგ გარემოებათა გამო: საქმეში არსებული 2011 წლის 4 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული იყო, რომ წინამდებარე აქტი შეადგინეს მხარეებმა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, მათ ჩაატარეს მ-ის №1ა-ში მდებარე სავაჭრო ობიექტში არსებული სასაქონლო ნაშთის ინვენტარიზაცია, რომლის შედეგების საფუძველზე ა. ს-ე გ. ლ-ეს გადასცემს 4650.8 ლარის საქონელს დანართის შესაბამისად და 3000 ლარს. ამდენად, აღნიშნული



მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს, მისი დადებისათვის საჭირო არსებით პირობას, რომლის გარეშეც ეს ხელშეკრულება არ დაიდბოდა. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ განმარტა, რომ ეს თანხა მან გადასცა მოპასუხეს იმ მიზნით, რომ მას ჰქონოდა მალაზიაში საბრუნავი თანხა ანუ სანყისი კაპიტალი, რათა მას შესძლებოდა მალაზიის ამუშავება და ამ გზით სარგებლის მიღება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 50-ე, 623-ე და 327-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ სწორედ აღნიშნული მიზნით გადაეცა მოპასუხეს ინვენტარი და 3000 ლარი. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტში არ იყო მითითება იმაზე, რომ მოსარჩელემ სესხად გადასცა აღნიშნული თანხა, ასევე არ იყო მითითებული მისი დაბრუნების დრო. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სესხის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი.

31. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარმოდგინა მოპასუხემ.

32. საკასაციო საჩივარი წარმოდგენილია, როგორც მატერიალურ სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენებისა და განმარტების (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ის) 393-ე მუხლის პირველი ნაწილი), ისე, საპროცესო სამართლებრივი დარღვევების არსებობის საფუძვლებით (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი) – იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები.

33. კასატორი სადავოდ ხდის იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 248-ე მუხლი გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე მოითხოვდა იჯარის ღირებულებას 4100 ლარის ოდენობით ქუთაისში, მ-ი ქ.№1ა-ში მდებარე კომერციული ფართიდან, ხოლო სასამართლომ კი, მოპასუხეს დააკისრა 4400 ლარი, რითაც გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. სულ, მოსარჩელე ითხოვდა იჯარის ქირის სახით 8075 ლარს, სასამართლომ კი, მოპასუხეს დააკისრა 300 ლარით მეტი – 8375 ლარი. კასატორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივარი მოპასუხის მხრიდან ემყარებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულზე ყურადღება არ გაამახვილა და საერთოდ არ იმსჯელა.

34. კასატორი არ ეთანხმება მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის 7%-ის დაკისრებას და მიაჩნია, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებულნი გადაწყვეტილება უკანონოა.

35. კასატორი აღნიშნავს, რომ მას სრულად აქვს შესრულებუ-

ლი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულია. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და არასწორად დაადგინა თითქოს იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2011-2013 წწ-ის დავალიანება შეადგენდა 8375 (4400+3975) ლარს.

36. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ მტკიცებულებად არ მიიღო ბანკიდან ამონაწერი, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ ი.მ გ. ლ-ის ანგარიშიდან 2011-2013წწ-ში ჩაირიცხა თანხა ა. ს-ის ანგარიშზე. ჯამურად ჩარიცხული თანხა შეადგენს 17700 ლარს.

37. იმავდროულად, კასატორი შუამდგომლობს ზემოაღნიშნული ცნობის საქმისათვის დართვაზე იმ საფუძველით, რომ საკასაციო პალატისათვის ნათელი იყოს საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2019 წლის 1 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის (საკასაციო საჩივარი ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია თუ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე) საპროცესო სამართლებრივი საფუძველით.

39. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში (სსსკ-ის 404-ე მუხლი) საკასაციო პალატა იმსჯელებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილის მართლობიერებაზე, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილებულია.

40. საქმის მასალებით დადგენილია და კასატორს სადავოდ არ გაუხდია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილია იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა (სსკ-ის 581-ე მუხლი) შემდეგ უძრავ ქონებაზე: 1. 2011 წლის 4 ოქტომბრის საიჯარო ხელშეკრულება დადებულია ქ. ქუთაისში, მ-ის ქ.№1ა მიმდებარე არასაცხოვრებელ ფართზე; 2. 2012 წლის 10 იანვრის საიჯარო ხელშეკრულება №1 დადებულია ქ. ქუთაისში, მ-ს ქ.№1ა მიმდებარე არასაცხოვრებელი ფართის ნაწილზე – 90 კვ.მ-ზე. 3. 2012 წლის 10 იანვრის საიჯარო ხელშეკრულება №12 დადებულია ქ. ქუთაისში, მ-ის ქ.№1ა მიმდებარე ქონებაზე (იხ., ამ გადაწყვეტილების პპ-2-4). საკასაციო პალატის შემოწმების საგანია ამ სამართლებ-

რივი ურთიერთობიდან გამომდინარე კრედიტორის – მეიჯარის, როგორც პირველადი (საიჯარო ქირის დავალიანების გადახდა – 581-ე მუხლი) ისე, მეორადი (საიჯარო ქირის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის ანაზღაურების (სსკ-ის 394-ე და 411-ე მუხლები) შესახებ მოთხოვნის კანონიერება სარჩელის იმ მოთხოვნის ნაწილში, რომელიც შეეხება ა) ქ. ქუთაისში, მ-ის ქ.№1ა-ში მდებარე ქონების საიჯარო თანხის – 4100 ლარის, მიყენებული ზიანის 18% წლიურად, 4 წელი, 2952 ლარის – გადასახდელად დაკისრებას (იხ., მოსარჩელის მოთხოვნები – ამ გადანყვეტილების პ- 5).

41. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 დეკემბრის გადანყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა მხოლოდ ქ. ქუთაისში, მ-ის ქ.№1ა-ში იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების 4400.00 ლარის გადახდის; ქ. ქუთაისში, მ-ს ქ.№1-ში მდებარე ქონების იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 3975.00 ლარის გადახდის; იპოთეკის მოხსნისათვის გადაცემული თანხის 2450.00 ლარის გადახდის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში. ამ გადანყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შედეგად გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 დეკემბრის გადანყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იჯარის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანების 8375 ლარის წლიური 7% – 586.25 ლარი, 2013 წლის 05 იანვრიდან ვალდებულების სრულად შესრულებამდე; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილება დარჩა უცვლელი.

42. მაშასადამე, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ პირველ ინსტანციაში სარჩელი დაკმაყოფილდა საიჯარო ქირის დავალიანების და იპოთეკის მოხსნისათვის გადაცემული თანხის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში, ხოლო სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა აგრეთვე, მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში და ზიანის ოდენობა განსაზღვრა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი დავალიანებიდან – 4400 ლარის და 3975 ლარის ჯამი (8375 ლარის წლიური 7%-586.25 ლარი). სწორედ ამ ნაწილშია წარმოდგენილი კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია (სსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი). კასატორი სადავოდ ხდის სსკ-ის მე-3 და 248-ე მუხლების დარღვევას და საკასაციო შედავებას აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ ქ. ქუთაისში, მ-ის ქ.№1ა-ში მდე-

ბარე კომერციულ ფართზე წარმოშობილი საიჯარო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მეიჯარე, რომელიც განსახილველ დავაში გვევლინება მოსარჩელედ, მოითხოვდა საიჯარო ქირის დავალიანების დაკისრებას 4100 ლარის ოდენობით. სასამართლო კი, გასცდა სარჩელის მოთხოვნის ფარგლებს და მოსარჩელეს მიაკუთვნა თანხის ის ოდენობა, რომელიც მას სარჩელით მოთხოვნილი არ ჰქონდა, სახელდობრ, ნაცვლად 4100 ლარისა პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა 4400 ლარი, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში უცვლელად დატოვა გადაწყვეტილება, უფრო მეტიც, ზიანის ოდენობის დაანგარიშებისას მხედველობაში იქნა მიღებული სწორედ მოთხოვნის ფარგლებს მიღმა დაკისრებული 300 ლარიც (4400 ლარის და 3975 ლარის ჯამი).

43. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და აპელანტს (მოსარჩელე) მიაკუთვნა ის, რასაც მხარე არ მოითხოვდა, შესაბამისად, ამ ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული (დასაშვები) საკასაციო პრეტენზია (შედავება).

44. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. ამასთან, საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით. სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.

45. ამასთან, სასამართლო მკაცრად შეზღუდულია მოთხოვნის ფარგლებით. სახელდობრ, სსსკ-ი პრინციპების სახით უზრუნველყოფს ყოველი პირისათვის უფლების სასამართლო წესით დაცვას, რაც იწყება უშუალოდ იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად [სსსკ-ის მე-2 მუხლი]. ფუძემდებლური პრინციპებითაა უზრუნველყოფილი პირის უფლება და ვალდებულება განსაზღვროს სასამართლო დავის საგანი [სსსკ-ის მე-3 მუხლი]. ამ პრინციპების კონკრეტულ გამოხატულებას ვხვდებით სსსკ-ის 178-ე მუხლის დისპოზიციურ დანაწესში, რომელიც ადგენს სარჩელის შინაარსობრივ მოთხოვნებს და მოსარჩელისაგან მოითხოვს, რომ მან სარჩელში აღნიშნოს დავის საგანი, მოთხოვნა, ფაქტობრივი გარემოებები და სხვა [სსსკ-ის 178-ე მუხლის „გ“, „ზ“, „ე“]. თავის

მხრივ, სასამართლო შებოჭილია სარჩელის მოთხოვნის ფარგლებით და უფლებაშეზღუდულია მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა [სსსკ-ის მე-3 და 248-ე მუხლები].

46. ერთ-ერთ საქმეში საკასაციო პალატამ განმარტა: „ ... სსსკ-ის 248-ე მუხლით იმპერატიულადაა დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. მითითებული ნორმის დანაწესი არა მარტო პირველი ინსტანციის, არამედ, სააპელაციო და საკასაციო განხილვის ნესებზეც ვრცელდება, რამდენადაც, ამავე კოდექსის 384-ე და 409-ე მუხლების თანახმად, ზემდგომი სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მხოლოდ მხარის მოთხოვნის ფარგლებში შეცვალოს, ხოლო საქმის ზემდგომ სასამართლოში განხილვისას დავის საგნის გადგება დაუშვებელია (სსსკ-ის 381-ე და 406-ე მუხლები). ამდენად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გასცდენოდა სასარჩელო მოთხოვნას და თუნდაც იმ პირობებში, თუკი ჩათვლიდა, რომ არსებობდა დივიდენდის განაწილების წინაპირობა, მას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა ემსჯელა გასაჩივრებულ გადაწყვეტილების კანონიერებაზე (სსსკ-ის 377-ე მუხლი) (მდრ: სუსგ №ას-863-813-2015, 17 დეკემბერი, 2015, პ-1.4). სხვა საქმეშიც იმსჯელა საკასაციო პალატამ მოთხოვნის ფარგლებში სასამართლოს მოქმედების ვალდებულებაზე და აღნიშნა, რომ „ ... დისპოზიციურობის პრინციპის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ (სსსკ 3.1), ამდენად, როგორც სასამართლოში დავის დაწყება, ისე მოთხოვნის ჩამოყალიბება თუ დავის საგნის განსაზღვრა მხოლოდ მხარის პრეროგატივაა, სასამართლოს როლი, სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში, განისაზღვრება მხარეთა მიერ განსაზღვრული მოთხოვნის საფუძვლიანობის მათ მიერვე წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში გამოკვლევასა და სამართლებრივ შეფასებაში. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (მდრ: სუსგ №ას-395-374-2013, 23 სექტემბერი, 2013 წელი).

47. ამასთან, საგულისხმოა, რომ კასატორი, რომელმაც სააპე-

ლაციო საჩივარი წარადგინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, სააპელაციო პრეტენზიად მიუთითებდა სარჩელის მოთხოვნის ფარგლების დაუცველობასა და ამ ნაწილში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის არსებობაზე (იხ., სააპელაციო საჩივარი), თუმცა, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის (აპელანტის) აღნიშნული არგუმენტი საერთოდ არ განიხილა.

48. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, თუ გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. შესაბამისად, ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც ქ. ქუთაისში, მ-ის ქ. №1ა-ში იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება განისაზღვრა 4400 ლარით და დავალიანების თანხად უნდა განისაზღვროს სარჩელით მოთხოვნილი 4100 ლარი (იხ., სარჩელის მოთხოვნა).

49. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული მსჯელობა გავლენას ახდენს აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის იურიდიული დასაბუთებულობაზე, რომელიც შეეხება ზიანის ოდენობის დაანგარიშებას, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კასატორის მეორე შედავება შეეხება არა მხოლოდ ზიანის ოდენობის არასწორ გაანგარიშებას, არამედ, საერთოდ ზიანის წარმოშობის კანონიერებას, ამიტომ საკასაციო პალატა ქვემოთ იმსჯელებს მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის ოდენობასა და მისი დაკისრების კანონიერებაზე.

50. საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორედ მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი (სარჩელი), რადგან მიიჩნია, რომ საიჯარო ქირის გადაუხდელობით მოპასუხემ მოსარჩელეს მიაყენა ზიანი (სსკ-ის 394-ე და 411 მუხლები). კასატორი არ ეთანხმება მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის დაკისრებას და მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კა-



სატორმა ამ ნაწილშიც დასაშვები საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა.

51. ამ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით დადგენილია სასამართლო პრაქტიკა, სახელდობრ, საკასაციო პალატის არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა რა არის მიუღებელი შემოსავალი, როდის არის მოვალე ვალდებული მის ანაზღაურებაზე და ა.შ. ერთ-ერთ საქმეში, სადაც დადებული იყო საიჯარო ხელშეკრულება ინვენტარზე, და მოსარჩელე მოითხოვდა ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ინვენტარის დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის – მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ: „...მიუღებელი შემოსავალი, წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. საქმის მასალებით არ არის სათანადოდ დასაბუთებული და სარწმუნოდ დადასტურებული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო პერიოდში მოსარჩელე ნამდვილად მიიღებდა შემოსავალს კაფეტერიის სადავო ინვენტარითა და მოწყობილობებით სარგებლობის ხელშეშლის არარსებობის პირობებში“ (შდრ: სუსგ №ას-406-383-2014, 17 აპრილი, 2015 წელი). სხვა საქმეში კი, მოსარჩელე ითხოვდა უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე და უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების შეწყვეტას, საცხოვრებელი ფართის შესაძენად გადახდილი თანხის – 38 416 აშშ დოლარის დაბრუნებას და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას (მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმებია: 405-ე 352-ე 394-ე 411-ე 412-ე მუხლები), საკასაციო პალატამ მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესახებ უარყო და თავისი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ „... სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის



ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება“ (იხ. სუსგ №ას-945-895-2015, 14 მარტი, 2016 წელი; აგრეთვე შდრ: სუსგ-ები №ას-307-291-2011, 24 ოქტომბერი, 2011 წელი; №ას-899-845-2012, 22 ნოემბერი, 2012 წელი).

52. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში ნავარაუდები სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი განმტკიცებულია სსკ-ის 408-ე მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ განხორციელდეს იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე. ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ იარსებებდა ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით, სასამართლომ უპირველესად, უნდა შეაფასოს ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის, წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა (შდრ. სუსგ-ები №ას-1843-2018, 5 მარტი, 2019 წელი, პ-14.2; №ას-167-163-2016, 01.07.2016).

53. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ანუ მოპასუხის მოქმედება უნდა იყოს არამართო ბრალეული, არამედ ზიანის გამომწვევიც, შესაბამისად, ზიანის მიმყენებელმა უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა (შდრ. სუსგ №ას-191-183-2016, 19.04.16). ამდენად, პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლწინააღმდეგო ქმედებით და მართლწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ზიანს ითხოვს არა ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათ-

ვის. მაშასადამე, მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 411-ე, ასევე, 394.1 მუხლები. მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარმოედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ, რეალურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს 411-ე მუხლის მეორე წინადადებას, რომლის თანახმად, „მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“. საგულისხმოა უშუალოდ ტერმინი „მიუღებელი შემოსავალი“, სახელდობრ შინაარსი, რომელიც მის მიღმა დგას. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილია იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა; დადგენილია, რომ მოიჯარეს გააჩნია საიჯარო ქირის დავალიანება მეიჯარის მიმართ, თუმცა, გარემოება იმის თაობაზე, რომ ამგვარი დავალიანების არსებობით მეიჯარეს წარმოემუვა მოთხოვნის უფლება მიუღებელ შემოსავალზე დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს სსკ-ის 394-ე და 411-ე მუხლების ერთობლივი დანაწესიდან.

54. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილშიც, წარმოშობილია სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და უარი უთხრას მოსარჩელეს მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრებაზე.

55. ამასთან, კასატორი მოითხოვს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულების საქმისათვის დართვაზე იმ საფუძვლით, რომ საკასაციო პალატისათვის ნათელი იყოს საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა.

56. სსკ-ის 104.1 მუხლის შესაბამისად (სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ), საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება უნდა დაუბრუნდეს კასატორს, რამდენადაც ამავე კოდექსის 407.1 მუხლიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა,

შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები), საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, მიიღოს და შეფასება მისცეს ახალ მტკიცებულებებს, არამედ, იგი შემოიფარგლება საქმეში არსებული დოკუმენტებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების შემოწმებით, ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ არ არსებობს მტკიცებულების საქმისათვის დართვის საფუძველი, რის გამოც, იგი უნდა დაუბრუნდეს მის წარმომდგენს.

57. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით შეიცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად (იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც), საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 102 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. გ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები და სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
3. ნაწილობრივ გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი და გ. ლ-ეს ა. ს-ის სასარგებლოდ დაეკისროს იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე და-

ვალთანების 4100 ლარის გადახდა;

4. დაეკისროს გ. ლ-ეს ა. ს-ის სასარგებლოდ იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალთანების 3975.00 ლარის გადახდა;

5. დაეკისროს გ. ლ-ეს ა. ს-ის სასარგებლოდ იპოთეკის მოხსნისათვის გადაცემული თანხის 2450.00 ლარის გადახდა;

6. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება;

7. გ. ლ-ის შუამდგომლობა მტკიცებულების საქმისათვის დართვის შესახებ არ დაკმაყოფილდეს და მას უკან დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული ცნობა №74/103-01 ერთ ფურცლად;

8. დაეკისროს ა. ს-ეს გ. ლ-ის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით განუხლები ხარჯის ანაზღაურება 102 ლარის ოდენობით;

9. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6

ტელ.: (995 32) 299 82 08

[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)